დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის ქ. ფოთის N3 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნანა ღაჭავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

ზვიად ბერიძე - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

ნინო ჭიჭინაძე - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)

შორენა გაგნიძე - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)

ნინო ბურჯანაძე - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)

მაკა გიორგბერიძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)

გიორგი ჩაჩუა - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)

თეა გაბისონია - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)

მანანა შეროზია - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)

ქეთევან ბორაშვილი - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)

ნათია ბრეგაძე - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის ქ. ფოთის N3 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	215085011

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი

იურიდიული მისამართი	ფოთი ვ. ზამბახიძის ქ. N3
ფაქტობრივი მისამართი	ფოთი ვ. ზამბახიძის ქ. N3
საფოსტო ინდექსი	4400
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Poti3@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	0493227962

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	N MES 5 23 0001087450 –06/09/2023.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 26 და 27 ოქტომბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი ვ.ზამბახიძის ქ. N3
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ფოთის მუნიციპალიტეტი ვ.ზამბახიძის ქ. N3
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ფოთის მუნიციპალიტეტი ვ.ზამბახიძის ქ. N3

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 6 სექტემბრის N MES 5 23 0001087450 *ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განვახორციელეთ ვიზიტი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ ფოთის №3 საჯარო სკოლაში მის. ქ.ფოთი ვ. ზამბახიძის ქ. 33 , ა.წ . 26 და 27 ოქტომბერს ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტამდე მოხდა დოკუმენტაციის შესწავლა და დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მხრიდან. ვიზიტისას შეფასდა ოთხივე სტანდარტი, მათ შორის მეორე სტანდარტი თითოეული საფეხურისთვის.*

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სასკოლო ცხოვრებასა და საქმიანიბაში აქტიურად არიან ჩართულები სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები. სკოლა თანამშრომლობს ადგილობრივ თემთან. სკოლაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არაფორმალურ განათლებას. შექმნილია არაერთი კლუბი, რომელთაც მოპოვებული აქვთ სხვადასხვა სიგელი და ჯილდო, არაფორმალური განათლების კუთხით ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბიბლიოთეკის საქმიანობას. სკოლის ბიბლიოთეკარი სკოლაში არსებულ კლუბებთან ერთად ყოველთვიურად ახორციელებს სხვადასახვა აქტივობას, რაც ემსახურება მოსწავლეთა წიგნიერების გაზრდას.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5	☐ შეესაბამება

მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 1000	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტების ჯგუფმა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა და ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა სრული შესაბამისობით.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*რეკომენდაცია*
3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (2024 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით) უზრუნველყოს: ➢ შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის (გაცემული შესაბამისი სფეროს აკრედიტირებული ორგანოს მიერ) მოპოვება

3.5.1.3	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;*	ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (2024 წლის 01 მაისის ჩათვლით) უზრუნველყოს, სკოლის შიდა კიბეებზე პანდუსის მოწყობა ეტლით მოსარგებლე პირებისთვის.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***რჩევა***
1.1.1.5	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;*	*სკოლას მიეცა რჩევა გამოიყენოს მისიის, ხედვის და ღირებულებების საჯაროობის ალტერნატიული მექანიზმები, მაგ: მისია, ხედვა და ღირებულებები განათავსოს სოციალურ ქსელში, გაუგზავნოს დაინტერესებულ მხარეებს ელექტრონული ფოსტით და სხვ.*
1.2.1.2.	*სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.*	*სტარეტეგიული გეგმით არ არის განსაზღვრული მიზნის მიღწევის ინდიკატორები, აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე სკოლას მიეცა რჩევა განსაზღვროს ის ობიექტური გარემოებები, რომელიც დაადასტურებს, სკოლის სტრატეგიული მიზნების მიღწევას, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს სტარეგიული გეგმის შესრულების შედეგების სათანადო შეფასებას.*

1.2.2.4	*სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.*	*სკოლას მიეცა რჩევა მონიტორინგის და შეფასების პროცესის თითოეულ ეტაპზე შექმნას სათანადო მტკიცებულებები რომელიც დაადასტურებს პროცესის მიმდინარეობას.*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
3.1.2.2	*სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;*	*სკოლას მიეცა რჩევა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტში გაწეროს პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები*
3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;*	*სკოლას მიეცა რჩევა ღია კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილება დაასაბუთოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის" მე-4 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული წესით.*
3.4.1.5.	*სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას.*	*ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით სკოლის მიერ დადგენილი მექანიზმები უფრო მეტად უნდა უწყობდეს ხელს მასწავლებლებს, მშობლებს/სხვა კანონიერ წარმომადგენლებს, რათა გააძლიერონ მოსწავლეები ციფრულ გარემოში და დაიცვან შესაბამისი ბალანსი*

		ონლაინ უსაფრთხოებასა და მოსწავლის მონაწილეობას შორის, ამასთან უფრო მეტად უნდა გამოიკვეთოს მასწავლებლების როლი ამ სფეროში. სკოლას მიეცა რჩევა შიდა სასკოლო მექანიზმების გამოყენებით განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მოსწავლეებისათვის ციფრული მოქალაქეობის განათლების მნიშვნელობას.
3.6.1.1.	*ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას*	*სკოლას მიეცა რჩევა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით კომპიუტერულ ლაბორატორიაში გაზარდოს კომპიუტერების რაოდენობა, კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად.*
3.6.2.4.	*სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.*	*სკოლას მიეცა რჩევა საქმისწარმოების წესში განსაზღვროს ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა, რომელთა შესაბამისადაც ხორციელდება პროცესები*
3.7.1.2.	*სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.*	*სკოლას მიეცა რჩევა დანერგოს ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომელიც რეალურად მიგვიყვანს დასახული მიზნების შესრულებამდე. მიზანშეწონილია ბიუჯეტირების პროცესში ჩართული იქნას სკოლის მომსახურებით მოსარგებლე მოქალაქეთა უდიდესი უმრავლესობა, დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვა ნებისმიერი დაინტერესებული პირი. საჯარო ინიციატივების შედეგების ანალიზის საფუძველზე უნდა შედგეს ბიუჯეტის პროექტი, რომელიც საბოლოო სახით უნდა ჩამოყალიბდეს სამეურვეო საბჭოსა და ადმინისტრაციის მიერ მოპოვებული ინფორმაციის შეჯერების შედეგად.*

სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
4.1.2.2.	*სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს.*	*სკოლას მიეცა რჩევა მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩაურთველობის შემთხვევის მართვის მიზნით, კლასის დამრიგებელთან ერთად ჩართოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი“ -ს მე-9 მუხლით განსაზღვრული წესის შესაბამისად.*
4.2.1.3	*მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;*	*სკოლას მიეცა რჩევა სარემედიაციო პროგრამის განხორციელებისას მეტი ყურადღება დაუთმოს დიაგნოსტირების პროცესს, ვინაიდან სკრინინგის ტესტის შედეგები გვიჩვენებს, თუ ვის უნდა ჩავუტაროთ ჩაღრმავებული დიაგნოსტიკური ანალიზი. ამასთან საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნას მოსწავლეთა დახმარების სხვადასხვა ფორმა, მაგალითად დამატებითი მეცადინეობა, კონსულტირება ვადებისა და ფორმის მითითებით. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს სხვადასხვა გზით ჰქონდეს მსგავსი სერვისების მიღების შესაძლებლობა.*
4.2.2.3	*სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.*	*სკოლას მიეცა რჩევა კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით განახორციელოს კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების კვლევა (შესაძლებელია იყოს როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი და განხორციელდეს წინასწარ გაწერილი მეთოდოლოგიის საფუძველზე, შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით), რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება იდენტიფიცირება რამდენად დაეხმარა მოსწავლეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კარიერული დაგეგმვის სერვისი მისი უნარების და ინტერესების შესაბამისი*

		პროფესიული არჩევანის გაკეთებაში ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებაში.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	*რჩევა*
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სკოლა მიეცა რჩევა უცხოურ ენაში დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმში გაიწეროს რა აქტივობები განხორციელდება და რა რესურსები იქნება გამოყენებული იმ თემებთან სადაც არ არის დაგეგმილი კომპლექსური დავალების განხორციელება.
2.1.2.2	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	სკოლას მიეცა რჩევა: 1 და მე-3 კლასებში ხელოვნების კურიკულუმში გათვალისწინებული იქნეს ე.ს.გ.ით გათვლილი სავალდებულო სამივე თემატური ბლოკის დამუშავება. მხოლოდ ორი ბლოკია დამუშავებული პირველ კლასში. მესამე კლასში კი გაწერილ თემას მიეთითოს ბლოკის დასახელება. სკოლას მიეცა რჩევა დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი იყოს მეტი კომპლექსური დავალება.
2.1.2.4.	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	სკოლას მიეცა რჩევა უცხოურ ენაში 1.არ გამოიყენოს ზოგადი ხასიათის რუბრიკები საკლასო და საშნაო დავალებების შესაფასებლად. 2. შემაჯამებელი დავალებებისთვისაც გამოიყენოონ რუბრიკები რომლებიც მიმართული იქნება გრძელვადიან მიზნებზე.

2.2.1.1.	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;	სკოლას მიეცა რჩევა უცხოურ ენაში : კურიკულუმში იმ თემებთან მიმართებაში სადაც კომპლექსური დავალებები არ არის დაგეგმილი გაწერონ და წარმოადგინონ რა აქტივობებს და რა რესუსრსების გამოყენებით განახორციელებენ
2.2.1.2	ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;	სკოლას მიეცა რჩევა საზოგადოებრივ მეცნიერებებში „მე და საზოგადოებისა“ და „ჩვენი საქართველოს“ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანდეს მეტი მაგალითები შედარებისათვის.
2.2.1.5	სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება	სკოლას მიეცა რჩევა საზოგადოებრივ მეცნიერებებში , ერთი თემის ფარგლებში გაწერილი იყოს მინიმუმ ერთი კომპლექსური დავალება, სასწავლო რესურსები კი იყოს უფრო მეტად მრავალფეროვანი.
2.2.2.3.	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;	უცხო ენებთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რჩევა საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებების შეეფასებისას შეიმუშაონ რუბრიკები რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს.
2.2.2.4.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	უცხო ენებში სკოლას მიეცა რჩევა, მოხდეს მოსწავლის პორტფოლიოს წარმოება, რაც მასწავლებელს მისცემს საშუალებას მოსწავლის მრავალმხრივ შეფასებისა.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **(საბაზო საფეხური)**	*რჩევა*
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სკოლას მიეცა რჩევა, საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებმა, სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში გაწერონ ერთი სავალდებულო თემის ფარგლებში მინიმუმ ერთი კომპლექსური ხასიათის დავალება. უმჯობესი იქნებოდა კურიკულუმის ჩაჩოებში მითითებული იყოს სახელმძღვანელოს გარდა სხვა ტიპის მრავალფეროვანი ციფრული რესურსები. სკოლას მიეცა რჩევა, უცხო ენების პედაგოგებმა საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმში გაწერონ რა აქტივობები განხორციელდება და რა რესურსები იქნება გამოყენებული იმ თემებთან სადაც არ არის დაგეგმილი კომპლექსური დავალების განხორციელება.
2.1.2.2.	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	სკოლას მიეცა რჩევა, ესთეტიკის კათედრის მასწავლებლებმა გაითვალისწინონ მე-7 და მე-8 კლასის კურიკულუმის ცხრილში რომელი ქვეცნება მუშავდება კონკრეტული სამიზნე ცნების ქვეშ.
2.1.2.4.	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	სკოლას მიეცა რჩევა, უცხო ენების პედაგოგებმაა : 1. არ გამოიყენონ ზოგადი ხასიათის რუბრიკები საკლასო და საშინაო დავალებების შესაფასებლად. 2.შემაჯამებელი დავალებებისთვისაც გამოიყენოონ რუბრიკები რომლებიც მიმართული იქნება გრძელვადიან მიზნებზე.

2.2.1.1.	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;	სკოლას მიეცა რჩევა, უცხო ენების კათედრამ კურიკულუმში იმ თემებთან მიმართებაში სადაც კომპლექსური დავალებები არ არის დაგეგმილი გაწერონ და წარმოადგინონ რა აქტივობებს და რა რესუსრსების გამოყენებით განახორციელებენ.
2.2.1.2.	ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;	სკოლას მიეცა რჩევა, საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრამ საგნობრივ კურიკულუმებში ასახოს მეტი კონტექსტ-მაგალითები შედარებისათვის. კომპლესური დავალებები რაოდენობა უფრო გაზარდონ.
2.2.2.3	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;	სკოლას მიეცა რჩევა, უცხო ენების პედაგოგებმა საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებების შეფასებისას შეიმუშაონ რუბრიკები რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს.
2.2.2.4.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	სკოლას მიეცა რჩევა, უცხო ენების პედაგოგბმა , მოსწავლის პორტფოლიოს აწარმოონ, რაც მასწავლებელს მისცემს საშუალებას მოსწავლის მრავალმხრივ შეფასებისა.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	*რჩევა*
2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სკოლას მიეცა რჩევა, ზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებმა მე-10 კლასის კურიკულუმებში გაწერონ ერთი სავალდებულო თემის ფარგლებში მინიმუმ ერთი კომპლექსური ხასიათის დავალება. უმჯობესი იქნებოდა

		კურიკულუმის ჩაჩოებში მითითებული იყოს სახელმძღვანელოს გარდა სხვა ტიპის მრავალფეროვანი ციფრული რესურსები. უცხო ენების პედაგოგებმა ყველა კლასის კურიკულუმში გაწერონ რა აქტივობები განხორციელდება და რა რესურსები იქნება გამოყენებული იმ თემებთან სადაც არ არის დაგეგმილი კომპლექსური დავალების განხორციელება.
2.1.2.2.	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	სკოლას მიეცა რჩევა: პროექტული სწავლების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენილია მხოლოდ მე-10 კლასისათვის. ეს კომპონენტი ფორმალურ განათლებაში ყველაზე მეტად ავითარებს გლობალურ-ფუნქციურ უნარებს, ამიტომ კარგი იქნებოდა საგნობრივ კათედრას წარმოედგინა იგივე მე-11 კლასისათვის.
2.1.2.4.	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	სკოლას მიეცა რჩევა, უცხო ენების პედაგოგებმა : 1. არ გამოიყენონ ზოგადი ხასიათის რუბრიკები საკლასო და საშინაო დავალებების შესაფასებლად 2.შემაჯამებელი დავალებებისთვისაც გამოიყენოონ რუბრიკები რომლებიც მიმართული იქნება გრძელვადიან მიზნებზე.
2.2.1.1.	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;	სკოლას მიეცა რჩევა უცხო ენების კათედრამ, კურიკულუმში იმ თემებთან მიმართებაში სადაც კომპლექსური დავალებები არ არის დაგეგმილი გაწერონ და წარმოადგინონ რა აქტივობებს და რა რესუსრსების გამოყენებით განახორციელებენ.

2.2.2.3.	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;	სკოლას მიეცა რჩევა, უცხო ენების პედაგოგებმა, საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებების შეფასებისას შეიმუშაონ რუბრიკები რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს.
2.2.2.4.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;	სკოლას მიეცა რჩევა, უცხო ენების პედაგოგებმა მოსწავლის პორტფოლიოს აწარმოონ, რაც მასწავლებელს მისცემს საშუალებას მოსწავლის მრავალმხრივ შეფასებისა.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლამ 2023 წლის 17 ნოემბრის MES 0 23 0001569333 კორესპონდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში ავტორიზაციის დებულება) 25[1]-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მტკიცებულებები ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ კონკრეტული ხარვეზის აღმოსაფხვრელად გამოყოფილ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების მე-15[2] მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად გათვალისწინებულ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და ექსპერტთა შეფასება შეიცვალა შემდეგ ხარვეზებთან მიმართებით:

3.4.1.1. ინდიკატორი სკოლას არ აქვს:

➢ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან) შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

➢ შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა (გაცემული შესაბამისი სფეროს აკრედიტებული ორგანოს მიერ).

3.5.1.3. ინდიკატორი - სკოლის შიდა კიბეებზე არ არის პანდუსები, რაც ზღუდავს ეტლით მოსარგებლე პირების გადაადგილებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის მტკიცებულება, კერძოდ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამის სამსახურთან შეთანხმის დამადასტურებელი მიწერილობა N MIA 1 23 03229212 და საგანგებო სიტუაციების რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება - N 1/კ-58 01.11.2023 წ.).

აღნიშნულ ხარვეზებთან მიმართებით შეიცვალა შეფასება და შეფასდა როგორც ,, მეტწილად შესაბამისი“.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ქ.ფოთის N3 საჯარო სკოლის (შემდგომში-სკოლა) მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, სკოლის მისიით გაცხადებულია, რომ სკოლა ორიენტირებულია უზრუნველყოს უსაფრთხო გარემო მაღალი ხარისხის, მოსწავლეზე ორიენტირებული, ინკლუზიური განათლება სწავლების სამივე საფეხურზე. აღზარდოს ეროვნული ინტერესებისა და კულტურული ფასეულობების დამცველი, თავისუფალი, კომუნიკაბელური, თავდაჯერებული, აქტიური მოქალაქე. შექმნას სათანადო პირობები მოსწავლეთა ინტელექტუალური, ფიზიკური, სულიერი თვისებებისა და შესაძლებლობების გამოსავლენად და გასავითარებლად. ფორმალური და არაფორმალური განათლების STEM საგნების ინტეგრაციით ხელი შეუწყოს ქმედითუნარიანი, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე, გლობალური მოქალაქეების ჩამოყალიბებას. სკოლის ხედვაში ასახულია სკოლის მისწრაფებები ანუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ, კერძოდ სკოლის ხედვაა, რომ სკოლა გრძელვადიან პერსპექტივაში შეძლებს ჩამოაყალიბოს ევროპული ენების, STEM საგნების და ფორმალური და არაფორმალური განათლების ინტეგრაციის ხარჯზე, მუდმივად ცოდნის მაძიებელი მოქალაქე, რომელიც თავისუფალი აზროვნებისა და ღირებულებების საფუძველზე შეძლებს გარემოსთან ადაპტაციასა და მსოფლიო ბაზარზე თავის დამკვიდრებას. მისია, ხედვა და ღირებულებები დეკლარირებულია სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში (2023-2030წ). **ინდიკატორი შეესაბამება**
2. სკოლას აქვს პიროვნული ზრდის, სასკოლო თემის წევრებისთვის პოტენციური შესაძლებლობების განვითარების საშუალებები (სკოლაში არის სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები). სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა საკუთარ თავს განიხილავს, როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის მიერ ჩამოყალიბებული წესები (შიდა დოკუმენტები, სკოლის შინაგანაწესი, დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები და სხვა) აყალიბებს განვითარებაზე ორიენტირებულ სისტემას, სკოლაში არის პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო (რაც დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით), რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას. **ინდიკატორი შეესაბამება**
3. სკოლის მიერ მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის დასადასტურებლად წარმოდგენილი იქნა სკოლის დირექტორის ბრძანება (29.05.2023 N2-61) სკოლის ფილოსოფიაზე, სტრატეგიის, 7 წლიან გეგმაზე მომუშავე შიდა სასკოლო ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე. ამასთან სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა ინფორმაცია პროექტი „ჩემი ხმა ჩემს სკოლაში“. განხორციელების შესახებ. აღნიშნული პროექტის მიზანი იყო სკოლის მისიის კვლევა, სასკოლო სივრცესთან მისი თანხვედრის დადგენა და ცნობადობის დონის განსაზღვრა. საინიციატივო ჯგუფი მოიცავდა როგორც საბაზო, ისე საშუალო საფეხურის მოსწავლეებს. პირველ ეტაპზე გუნდმა წერილით მიმართა სკოლის დირექტორს და გამოითხოვა ზემო

აღნიშნული დოკუმენტი. მოსწავლეებმა შეისწავლეს სკოლის მისია. ამის შემდეგ სკოლაში ჩაატარეს კვლევა იმის დასადგენად, თუ რამდენად იცნობდა სასკოლო საზოგადოება მისიას, რამდენად მიაჩნდათ სწორად ის აქცენტები, რომლებიც სკოლის მისიაში იყო აღნიშნული და რა ცვლილებებს შეიტანდნენ მასში. გამოკითხულთა შორის იყვნენ: სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები. პროექტის დასკვნით ეტაპზე ჯგუფმა შეიმუშავა ცვლილებები და რეკომენდაციები, რომელიც წარედგინა დირექციას. დირექციამ რეკომენდაციების პაკეტი გადასცა სამუშაო ჯგუფს , რომელმაც შეიტანა ცვლილებები მისიაში.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით) ანალიზით დგინდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრულია მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ხელშემწყობი მკაფიო მექანიზმები, პროცედურები, რომლითაც ხელშეწყობილი იქნება სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ეფექტური ჩართულობა. **ინდიკატორი შეესაბამება**

4. წარმოდგენილი დოკუმენტებით და განხორციელებული სასკოლო პროექტით „ჩემი ხმა ჩემს სკოლაში“ დასტურდება, რომ სკოლამ მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარება უზრუნველყო სამუშაო ფორმატში. სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტის თანახმად მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფილია პროცესების სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარმართვით და დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების პროექტ(ებ)ის გაზიარებით.

სკოლაში დოკუმენტების გაზიარებისათვის გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო საშუალებები: ა) სკოლის ვებგვერდი;
ბ) სოციალური ქსელი; გ) დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა. **ინდიკატორი შეესაბამება**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებ.გვერდზე, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისთვის საჯარო ხელმისაწვდომობას. სკოლის მისია და ხედვა ასევე განთავსებულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე. **სკოლას მიეცა რჩევა** გამოიყენოს მისიის, ხედვის და ღირებულებების საჯაროობის ალტერნატიული მექანიზმები, მაგ: მისია, ხედვა და ღირებულებები განათავსოს სოციალურ ქსელში, გაუგზავნოს დაინტერესებულ მხარეებს ელექტრონული ფოსტით და სხვ. **ინდიკატორი შეესაბამება**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448, 2005 წლის 13 სექტემბერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №194, 2007 წლის 16 მარტი „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“). **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2030 წწ.

- სკოლის დირექტორის ბრძანება (29.05.2023 N2-61)
- ინფორმაცია პროექტის „ჩემი ხმა ჩემს სკოლაში“ შესახებ.
- სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი.
- სკოლის ვებ.გვერდი - skolebi.emis.ge

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი. რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული, სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შემდგომში მათი განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს. წარმოდგენილი დოკუმენტით, იფარება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხები, მოიცავს სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. **ინდიკატორი შეესაბამება**

2 სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა (რომელიც დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ) არის შვიდწლიანი, (2023-2030წწ) სტრატეგიული გეგმა მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზანს და მიზნის მიღწევის გზებს. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური, კერძოდ განსაზღვრულია დოკუმენტის განახლება/მომზადება ყოველ 7 წელიწადში ერთხელ. სტრატეგიული გეგმა თანხვედრაშია მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან და დგინდება აღნიშნულ დოკუმენტებთან შესაბამისობა. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.

სტრატეგიული გეგმით არ არის განსაზღვრული მიზნის მიღწევის ინდიკატორები, აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე **სკოლას მიეცა რჩევა** განსაზღვროს ის ობიექტური გარემოებები, რომელიც დაადასტურებს, სკოლის სტრატეგიული მიზნების მიღწევას, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგების სათანადო შეფასებას. **ინდიკატორი შეესაბამება**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილია 2023-2024 სასწავლო წლის სკოლის განვითარების სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ. **ინდიკატორი შეესაბამება**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში (2023-2024 წწ) მოცემულია გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც იქნება რეალისტური. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი.
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2030 წწ.
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024 წწ.
- სამეურვეო საბჭოს ოქმი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, კერძოდ აღნიშნულ საკითხებს არეგულირებს დოკუმენტის მე-12 მუხლი, რომლის თანახმადაც სკოლამ სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება უნდა განახორციელოს წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე (სამუშაო ჯგუფი იქმნება სკოლის დირექტორის ბრძანებით). სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი. წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება სკოლის დირექტორს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს.**ინდიკატორი შეესაბამება**

2 ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ამ ეტაპზე სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, განხორციელებული არ არის, თუმცა სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის ანალიზით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება სკოლის მზაობა მონიტორინგისა და შეფასების პროცესი იქცეს სასკოლო ცხოვრების განუყოფელ ნაწილად, რომელიც უზრუნველყოფს პროცესების ხარისხიან მიმდინარეობაზე ზედამხედველობასა და მხარდაჭერას.**ინდიკატორი შეესაბამება**

3. სკოლის დირექციის განმარტებით სკოლის მიერ სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ყველა აქტივობისთვის ცნობილი და გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნული ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდება სამუშაო შეხვედრებზე. **ინდიკატორი შეესაბამება**

4. სკოლას აქვს მზაობა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **სკოლას მიეცა რჩევა მონიტორინგის და შეფასების პროცესის თითოეულ ეტაპზე შექმნას სათანადო მტკიცებულებები რომელიც დაადასტურებს პროცესის მიმდინარეობას მაგ., თუ რომელიმე აქტივობა არ ან ვერ შესრულდა, რა რეაგირება მოჰყვა ამას: გეგმის კორექტირება, ჩანაწერების დაზუსტება, ვადების გადაწევა, აქტივობის ჩანაცვლება თუ სხვა. ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია, სკოლის სტრუქტურის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება (ბრძანება N1/კ-38 18.09.2023 წ). დოკუმენტი აზუსტებს სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს და დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობას. სკოლის საშტატო განრიგით დასაქმებული პირები არიან: დირექტორი; დირექტორის მოადგილე; ბუღალტერი; ბიბლიოთეკარი; საქმისმწარმოებელი; მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საინფორმაციო მენეჯერი, საგნის მასწავლებლები; არასაშტატო პოზიციაზე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები არიან: სკოლის ექიმი, ფსიქოლოგი, დარაჯი, დამლაგებელი. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი და ცეცხლფარეში. სკოლის სტრუქტურული მოწყობა შესაბამისობაშია ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონთან, კერძოდ სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: დირექცია, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი.**ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია დასაქმებულთა მიერ დაკავებული შრომითი პოზიციების მიხედვით, არ არის გადაფარული სხვადასხვა დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები, დაკისრებული შრომითი მოვალეობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან (შრომის კოდექსი, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი და სხვა) რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურის შესახებ დოკუმენტი
- საშტატო განრიგი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს პერსონალის მართვის პროცედურებს. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებია:

ა) სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა;

ბ) დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება;

გ) დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

სკოლის მიერ წარმოდგენილია შრომის შინაგანაწესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგნოზირებად სამუშაო გარემოს. აღნიშნული დოკუმენტი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. **ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მიერ პერსონალის პრევენციული და ინტერვენციული მართვის საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუმცა შიდა სასკოლო დოკუმენტით არ არის დარეგულირებული პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები, კერძოდ არ არის დარეგულირებული დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში როგორ უზრუნველყოფს სკოლა სამუშაოზე არ მყოფი დასაქმებულის ფუნქციების დელეგირებას სხვაზე ისე, რომ არ დაზარალდეს სკოლაში მიმდინარე პროცესები. მაგალითად, როგორ მოხდება მასწავლებლის გაცდენის ან/და საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის შემთხვევაში მისი შეცვლა კოლეგებით ან შემცვლელი მასწავლებლის დაქირავებით, აღნიშნული საკითხები სკოლის მიერ იმართება დადგენილი სამუშაო პრაქტიკის მიხედვით და არა გაწერილი ინსტრუქციის შესაბამისად. **სკოლას მიეცა რჩევა** ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტში გაწეროს პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები.**ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლა უზრუნველყოფს ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებას ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და კორექტულობის პრინციპების გათვალისწინებით, სკოლა თანამშრომელთა შერჩევისას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით.

სკოლის დირექტორის 2023 წლის 5 სექტემბრის N 2-152 ბრძანებით გამოცხადებულია ღია კონკურსი მასწავლებლის შესარჩევად. კონკურსის გამოცხადების შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება არ შეიცავს დასაბუთებას რატომ ვერ შეივსო, არსებული ვაკანტური პოზიცია შიდა კონკურსის საფუძველზე და რა ფაქტობრივმა გარემოებებმა განაპირობა ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე სკოლას მიეცა რჩევა ღია კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილება დაასაბუთოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მე-4 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული წესით.

დასაქმებულთა პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა, რომ თანამშრომელთა პირად საქმეში განთავსებულია ცნობა ნასამართლობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ. **ინდიკატორი შეესაბამება**

4. სკოლის პედაგოგებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნებთან. სკოლას უფროს მასწავლებელთან გაფორმებული აქვს უფროსი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება, ხოლო წამყვან მასწავლებელთან წამყვანი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება; (ავტორიზაციის ვიზიტის დროს სკოლას მენტორი მასწავლებელი არ ჰყავდა). სკოლის პედაგოგების და პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ დაკავებულ პოზიციებს. **ინდიკატორი შეესაბამება**

5. სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მართვა ხორციელდება მონაწილეობით, რაც გულისხმობს პერსონალის მაღალ ჩართულობას და თანამშრომლობას დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების პროცესში. სკოლის პედაგოგების და მშობელთა წარმომადგენლები კანონმდებლობით დადგენილი წესით არჩეული არიან სამეურვეო საბჭოში, სკოლის მიერ შექმნილია სამუშაო ჯგუფები (მაგ: სტრატეგიული გეგმის შექმნაზე მომუშავე ჯგუფი) რაც უზრუნველყოფს მონაწილეობით მმართველობის განხორციელებას. პედაგოგებთან გასაუბრებით და განხორციელებული სასკოლო პროექტებით (მაგ: „ჩემი ხმა ჩემს სკოლაში“.) დგინდება, რომ სკოლაში არის მართვის მონაწილეობითი სტილი და ორგანიზაციული კულტურა, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია სასკოლო საზოგადოებაში უფრო მეტად ჩამოყალიბდეს „ჩვენ“ განცდა, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს ინიციატივების განვითარებას გუნდში. **ინდიკატორი შეესაბამება**

6. პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში არსებობს წარმატებული გამოცდილებების გაზიარების პრაქტიკის ცალკეული მაგალითები და მას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სასკოლო სივრცეში. პედაგოგები გამოყოფენ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევასთან დაკავშირებულ აქტივობებს, კერძოდ აღნიშნავენ რომ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა და სამუშაო შეხვედრაზე კოლეგებისათვის გაზიარება საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ არსებულ გამოცდილებას, დასვან კითხვები, მიიღონ პასუხები, მოტივირდნენ კონსტრუქციული, პოზიტიური უკუკავშირით და აღიარებით. წარმატებული გამოცდილების გაზიარების პრაქტიკის განვითარებისთვის.**ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი.
- ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება
- შრომითი ხელშეკრულება წამყვან მასწავლებელთან
- შრომითი ხელშეკრულება უფროს მასწავლებელთან.
- მასწავლებლის პრაქტიკული საქმიანობა - რეფლექსია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტის მე-19 მუხლი არეგულირებს დასაქმებულთა მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლის მიხედვითაც ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება, რისთვისაც ხორციელდება სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის პროცესი. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში. ავლენს სამუშაოს შესრულების ხარისხის განმაპირობებელ გარემოებებს და დასაქმებულთა პროფესიული განვითარების კუთხით დამატებით საჭიროებებს.

სკოლის მიერ პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმების მარეგულირებელი დოკუმენტის თანახმად: შეფასების პროცესის ძირითადი ეტაპებია: (ა) დაგეგმვა; (ბ) თვითშეფასება; (გ) გასაუბრება; (დ) საბოლოო შეფასება, ხოლო პერსონალის განვითარების ხედვა და პოლიტიკა ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს: (ა) მოქნილობა; (ბ) სწავლის მხარდაჭერა; (გ) შეფასება, როგორც სწავლის საშუალება; (დ) პროგრესის მონიტორინგი და მხარდაჭერა; (დ) უწყვეტი განათლების სერვისების შეთავაზება. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2 სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტის მე-20 მუხლი არეგულირებს პროფესიული განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლის თანახმადაც სკოლის პროფესიული განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ საკვანძო პრინციპებს: (ა) პროფესიული განვითარება, როგორიც ყოველდღიური, მიმდინარე პროცესი - კერძოდ სკოლის მიერ დადგენილ მექანიზმში აღნიშნულია, რომ საგანმანათლებლო პროცესი და პროფესიული განვითარება არის არა „დანიშნულების ადგილი“, რომელსაც ოდესღაც უნდა მივაღწიოთ, არამედ მუდმივი „მოგზაურობა“, ახალი პერსპექტივები, ხედვები და რეფლექსიები. შესაბამისად პროფესიული განვითარების პოლიტიკის შემუშავებისას აქცენტი კეთდება სწავლისა და გაგების პროცესსა და მხარდაჭერაზე, ნაცვლად შეფასებითი დამოკიდებულებისა; (ბ). შეფასება, როგორც კონსტრუქციული უკუკავშირი განვითარებისთვის - კერძოდ, სკოლის მიერ დადგენილი მექანიზმის თანახმად შეფასება და უკუკავშირი დაფუძნებულია კოლეგების მხარდაჭერასა და გუნდურ მუშაობაზე, მიზნობრივ დაგეგმვასა და პროცესების მონიტორინგსა და რეფლექსიაზე. სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ ავტონომიურობის და დამოუკიდებელი მოქმედების თავისუფლება, შესაძლებლობა, რომ დაგეგმონ, განახორციელონ ინოვაციური ხედვები. შეფასება კი ორიენტირებულია სისტემურ, დიფერენცირებულ ანალიზზე, ნაცვლად პასუხისა რა არის სწორი და რა არის არასწორი; (გ). სასკოლო საზოგადოების ურთიერთნდობა, როგორც განვითარების უპირობო საფუძველი.**ინდიკატორი შეესაბამება**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს პერსონალის კარიერულ ზრდასთან დაკავშირებულ საკითხებს, პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით, სკოლა ერთვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში, პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების

მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. ექსპერტთა მოსაზრებით დასტურდება სკოლის მზაობა ხელშეწყობილი იქნას სკოლის ბაზაზე პერსონალის კარიერული ზრდა.**ინდიკატორი შეესაბამება**

4. სკოლას ახალი თანამშრომლის მიღების შემთხვევაში მისი სოციალიზაციისათვის საჭირო პროცედურებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები გაწერილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტში. სკოლის დირექციასთან პედაგოგებთან გასაუბრებით დასტურდება სკოლის მზაობა უზრუნველყოს ახალი თანამშრომლის სკოლასთან ადაპტაციის პროცესის ეფექტური მართვა.**ინდიკატორი შეესაბამება**

5. სკოლის პედაგოგებთან, პერსონალთან გასაუბრებით დგინდება, რომ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლის მიერ დადგენილი მექანიზმების თანახმად თანამშრომელთა მოტივირება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ. მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: (ა) მადლობის გამოცხადება; (გ) სიგელით დაჯილდოება; (დ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; (ე) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანება N1/კ-26 08.09.2023წ), რომელიც აღწერს და არეგულირებს სკოლის მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. დოკუმენტი არეგულირებს ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და დამტკიცებულია პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია ,,მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით“ (საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის N 241 დადგენილება) დადგენილ მოთხოვნებთან.**ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობით, ძირითად, ასევე დამხმარე პროცესები, კერძოდ მოცემული საკითხები რეგულირდება ხარისხის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით, სკოლის შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმით, საქმისწარმოების წესით, პერსონალური მონაცემების დაცვის წესით, სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტებით. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს საკითხებს თუ რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი.**ინდიკატორი შეესაბამება**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილია შრომის შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს საჩივრის წარდგენასთან და მის განხილვასთან დაკავშირებულ ცალკეულ პროცედურებს. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტი, აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის ინსტრუქციას. სკოლის მიერ დადგენილი გასაჩივრების მექანიზმები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და შესაძლებლობას იძლევა მოხდეს წარდგენილ საჩივრებზე ეფექტური რეაგირება.**ინდიკატორი შეესაბამება**

4. სკოლის პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები სკოლას გაწერილი აქვს შინაგანაწესში, აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დარღვევაზე სკოლის მიერ გასატარებელ ღონისძიებებს, აღწერილია დისციპლინური კომიტეტის საქმიანობა, უფლებამოსილების ფარგლები. სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებული საკითხები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
- სკოლის შინაგანაწესი
- პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექციის, მასწავლებლების განმარტებით მართვის პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების მიზნით სკოლა აქტიურად იყენებს სკოლის ოფიციალურ სოციალურ გვერდებს და ვებ.გვერდს. სკოლაში შემოსული მოქალაქეების ინფორმირებაზე, მათ შეკითხვებზე პირველადი პასუხების გაცემის ვალდებულება დაკისრებული აქვს საქმისმწარმოებელს. იმ შემთხვევაში თუ საკითხი სცდება მისი კომპეტენციის ფარგლებს, განსაზღვრავს ვიზიტორისთვის შემდგომ ადრესატს სამსახურებრივი პოზიციის გათვალისწინებით.**ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლის კოლეგიალური ორგანოები დაკომპლექტებულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების წარმომადგენლებით (მაგალითად, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო). იკვეთება აღნიშნული ორგანოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც დასტურდება კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმებით.**ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *Skolebi.emis.ge (ერთიანი პორტალი).*
- *სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს მანდატური (სამი მანდატური). სკოლა აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოსათვალთვალო სისტემით. სკოლის გარე პერიმეტრი მოწესრიგებულია, სკოლის ტერიტორია არის შემოღობილი.

ავტორიზაციის ვიზიტის დროს სკოლას არ ქონდა :

- **შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა (გაცემული შესაბამისი სფეროს აკრედიტებული ორგანოს მიერ).**

აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლამ 2023 წლის 17 ნოემბრის MES 0 23 0001569333 **კორესპონდენციით წარმოადგინა შესაბამისობის** უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს (დაგეგმილი აქტივობის დასრულების საბოლოო ვადაა 20.08.2024 წელი), პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს.

ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში 2024 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით უზრუნველყოს: შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვება (გაცემული შესაბამისი სფეროს აკრედიტებული ორგანოს მიერ).

სკოლამ 2023 წლის 17 ნოემბრის MES 0 23 0001569333 კორესპონდენციასთან ერთად წარმოადგინა მიწერილობა N MIA 1 23 03229212-03.11.2023), რომლითაც დასტურდება, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეესაბამება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის No452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს და შეთანხმებულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ.

სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები, კერძოდ სკოლის პირველ სართულზე მოწყობილია ექიმის კაბინეტი. სკოლას ჰყავს ექიმი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება და რომლის კვალიფიკაციაც შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლას გაწერილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 09 სექტემბრის N1/კ-44 ბრძანებით.

სკოლამ ვერ წარმოადგინა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, სკოლის მიერ წარმოდგენილია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე მიწერილობა N22 (01.07.2020 წელი) და სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი № 231 (07.09.2023 წ), აღნიშნული დოკუმენტების თანახმად სკოლის შენობის მიზნობრივი სახანძრო-ტექნიკური შემოწმების (გამოკვლევის) დროს გამოვლენილია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევა, რომლის აღმოფხვრისათვის სკოლას მიცემული აქვს შესაბამისი ვადა, ვადების გადამოწმებით დგინდება, რომ სკოლას კვლავ რჩება შესასრულებელი ვალდებულებები, რომლის შესრულებისთვისაც სკოლის მიერ ტარდება შესაბამისი ღონისძიებები. სკოლის დირექციის განმარტებით, გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრა მოხდება უმოკლეს ვადებში.სკოლის დირექტორის ბრძანებით (ბრძანება N1/კ-18 06.09.2023) განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი.

მოსწავლეთა და სამედიცინო პერსონალის რაოდენობათა თანაფარდობის მიხედვით სკოლას რეკომენდირებულია ჰყავდეს 2 ექიმი, ვინაიდან სკოლაში ირიცხება 800-ზე მეტი მოსწავლე. (საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ 2022 წლის 21 მარტი). მოცემულ გამოვლენილ გარემოებებთან დაკავშირებით **სკოლას მიეცა რჩევა** დაიცვას საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტით დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ სამუშაოზე აიყვანოს დამატებით ერთი ექიმი.

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას გამოყოფილი არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით სკოლას **მიეცა რჩევა** - გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. **ინდიკატორი არის „მეტწილად შესაბამისი"**

2. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მანდატური. სკოლაში არსებობს ინსტრუმენტი/მექანიზმი, რომელიც საშუალებას იძლევა სკოლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი იქნეს ნივთები, რომელთა ქონა/გამოყენება სკოლის ტერიტორიაზე აკრძალულია, კერძოდ სკოლა აქვს მეტალოდეტექტორი. სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებულია (შინაგანაწესის მე-7 მუხლი) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილების წესი, კერძოდ შინაგანაწესი ზღუდავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს გარეშე პირთა სკოლის შენობაში ან სკოლის ტერიტორიაზე შესვლას სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე.**ინდიკატორი შეესაბამება**

3. სკოლის დირექციის, მასწავლებლების განმარტებით, სკოლა უზრუნველყოფს, სასწავლო გარემოს ემოციურ და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას. სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, რომელიც არის დამატებითი შესაძლებლობა მოსწავლეებისთვის, დაინტერესებული პირებისთვის საჭიროების შემთხვევაში მიიღონ კვალიფიციური ფსიქოლოგიური მომსახურება. სკოლის მიერ გაწერილია შიდა ინსტრუქცია ბავშვზე ძალადობის/სავარაუდო ძალადობის შემთხვევაში რეფერირების პროცედურების შესახებ (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის N1/კ-45 ბრძანებით 09.10.2023 წ).**ინდიკატორი შეესაბამება**

4. სკოლის ტერიტორიის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლა ჯეროვნად უზრუნველყოფს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე ქალებისა და ცალკე კაცებისათვის. პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით. სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სკოლაში სველი წერტილები განთავსებულია სამივე სართულზე.**ინდიკატორი შეესაბამება**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის N1/კ-19 ბრძანებით 08.09.2023 წ) რომელიც არეგულირებს სკოლის მიერ, სკოლის მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესებს და პროცედურებს. სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია აკონტროლოს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესი, სასკოლო საზოგადოებას გააცნოს პერსონალური მონაცემების დაცვის წესები. ასევე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე კონსულტაცია გაუწიოს მოსწავლეებს, მასწავლებლებს, სკოლაში დასაქმებულ პირებს.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით სკოლის მიერ დადგენილი მექანიზმები უფრო მეტად უნდა უწყობდეს ხელს მასწავლებლებს, მშობლებს/სხვა კანონიერ წარმომადგენლებს, რათა გააძლიერონ მოსწავლეები ციფრულ გარემოში და დაიცვან შესაბამისი ბალანსი ონლაინ უსაფრთხოებასა და მოსწავლის მონაწილეობას შორის, ამასთან უფრო მეტად უნდა გამოიკვეთოს მასწავლებლების როლი ამ სფეროში. **სკოლას**

მიეცა რჩევა შიდა სასკოლო მექანიზმების გამოყენებით განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მოსწავლეებისათვის ციფრული მოქალაქეობის განათლების მნიშვნელობას. **ინდიკატორი შეესაბამება**

6. სკოლის მიერ შემუშავებულია პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, რომელიც არეგულირებს ინფორმაციის დაცულობასთან დაკავშირებულ საკითხებს, სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 სექტემბრის N1/კ-19 ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (მიმდინარე დოკუმენტები, აქტიური პირადი საქმეები) ინახება საქმის მწარმოებელთან. დოკუმენტებზე და/ან მათში დაცულ ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ საქმისმწარმოებლისგან აღნიშნული დოკუმენტაციის მიღების და შესაბამისი აღრიცხვის გზით. მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს და იმ მოცულობით, რომელთაც მონაცემები სჭირდებათ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად. სკოლის მიერ გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით. სკოლის მიერ გაწერილი მექანიზმებით შესაძლებელია ინფორმაცია დაცული იქნას გარეშე პირების უკანონო წვდომისაგან. **ინდიკატორი შეესაბამება**

7. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო (შექმნილია სკოლის დირექტორის 2023 წლის 18 სექტემბრის N1/კ-37 ბრძანებთ), რომელიც განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. სკოლის დირექციის განმარტებით მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე ხდება იმ საკითხების განხილვა, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.**ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია
- სკოლის ექიმის სერტიფიკატი და დიპლომი
- სკოლის ექიმთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება.
- მიწერილობა N22 (01.07.2020 წელი) და სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი № 231(07.09.2023 წ),

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სკოლის შენობა და შესაბამისი მიწის ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაცემული აქვს სარგებლობის უფლებით (უსასყიდლოდ), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. (სკოლაში ვიზიტის დროს, ცალკეულ სივრცეებში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები). სკოლის მატერიალური რესურსი, იძლევა საშუალებას საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის. სკოლის სარგებლობაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, გათბობის სისტემა, სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო) საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება. სკოლის შენობის ნაწილი არის ორ სართულიანი, ხოლო ნაწილი სამ სართულიანი. სკოლის შენობა არის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე. სასწავლო შენობაში განთავსებულია 35 საკლასო ოთახი, მათ შორის პირველ სართულზე 13 საკლასო ოთახი, მეორე სართულზე 14 საკლასო ოთახი, ხოლო მესამე სართულზე 8 საკლასო ოთახი. სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ერთ ცვლაში. გარდა საკლასო ოთახებისა შენობაში ასევე არის: ბიბლიოთეკა (ბიბლიოთეკაში ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები), მანდატურის ოთახი, საქმისმწარმოებლის ოთახი, დირექტორის ოთახი, დირექტორის მოადგილის ოთახი, ექიმის კაბინეტი, სააქტო დარბაზი, არქივი, რესურს ოთახი (სკოლას აქვს ორი რესურსოთახი), სამასწავლებლო, ორი დახურული სპორტული დარბაზი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, დარაჯის ოთახი, კომპიუტერული ოთახი. სკოლაში არის გათბობის ცენტრალური სისტემა, სამივე სართულზე განთავსებულია სველი წერტილები გოგონებისთვის და ბიჭებისთვის. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ორი ადაპტირებული სველი წერტილი და სკოლის ბუფეტისთვის განკუთვნილი სივრცე. **ინდიკატორი შეესაბამება**

2 სკოლისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს სასკოლო რესურსების ხელმისაწვდომობა, რადგან სკოლის წარმომადგენლის მოსაზრებით, ხელმისაწვდომობა გულისხმობს ღიაობას, გამჭვირვალობას და მიუკერძოებლობას სასკოლო საზოგადოების განურჩევლად ყველა წევრისთვის დაწესებულების ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით სარგებლობისას. ხელმისაწვდომობა რესურსებზე ასევე, მნიშვნელოვანი მოტივატორია მასწავლებლებისთვის, სასკოლო გარემოში მეტი დრო დაუთმონ მოსწავლეებთან ინდივიდუალურ ან ჯგუფურ მუშაობას. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, რომელშიც ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, ბიბლიოთეკაში დაცული წიგნადი ფონდი დროებით განთავსებული იყო მე-3 სართულზე არსებულ ოთახში. **ინდიკატორი შეესაბამება**

3. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური გარემო, სადაც ყველა ბავშვს შეეძლება თავისი შესაძლებლობების გამოვლენა. სკოლას აქვს რესურს-ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერები, სკოლის შესასვლელში არის პანდუსი, სკოლას ასევე აქვს ადაპტირებული სველი წერტილი.

სკოლის შიდა კიბეებზე არ არის პანდუსები, რაც ზღუდავს ეტლით მოსარგებლე პირების გადაადგილებას, მაგალითად საბუნებისმეტყველო ლაბორატორია განთავსებულია სკოლის მეორე სართულზე, შესაბამისად ის ვერ იქნება ხელმისაწვდომი ეტლით მოსარგებლე პირებისთვის.

აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლამ 2023 წლის 17 ნოემბრის MES 0 23 0001569333 **კორესპონდენციით წარმოადგინა შესაბამისობის** უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას

განხორციელების პერიოდს (დაგეგმილი აქტივობის დასრულების საბოლოო ვადაა 01.05.2024 წელი), პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, რისკების ანალიზს.

ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში (2024 წლის 01 მაისის ჩათვლით) უზრუნველყოს, სკოლის შიდა კიბეებზე პანდუსის მოწყობა ეტლით მოსარგებლე პირებისთვის.

სკოლამ MES 5 23 0001567736 -17.11.2023 წერილით მიმართა საგანამანთლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს, რათა მოხდეს სკოლის შიდა კიბეებზე პანდუსების მონტაჟი. **ინდიკატორი არის „მეტწილად შესაბამისი“**

4. მოსწავლეებს სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად აქვთ სააქტო დარბაზი, კეთილმოწყობილი ეზო, საკლასო ოთახები აღჭურვილია ერთადგილიანი ინდივიდუალური მერხებით, დაფებით, სკოლა დაფარულია ინტერნეტით. მოსწავლეები მართავენ სხვადასხვა ღონისძიებებს, ღონისძიებების ამსახველი მასალები (ფოტოები, მოსწავლეთა ნამუშევრები) განთავსებულია სკოლის დერეფანში და საკლასო ოთახებში. **ინდიკატორი შეესაბამება**

5. საგნობრივ კურიკულუმებში მითითებული რესურსები, როგორც სახელმძღვანელოები, ასევე ელექტრონული რესურსები და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის, მათ შეუძლიათ ეს რესურსები სასწავლო მიზნით გამოიყენონ არასაგაკვეთილო დროსაც. ამისთვის სკოლა უქმნის მათ ყოველგვარ პირობას და უპირობო მხარდაჭერა აქვთ მასწავლებლების მხრიდანაც. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. სკოლაში არის წიგნადი ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის და მოიცავს სახელმძღვანელოებს, მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურას, პერიოდიკას .**ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის შენობის შიდა აზომვითი ნახაზი*
- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.*
- *ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა. სკოლას აქვს ციფრული ტრანსფორმაციული ხედვა, რაც მჭიდრო კავშირშია სასწავლო პროცესებთან. სკოლა აღჭურვილია ტექნოლოგიურად, სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია 14 კომპიუტერი. სკოლამ ჩაატარა თვითშეფასება და გამოვლენილი საჭიროებების უზრუნველსაყოფად შეიმუშავა ერთწლიანი ციფრული განვითარების გეგმა, სადაც ყურადღება გამახვილებულია ტექნოლოგიების მიმართულებით განვითარებაზე, რომელსაც ასახავს სკოლა ერთწლიან სამოქმედო გეგმასა და ყოველწლიურ თვითშეფასებაში. სკოლის ბალანსზე რიცხული კომპიუტერების უმეტესი ნაწილი არის ექსპლუატაციისთვის უვარგისი, დარჩენილი მცირე ნაწილიდან, 14 ერთეული კომპიუტერი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, რაც არ შეესაბამება კლასში მოსწავლეთა თანაფარდობას. **სკოლას მიეცა რჩევა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით კომპიუტერულ ლაბორატორიაში გაზარდოს კომპიუტერების რაოდენობა, კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად. ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლაში მაქსიმალურად უზრუნველყოფილია ის, რომ კომპიუტერები და შესაბამისი მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. სკოლის დირექტორის 2023 წლის 15 სექტემბრის N1/კ-36 ბრძანებით გამოყოფილია ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის დირექციის განმარტებით მსურველებს შეუძლიათ ისარგებლონ სკოლაში არსებული ტექნოლოგიებით, ისე რომ ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს. სკოლის მიერ გამოყოფილია კომპიუტერები ადმინისტრაციისათვის, მასწავლებლებისათვის და

მოსწავლეებისთვის. სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ადგენს განრიგს, რომელიც თავსდება კომპიუტერულ ლაბორატორიასა და ბიბლიოთეკაში. სივრცე ღიაა 9:00 საათიდან 16:00 საათამდე. უქმე დღეებში სივრცე გამოიყენება საჭიროების შემთხვევაში 10:00 საათიდან-14:00 საათამდე. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამოყენების წესს არეგულირებს ციფრული განვითარების გეგმა.**ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საქმისწარმოების წესი განსაზღვრავს საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს, აზუსტებს შემდეგ საკითხებს: დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურები, დოკუმენტების ფორმები და ტიპები, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტრირება, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება. წესი სავალდებულოა ყველა თანამშრომლისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლა დოკუმენტებს ამუშავებს ელექტრონულად, საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-flow გამოყენებით. სკოლას შემუშავებული აქვს ელექტრონული საქმისწარმოების წესი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 26 ოქტომბრის N1/კ-49 ბრძანებით), რომელიც მოიცავს ელექტრონულ საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. **ინდიკატორი შეესაბამება**

3. სკოლას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის ,,ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნის და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ N08/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. **ინდიკატორი შეესაბამება**

4. სკოლის დირექციის, საქმისმწარმოებლის განმარტებით დროულად ხდება ანგარიშების, უკუკავშირისა და ინფორმაციის მიწოდება და თანამშრომლობა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. თუმცა სკოლას აღნიშნული პროცესები არა აქვს აღწერილი/დარეგულირებული შიდა აქტებით, შესაბამისად **სკოლას მიეცა რჩევა** საქმისწარმოების წესში განსაზღვროს ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა, რომელთა შესაბამისადაც ხორციელდება პროცესები.**ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საქმისწარმოების წესი*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებ-გვერდი, სადაც საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციის მიზნით განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ. საზოგადოების ინფორმირების მიზნით სკოლა ასევე იყენებს ოფიციალურ სოციალურ გვერდს, სადაც სისტემატურად თავსდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობების შესახებ. **ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია საგანმანათლებლოს საქმიანობის შესახებ არის სანდო და უტყუარი. სკოლის დირექცია უზრუნველყოფს ინფორმაციის გადამოწმებას და საჭიროების შემთხვევაში დადასტურებას. სკოლის დირექტორის ბრძანებით (N1/კ-30 08.10.2023 წ) განსაზღვრულია ვებ.გვერდის გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელი პირი. ექსპერტთა მოსაზრებით სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს ინფორმაციის მართვადობა.**ინდიკატორი შეესაბამება**

3. სკოლის ვებ.გვერდზე განთავსებული ინფორმაციის ანალიზისა და სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად აქტიურად გამოიყენოს არსებული საკომუნიკაციო არხები, ამასთან საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებული უკუკავშირი გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი შეესაბამება**

4. სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელზედაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი შეესაბამება**

5. სკოლას ვებ-გვერდზე განთავსებული აქვს სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები (ინფორმაცია სკოლაში მოქმედი მოსწავლეთა კლუბების შესახებ), სკოლის შინაგანაწესი, საჩივრის წარდგენის წესი და პროცედურები, სკოლის ბიუჯეტი. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- Skolebi.emis.ge (ერთიანი პორტალი)
- სკოლის დირექტორის ბრძანება (N1/კ-30 08.10.2023 წ)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება (ვაუჩერული დაფინანსება), სკოლის მიერ წარმოდგენილია 2023 წლის ბიუჯეტი და 2024 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი რომელიც მოიცავს მიმდინარე საოპერაციო და საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. **ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლის მიერ ბიუჯეტის შედგენა და დაგეგმვა, ხარჯების მონიტორინგი; ფინანსურ კონტროლი ხორციელდება ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, სკოლის ბიუჯეტს დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭოს იბარებს დირექტორის ანგარიშს სკოლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით. ვინაიდან სკოლის რესურსები შეზღუდულია, **სკოლას მიეცა რჩევა** დანერგოს ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომელიც რეალურად მიგვიყვანს დასახული მიზნების შესრულებამდე. მიზანშეწონილია ბიუჯეტირების პროცესში ჩართული იქნას სკოლის მომსახურებით მოსარგებლე მოქალაქეთა უდიდესი უმრავლესობა, დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვა ნებისმიერი დაინტერესებული პირი. საჯარო ინიციატივების შედეგების ანალიზის საფუძველზე უნდა შედგეს ბიუჯეტის პროექტი, რომელიც საბოლოო სახით უნდა ჩამოყალიბდეს სამეურვეო საბჭოსა და ადმინისტრაციის მიერ მოპოვებული ინფორმაციის შეჯერების შედეგად. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2023 წლის ბიუჯეტი
- სკოლის 2024 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის კანონით დაცული უფლებების დაცვის გარანტიებს, შინაგანაწესში მოცემულია საკითხები მოსწავლეთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. სკოლის მიერ ასევე შემუშავებულია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 სექტემბრის N1/კ-24 ბრძანებით), რომელიც არეგულირებს მოსწავლის დარღვეული უფლებების შესახებ საჩივრის წარდგენის წესს და

განხილვის პროცედურას. ექსპერტთა მოსაზრებით სკოლის შიდა რეგულაციებით მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია. **ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილია სადამრიგებლო პროგრამა, რომლის თანახმადაც კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს აცნობს უფლებებს და მოვალეობების, სკოლის შინაგანაწესს, ქცევის წესებს, სკოლის შიდა რეგულაციებს. სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლის დირექტორი, დირექციის წევრები, კლასის დამრიგებლები სისტემატურად ახდენენ შეხვედრას მშობლებთან, დაინტერესებულ პირებთან, სასკოლო საზოგადოების წევრებთან რა დროსაც ხდება სასკოლო რეგულაციების გაზიარება. **ინდიკატორი შეესაბამება**

3. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 6 ერთი პრიმა პუნქტის შესაბამისად სკოლასა და მოსწავლის მშობელს/შესაბამის უფლებამოსილ პირს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტი
- სადამრიგებლო პროგრამა
- მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების მექანიზმის შესახებ დოკუმენტი, აღნიშნული მექანიზმის გამოყენებით სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის, კერძოდ, კანონმდებლობის გაცნობას, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის მიღებას, საფეხურის დაძლევას, სტატუსის შეჩერებასა თუ აღდგენას. **ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა მიყვება კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცესებს, როგორებიცაა:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მისაღები პირის ასაკის შესაბამისობა;

ბ) მოსწავლეთა მობილობა;

გ) საფეხურის დაძლევა;

სკოლის დირექტორის 2023 წლის 29 მარტის N2-44 ბრძანების საფუძველზე მოსწავლეს შეჩერებული აქვს სტატუსი 45 სასწავლო დღის განმავლობაში ზედიზედ სკოლაში არ გამოცხადების გამო. სკოლის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე პროცესში ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკის ჩართვის შესახებ. აღნიშნული გარემოების გამო **სკოლას მიეცა რჩევა მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩაურთველობის შემთხვევის მართვის მიზნით, კლასის დამრიგებელთან ერთად ჩართოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი“ -ს მე-9 მუხლით განსაზღვრული წესის შესაბამისად.**

ინდიკატორი შეესაბამება

3. სკოლის მიერ წარმოდგენილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, სკოლა ვალდებულია სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ორჯერ აწარმოოს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანია სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანია სკოლამ შეიძლება აწარმოოს: ა) დისკუსიების/დებატების მოწყობით; ბ) საკლასო/სასკოლო ესეების კონკურსის გამართვით; გ) საკლასო/სასკოლო ნახატების კონკურსის გამართვით; დ) სპორტული შეჯიბრებების

ორგანიზებით; ე) საკლასო/სასკოლო თეატრალური წარმოდგენების გამართვით; ვ) ფილმების/ვიდეორგოლების ჩვენებით; ზ) როლური თამაშების გამართვით; თ) სხვადასხვა ხასიათის კვირეულების მოწყობით (მაგ: დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის კვირეული).

მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტით დასტურდება სკოლის მზაობა უზრუნველყოს სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მისი გაზიარება სასკოლო საზოგადოებისადმი.**ინდიკატორი შეესაბამება**

4. სკოლის დირექციის განმარტებით სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობა და/ან დამატებით შეთავაზებული სერვისი თანაბრად ხელმისაწვდომია სკოლაში დასაქმებული ყველა პირისთვის, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიწოდებას, როგორც მოსწავლეებისთვის ასევე მათი მშობლებისა თუ კანონიერი წარმომადგენელთათვის. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმის შესახებ დოკუმენტი
- სადამრიგებლო პროგრამა
- ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა მოსწავლის ადაპტაციის წესი (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 14 სექტემბრის N2-171 ბრძანებით), რომელიც არეგულირებს მოსწავლის ადაპტაციის პროცესს და სკოლის მიერ განსახორციელებელ პროცედურებს. სკოლა მოსწავლის სასკოლო პროცესში ადაპტაციისას ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს:

ა) მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები, მისი ხასიათი;

ბ) უფროსი და-ძმის გამოცდილება, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გ) სასწავლო დატვირთვის ინტენსივობა და საგანმანათლებლო პროგრამების სირთულე.

ინდიკატორი შეესაბამება

2. სკოლის დირექციასთან, მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში გადმოსულ ყველა ახალ მოსწავლეს, პირველ კლასელებს სკოლა უწევს შესაბამის დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი. რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების, თავისებურების შესახებ, აცნობს საგნის მასწავლებლებს და მოსწავლეს კლასის წინაშე წარადგენს საუკეთესო მხრით. სკოლის

მიერ დანერგილი სამუშაო პრაქტიკისა და შემუშავებული მექანიზმების ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან. **ინდიკატორი შეესაბამება**

3. სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება რომ აქტიურია სკოლის როლი მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიმართულებით. სკოლას შემუშავებული აქვს რემედიაციის პროგრამა, რომლის მიზანია მოსწავლეთა დახმარება, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით სათანადოდ ვერ ივითარებენ ფუნდამენტურ აკადემიურ უნარებს. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად რემედიაციის პროგრამის განხორციელების ძირითადი საფეხურებია: მოსწავლეთა სკრინინგი ანუ დიაგნოსტიკა და შედეგების ანალიზი; სამიზნე ჯგუფის დიაგნოსტირება და შედეგების ანალიზი; სამიზნე ჯგუფის დაკომპლექტება; სარემედიაციო პროგრამის და გაკვეთილის გეგმების შედგენა; სარემედიაციო გაკვეთილების ჩატარება; პროგრესის მონიტორინგი და შუალედური შეფასება; შემაჯამებელი შეფასება. **სკოლას მიეცა რჩევა** სარემედიაციო პროგრამის განხორციელებისას მეტი ყურადღება დაუთმოს დიაგნოსტირების პროცესს, ვინაიდან სკრინინგის ტესტის შედეგები გვიჩვენებს, თუ ვის უნდა ჩავუტაროთ ჩაღრმავებული დიაგნოსტიკური ანალიზი. ამასთან საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნას მოსწავლეთა დახმარების სხვადასხვა ფორმა, მაგალითად დამატებითი მეცადინეობა, კონსულტირება ვადებისა და ფორმის მითითებით. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს სხვადასხვა გზით ჰქონდეს მსგავსი სერვისების მიღების შესაძლებლობა. **ინდიკატორი შეესაბამება**

4. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეთა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას ახორციელებს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, კერძოდ მოსწავლეს და მის კანონიერ წარმომადგენელს სკოლის მიერ მიეწოდება ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების შესახებ, როგორიცაა მოსწავლის მობილობის უფლება, მოსწავლის გაცდენებთან დაკავშირებული საკითხები, ექსტერნის გამოცდების ჩატარების წესი და პირობები, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი და პირობები და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება**

5. სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეებს ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, არაფორმალური განათლების მიღების საშუალებასაც აძლევს. ეს ძირითადად დამატებითი, არაფორმალური, ანუ სასწავლო პროგრამის მიღმა განხორციელებული აქტივობების დაგეგმვის ან ინიციატივათა მხარდაჭერის გზით ხორციელდება. აღსანიშნავია სკოლაში მოქმედი სასკოლო კლუბები: სამოქალაქო განათლების კლუბი ,,თემიდა", მეწარმეობის კლუბი ,,დაგონი", კინომოყვარულთა კლუბი ,,კინომანი", მკითხველთა კლუბი ,,ლოგოსი", ეკომოყვარულთა კლუბი ,,შევარდენი", ლიტერატურის მოყვარულთა კლუბი ,,ნინველი", დებატების კლუბი ,,ოქროს საწმისი", ,,ახალგაზრდული ტექნოლოგიური კლუბების ქსელი" - პროგრამირება პითონით. სკოლა სასკოლო კლუბების მიერ განხორციელებული აქტივობების ხელშეწყობით, ახორციელებს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. **ინდიკატორი შეესაბამება**

6. სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლა მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან/კანონიერი წარმომადგენლებისაგან იღებს უკუკავშირს მიწოდებული სერვისების ხარისხის შესახებ და აფასებს მათ. მიღებული შეფასების საფუძველზე სკოლა გეგმავს მოსწავლეთა მომსახურების მექანიზმების გაუმჯობესებას. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *განხორციელებული სასკოლო პროექტები*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა პროფორიენტაციას, რაც მოიცავს საგანმანათლებლო გარემოში მოსწავლეთა მხარდაჭერას საკუთარი ფიზიკური, კოგნიტიური და პიროვნული მახასიათებლების აღმოჩენაში და ამ მახასიათებლების შესაბამისი პროფესიების იდენტიფიცირებაში. ამ მიზნით სკოლა სხვადასხვა უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებელს აძლევს საშუალებას, ჩაატარონ პირისპირ შეხვედრები მოსწავლეებთან, მოაწყონ ღია კარის დღეები სკოლაში, გააკეთონ პრეზენტაციები სკოლის მოსწავლეებისთვის; სკოლა დროულად აწვდის მოსწავლეებს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, სიახლეებს; კლასის დამრიგებლებს მე-9 და მე- 12 კლასის მოსწავლეები წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად მიჰყავთ ვიზიტით ადგილობრივ კოლეჯში ,,ფაზისი“ და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფილიალში - ქ.ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი. **ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლის დირექციის, პედაგოგების განმარტებით სკოლის ორგანიზებით პერიოდულად ეწყობა შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან, ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი პროექტის ,,ჩვენი ჯარი“ ფარგლებში სკოლის მოსწავლეებთან გამართული შეხვედრა. სამოქალაქო განათლების მასწავლებლის მიერ სკოლაში ხორციელდება პროექტი ,,ჩემი არჩევანი, მომავალი პროფესია“ რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ახორციელებენ ვიზიტს პროფესიულ სასწავლებელში -კოლეჯი „ფაზისი“ და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფილიალში - ქ.ფოთის საზღვაო სასწავლო-

საწვრთნელი ცენტრი. სადაც მოსწავლეები ადგილზე იღებენ სხვადასხვა პროფესიის შესახებ ინფორმაციას. მოსწავლეებს ურიგდებათ სხვადასხვა პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების მიერ მომზადებული გზამკვლევები. სკოლა მუდმივად ზრუნავს იმისთვის, რომ მოსწავლეები იყვნენ სათანადოდ ინფორმირებული ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. **ინდიკატორი შეესაბამება**

3. სკოლას შეთავაზებული კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით არ უწარმოებია კარიერული განვითარების შესაძლებლობების კვლევა (მაგ. ადგილობრივი კოლეგების ან/და საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა, სასკოლო თემის ინტერესების იდენტიფიცირება, მოსწავლეების ინტერესებზე მორგებული საუნივერსიტეტო პროგრამების მოძიება, სტატისტიკური მონაცემებით გამყარებული დასაქმების ბაზრის კვლევა). მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით **სკოლას მიეცა რჩევა კარიერული** განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით განახორციელოს კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების კვლევა (შესაძლებელია იყოს როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი და განხორციელდეს წინასწარ გაწერილი მეთოდოლოგიის საფუძველზე, შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით), რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება იდენტიფიცირება რამდენად დაეხმარა მოსწავლეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კარიერული დაგეგმვის სერვისი მისი უნარების და ინტერესების შესაბამისი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებაში. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო პროექტები*
- *ინფორმაცია სასკოლო პროექტი*,,ჩემი არჩევანი, მომავალი პროფესია“ შესახებ.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლის ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად. სკოლაში დასაქმებულ სპეც.მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სწავლის პროცესში სირთულეების გამოვლენის შემდეგ სკოლა უზრუნველყოს მოსწავლის გადამისამართებას დეტალური შეფასებისთვის სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდთან, ხოლო მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების შედეგად განისაზღვრება რეკომენდაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შესახებ. სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ასახავს შესაბამისი კლასის დამთავრებისთვის მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს, მათ მისაღწევად განსაზღვრულ სწავლების სტრატეგიასა და დამატებით საშუალებებს/ღონისძიებებს, შესაბამისი სასწავლო გარემოს შესაქმნელად გასატარებელ ზომებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი მიღწევის გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომლებიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფი (შემდგომში – ისგ ჯგუფი) მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო მანამდე უკვე იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლეებისთვის – ორი კვირის ვადაში ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. სკოლის დირექტორის ბრძანებით თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. სკოლის სპეციალური მასწავლებლის მიერ შემუშავებულია ინტერვენციის გეგმა, რომელშიც გაწერილია თუ რას უნდა მიაღწიოს მოსწავლემ და რა ვადებში. **ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლის დირექციის განმარტებით სკოლა უზრუნველყოს სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. სკოლის ისგ ჯგუფი შედგება შემდეგი წევრებისაგან:

ა) სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებელი;

ბ) საგნის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს;

გ) სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები;

დ) სსსმ მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი;

ექსპერტთა მოსაზრებით, სკოლაში სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმა*
- *ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება*
- *ისგ- სხდომის ოქმი.*

4.2.4.* სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. *აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ ხორციელდება. **ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლის მიერ ამ ეტაპზე არასავალდებულო მომსახურების გაწევა არ ხორციელდება. **ინდიკატორი შეესაბამება**

3. სკოლის მიერ ამ ეტაპზე არ ხორციელდება ისეთი არასავალდებულო დამატებითი მომსახურება, რომელსაც სჭირდება კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვება. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(დაწყებითი საფეხური)**	**+ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია ის, თუ როგორ და რა საშუალებებით ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. გარდა ამისა წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მათ გააჩნიათ ცალკეული პრაქტიკა და ინსტრუმენტები, რომლებიც სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლისა და გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა. კერძოდ, კურიკულუმის შემუშავების პროცესის ნაწილია კათედრებზე მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური ხედვის წარდგენა, კოლეგებთან ერთად განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. ასევე სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან სხვადასხვა იდეების განხილვა, გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით. **ინდიკატორი შეესაბამება**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის დამტკიცების პროცესს, წინ უძღვის გასული წლის კურიკულუმის დანერგვის პროცესის შესახებ სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის ანალიზი. სამუშაო ჯგუფი იკვლევს შემდეგ საკითხებს: მოსწავლეთა ჩართულობა და მათი შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრებისა და დირექციის მუშაობა - მიღებული მონაცემების შეჯერების საფუძველზე, სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს, მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად. ამის დასტურად, სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სამოქმედო გეგმა, კათედრის სხდომის ოქმები, სადაც ასახულია კურიკულუმის შემუშავების პროცესი. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრებთან გასაუბრების შემდეგ დასტურდება, რომ სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესს.

მშობელთა ინტერესების დასადგენად ტარდება სხვადასხვა ტიპის გამოკითხვა, საერთო სასკოლო პროექტის შერჩევის, საწრეო და საკლუბო საქმიანობის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები.

საგნობრივი კურიკულუმები მარავალფეროვანია ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს, შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ დავალებებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უკუკავშირსა და თვითშეფასებას. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმს შეიმუშავებენ თანამშრომლობით. **ინდიკატორი შეესაბამება**

3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში დაწვრილებითაა გაწერილი მასწავლებლების, კათედრებისა და, დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ამ დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები.

სასკოლო კურიკულუმის თითოეული ნაწილი მზადდება პედაგოგიური საბჭოს მიერ, დირექციის ჩართულობითა და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში და მასწავლებლებთან გასაუბრებით ჩანს , რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რაც ასახულია საგნობრივი ჯგუფების მიერ შევსებულ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. პროცესები ეყრდნობა, როგორც მასწავლებლის თვითრეფლექსიას, ასევე მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს. გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მოსწავლის ინტერესის შესაბამისად კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა.

ვიზიტის პროცესში გამოჩნდა, რომ სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა. მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობით გეგმავენ საგნობრივ კურიკულუმებს. ისინი იყენებენ თიმსის პლატფორმას, კურიკულუმის შემუშავების პროცესში, მშობელთა ჩართულობისთვის და მათგან უკუკავშირის მისაღებად, სკოლა გეგმავს მშობელთა როლის გაძლიერებას.

მასწავლებლები გასაუბრების დროს მიუთითებდნენ ცალკეულ ინსტრუმენტებსა და პრაქტიკებზე, რომლებიც სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლისა და გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა. მასწავლებლების ნაწილს შემუშავებული აქვთ საკუთარი სწავლების პორტფოლიო, რომელშიც ის აგროვებს მის მიერ წლის მანძილზე განხორციელებული აქტივობებისა და სასწავლო პროცესის მტკიცებულებებს, მის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებულ კომპლექსური დავალებებს, მათი შეფასების ნიმუშებს, რეფლექსიებს, პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებულ კვლევებს და ა.შ. ამ პორტფოლიოს ანალიზი მნიშვნელოვანი წყარო ხდება მომავალში კურიკულუმის გადასინჯვისა და მოდიფიცირებისათვის.

კურიკულუმის მიმდინარე და მოქმედი ვერსია გაზიარებული და შეთანხმებულია. შესაბამისად, რადგან სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ხარისხი მაღალია, შეგვიძლია ვთქვათ რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი შეესაბამება**

4. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი, უპირველეს ყოვლისა, გაზიარებულია მასწავლებელთათვის, რასაც უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია და კურიკულუმის დამტკიცების საკანონმდებლო ჩარჩო - კურიკულუმი თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, ბეჭდვითი მასალები, სოციალური მედია, კრებები, სამუშაო შეხვედრები, საჯარო ღონისძიებები-ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან, სპეციალური კითხვარი მშობლებისთვის.

მშობლებთან კურიკულუმის გაზიარების გზად სკოლას გამოყენებული აქვს მათი პირადი ინფორმირება როგორც TEAMS- ის ჯგუფებში, ასევე კლასების მიხედვით facebook-ჯგუფურ ,,ჩათებში''.

სკოლასთან ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმს უზიარებენ არამარტო საგნის, კათრედრის ფარგლებში, არამედ სკოლის საერთო დონეზე. იმისათვის, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში აქტიურად იყოს ჩართული სასკოლო საზოგადოება, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს/აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს და ასევე მშობელთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას.

სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს მატერიალურად თუ ციფრული სახით აქვს წვდომა კურიკულუმებზე. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები
- კომპიუტერული ტექნოლოგიების მტკიცებულებები:
- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- შემაჯამებელი ოქმები.
- წლიური რეფლექსია.
- დაგეგმილი და განხორციელებული კომპლექსური დავალებები
- სასწავლო პროექტები
- კათედრის სხდომის ოქმი
- მშობლის ბარათები
- კლასის დამრიგებლის ანგარიში

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმებში ასახულია აქტუალური, ნაცნობი თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები, კონტექსტ მაგალითები , რესურსები და მამოტივირებელი საინტერესო დავალებები. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ

პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მოსწავლე აღიარებულია, როგორც სწავლა-სწავლების პროცესის აქტიური სუბიექტი და ცოდნის კონსტრუირების პროცესის წარმმართველი და თითოეულ ეტაპზე გათვალისწინებულია მისი ინტერესები და შესაძლებლობები.

კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ,რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს აქვთ მზაობა დაგეგმონ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.

შუალედური სასწავლო მიზნების სახით, ჩადებულია კომპლექსური ბუნების დავალების პირობები, რაც მეტ ყურადღებას სასწავლო პროცესზე ამახვილებს, მოსწავლეს აძლევს ავტონომიურობის განცდას, ხელს უწყობს მისი შინაგანი ძალების გააქტიურებას, მაღალი სააზროვნო უნარებისა და შესრულებული სამუშაოს თვით რეფლექსიის უნარის განვითარებას.

კომპლექსური ბუნების დავალებების გამოყენებით, სკოლა ცოდნის აგების, კონსტრუქტივისტული მიდგომის დანერგვას უწყობს ხელს. პედაგოგებს შემუშავებული აქვთ განმავითერებელი კომენტარების ნიმუშები, უზიარებენ ერთმანეთს, აქვთ თანამშრომლობის მაღალი კულტურა, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუ აჩვენებს, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მუსიკასა და ხელოვნებაში წარმოადგენს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმში ორიენტირება ხდება სამიზნე ცნებებზე და შედეგებზე. შუალედურ მიზნებად ყველა კლასში თემატური ბლოკების ქვეშ კომპლექსური ტიპის დავალებაა გაწერილი, რაც იძლევა მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას და განვითარების საშუალებას.

საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია სავალდებულო თემები, თუმცა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სასწავლო რესურსებს აკლია მრავალფეროვნება. მრავალფეროვანი რესურსები და დავალებები, შეუქმნიდა მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ახორციელებენ კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებსაც არჩევენ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებების გათვალისწინებით.

სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დაწყებითი საფეხურის 1-6 კლასისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე შერჩეულია სასწავლო თემები , რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას.

სკოლამ უცხოური ენების დაწყებით საფეხურზე წარმოადგინა კურიკულუმები პირველ და მეორე ცხოურ ენებში. სკოლამ დაწყებითი საფეხური მე-5 და მე-6 კლასში ფრანგული ენის სწავლებაც დაამატა და წარმოადგინა კომპლექსური დავალების მატრიცები. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია თემები, თემებთან მიმართებაში სამიზნე ცნებები. დაწყებით საფეხურზე თითოელ კლასში დაგეგმილია 2-3 კომპლექსური დავალების განხორციელება, ასევე მოცემულია ძირითადი კონტექსტ-მაგალითები და მაგილითები შედარებისთის. მოცემული თემები ემთხვევა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზვრულ თემათა არეალს, სამიზნე ცნებები თანხვედრაშია საფეხურით განსაზღვრულ მიზნებთან. შუალედურ მიზნად კი გამოყენებულია კომპლექსური დავალებები. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა

კომპლექსური დავალების მატრიცები, რომელთა ეტაპებიც მოიცავს სხვადსხვა სახის კოპლექსური ტიპის დავალებებს რომლებიც მიმართულია მოსწავლის პროვნული განვითარებისკენ, აქცენტი კეთდება წინარე ცოდნის გააქტიურებასა და მოსწავლის შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინებაზე. კოპლექსურ დავალებაზე მუშაობისას დასასმელი შეკითხვები კი ემსახურება ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესს, რომელსაც კვლავ მოსწავლე აწარმოებს. აღსანიშნავია რესურსების მრავალფეროვნება, რომელიც ცდება გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და მოიცავს საინტერესო, თემასთან მორგებულ, განმავითარებელ სხვადახვა სახისა და ხასიათის რესურსს. კურიკულუმებზე დაკვირვებით ჩანს, რომ ათვლის წერტილს გრძელვადიანი მიზანი და მოსწავლის პიროვნული განვითარება წარმოადგენს. გასაუბრებისას უცხოური ენების კათედრის წევრებმა არგუმენტირებულად დაასაბუთეს რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების გზას.

სკოლას მიეცა რჩევა უცხო ენების პედაგოგებმა დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმში გაიწერონ რა აქტივობები განხორციელდება და რა რესურსები იქნება გამოყენებული იმ თემებთან სადაც არ არის დაგეგმილი კომპლექსური დავალების განხორციელება.

ინდიკატორი შეესაბამება

2. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია თემები, შესაბამისად კონტექსტმაგალითები, საკითხები და სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. გასაუბრებისას გამოიკვათა , რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. მოცემული დავალებებიდან, წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამიდან, პროექტებიდან, ღონისძიებებიდან (მკითხველთა კლუბი ლოგოსი; კლუბი-კინომანი), თემატური გეგმებიდან და წარმოდგენილი თემატური მატრიცებიდან ჩანს, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ისეთი უნარების განვითარებას, როგორიცაა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება.

სრულად გაწერილ საგნობრივ ჩარჩოებში მკაფიოდ იკითხება შერჩეული კომპონენტების შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებთან. ნათლად ჩანს, თუ რა მასალაზე (დაფიქსირებული რესურსები) დაყრდნობით წარიმართება სწავლება. სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეული საკითხებით და მათთან დაკავშირებული შესაბამისი კონტექსტ-მაგალითებით;

კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში, კარგად არის გაწერილი შერჩეული მიზნების შესაბამისი საკითხები, თემები და ცნებები. კომპლექსური დავალების პირობები მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით

ესთეტიკის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები საგნობრივ მოთხოვნებს შესაბამისად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს

საშუალებას არსებულ გამოცდილებას დაუკავშიროს და გამოიყენოს ახალი ცოდნა და უნარები. კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგები და სამიზნე ცნებები, თუმცა არასრულად.

სკოლას მიეცა რჩევა: 1 და მე-3 კლასებში ხელოვნების კურიკულუმში გათვალისწინებული იქნეს ე.ს.გ.ით გათვლილი სავალდებულო სამივე თემატური ბლოკის დამუშავება. მხოლოდ ორი ბლოკია დამუშავებული პირველ კლასში. მესამე კლასში კი გაწერილ თემას მიეთითოს ბლოკის დასახელება.

მათემატიკის კათედრაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ გეგმავენ კოპლექსური დავალებების შერჩევას თემების შესაბამისად. წარმოდგენილ მასალაში ჩანს მასწავლებელი რას და როგორ გამოიყენებს წლის მანძილზე, რომელ საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების რომელ ინსტრუმენტებს სთავაზობს საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. ასეთი ფორმით სწავლება ავითარებს 6 ფუნქციურ-კომპონენტურ უნარს, რომელიც უვითარდება მოსწავლეს მუდმივად სასწავლო პროცესებში.

როგორც საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე მასწავლებლები აღნიშნავდნენ -ისინი ისე შეიმუშავებენ დავალების პირობას, რომ მოსწავლეებს ეძლევათ სხვადასხვა არჩევანი ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისა და ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას და მოსწვალის საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანი იყოს.

სკოლას მიეცა რჩევა დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი იყოს მეტი კომპლექსური დავალება.

სკოლამ უცხოური ენების დაწყებით საფეხურზე წარმოადგინა კურიკულუმის ჩარჩოები პირველ და მეორე ცხოურ ენაში. გასაუბრებისას კათედრის წევრებმა აღნიშნეს, მათი გამოცდილება სხვადასხვა პროექტისა და ინტეგრირებული გაკვეთილების განხორციელებისა რამდენიმე წელს ითვლის და წარმოადგინეს შესაბამისი მასალა. **ინდიკატორი შეესაბამება**

3. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან ინტერვიუ იძლევა საფუძველს ავღნიშნოთ ,რომ სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მასწავლებების მიერ ხდება მოსწავლეთა ცოდნის უნარებისა და სწავლის სტილის განსაზღვრა, კითხვარების, ქვიზების, შესასვლელი და გასასვლელი ბარათების საშუალებით, საჭიროებიდან გამომდინარე ახდენენ დავალების მოდიფიცირებას. მათ ნარატივს ადასტურებს წარმოდგინილი ისგ, მოდიფიცირებული კომპლექსური დავალება. ინკლუზიური მიდგომები გათვალისწინებულია სასკოლო აქტივობებში, სადაც თითოეულ მოსწავლეს ეძლევა საშუალება გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები და უნარები. სკოლა გეგმავს აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას.კათედრას აქვს მზაობა, გაამახვილოს ყურადღება და გაითვალისწინოს 2023-24 წლის კურიკულუმში დიფერენცირებული სწავლების პრინციპები.

სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა სურვილები, შესაძლებლობები და უნარები. კურიკულუმში ასახულია მეთოდები და სტრატეგიები, რომელიც გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში: კომპლექსური დავალებებით სწავლების, როგორც შუალედურ მიზანზე მუშაობის მეთოდის გააქტიურებით კურიკულუმი ეპასუხება ეროვნული სასწავლო გეგმის ერთერთ მეთოდოლოგიურ პრინციპს-ინკლუზიურობას, რომელის მიხედვითაც დაცულია განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისათვის. კომპლექსური დავალების პროდუქტების ალტერნატიული ფორმები (ელექტრონული, მატერიალური) ეპასუხება დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, რის მტკიცებულებას წარმოადგენს ის, რომ მოცემულია კომპლექსურ დავალებებში სხვადასხვა შინაარსის და სირთულის აქტივობები, ადაპტირებული დავალებები და მოსწავლეებს ეძლევა არჩევანის გაკეთების საშუალება. კომპლექსური ბუნების დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

ხდება კომპლექსური დავალების მოდიფიცირება და მორგება მოსწავლის საჭიროებაზე. დიფერენცირებისთვის გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს მოსწავლეთა მზაობის გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც აქვთ ხარვეზები პროგრამულ მასალასთან მიმართებით, შედეგების გაუმჯობესების მიზნით ახორციელებენ სარემედიაციო პროგრამას. დიფერენცირების მიზნით აქვთ სადიაგნოსტიკო ტესტირების ჩატარების გამოცდილება. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღნიშნეს,რომ დაწყებით საფეხურზე საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს შესთავაზებენ ადაპტირებულ კომპლექსურ დავალებებს. მოახდენენ კომპლექსური დავალებების საეტაპო აქტივობების დიფერენცირებას და მოსწავლეებს შესთავაზებენ კომპლექსური დავალების პროდუქტი სასურველი ფორმით წარმოაჩინონ.

სპორტის საგანში არ იყო ინდ. გეგმები წარმოდგენილი, რადგან მასწავლებლის განმარტებით, ამ ეტაპზე სსსმ მოსწავლე ფიზიკურ აღზრდაში არ საჭიროებს გეგმის მორგებას,. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებისა და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებისათვის.

უცხოური ენების კურიკულუმებში წარმოდგენილ, სხვადსხვა ტიპისა და ხასიათის დავალებებისა თუ კომპლექსური დავალებებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ გათვალისწინებულია სხვადასხვა სააზროვნო უნარის მქონე მოსწავლეების შესაძლებლობები.

სკოლა ჩართული იყო USAID პროექტში, რომლის ფარგლებში მიღებული გამოცდილებას იყენებენ დიფერენცირებული სწავლებისას. **ინდიკატორი შეესაბამება.**

4. წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კომპლექსური დავალების იდეების) და ზეპირი გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, შეფასება მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისკენ და სტანდარტს შეესაბამება. განმავითარებელი შეფასება გამოყენებულია, როგორც სწავლა-სწავლებისგან განუყოფელი ნაწილი, ძირითადად, ზეპირი კომენტარის სახით. განმავითარებლით შეფასებით ფასდება კომპლექსური დავალების პროდუქტი, რის დასტურადაც დავალების პირობაში ჩაშენებულია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული კრიტერიუმები, ასევე მოცემულია სადიაგნოსტიკო კითხვები, მათ შორის, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასებისთვისაც. ეროვნული

სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაწყებით საფეხურზე მხოლოდ მეხუთე კლასის მეორე სემესტრიდან შემოდის განმსაზღვრელი შეფასება. სკოლამ წარმოადგინა მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი), თუმცა უმეტესობა ზოგადი ხასიათისაა,

ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ აღინიშნა, რომ აქტიურად რთავენ შეფასების პროცესში მოსწავლეს, მიმართავენ როგორც მოსწავლეთა თვითშეფასებას, ისე ურთიერთშეფასებას. მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. სკოლას აქვს მზაობა შექმნას რუბრიკები ნებისმიერ თემაზე. მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ განმავითარებელ შეფასებას. ასე მეტად ორიენტირდებიან მოსწავლეზე და სასწავლო პროცესზე. სკოლას ამ ეტაპზე არჩეული აქვს შეფასების პირველი მოდელი, გასაუბრებაზე კი მასწავლებლები არგუმენტირებულად ასაბუთებდნენ მათი ამ არჩევანის აუცილებლობას.

სკოლის მიერ თემების მიხედვით შედგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დაწყებითი საფეხურისათვის განკუთვნილ მესამე თაობის ერობნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებს, რომლებიც მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ.

გასაუბრებაზე უცხოური ენების კათედრის წევრებმა ისაუბრეს რუბრიკების შემუშავების პროცესზე, სადაც გამოვლინდა რომ მათ დიდი გამოცდილება აქვთ ამ კუთხით და კარგად ესმით განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი .

სკოლას მიეცა რჩევა: უცხო ენების პედაგოგებმა : 1. არ გამოიყენონ ზოგადი ხასიათის რუბრიკები საკლასო და საშინაო დავალებების შესაფასებლად 2. შემაჯამებელი დავალებებისთვისაც გამოიყენოონ რუბრიკები რომლებიც მიმართული იქნება გრძელვადიან მიზნებზე.

ინდიკატორი შეესაბამება

5. კურიკულუმის დაგეგმვისას გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პედაგოგთა სამუშაო შეხვედრებზე პერიოდულად განიხილება განხორციელებული კომპლექსური დავალების შედეგები. ყურადღება გაამახვილეს ურთიერთდასწრებაზე, რაც ეხმარებოდათ სწავლა-სწავლების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთაში. სკოლას აქვს მზაობა წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით დაგეგმოს სასწავლო პროცესი და განახორციელოს ცვლილებები. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ აღნიშნულია, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე.

მასწავლებლებმა ზეპირ გასაუბრებაში აღწერეს პროცესი, რომელიც ადასტურებს, რომ დაგეგმვის დროს ითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს, რომელიც სარწმუნო წყაროებიდან (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, რეფლექსიური კითხვარი...) მოპოვებულ

ინფორმაციას ეყრდნობა. სასკოლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით.

დაწყებით საფეხურზე დიდი სიფრთხილით ეკიდებიან იმ კომპლექსური დავალების გამეორებას, რომელსაც წინა წელს თავი ვერ გაართვეს მოსწავლეებმა, ან ახდენენ მის მოდიფიცირებას ასაკისა და კლასის პროფილის შესაბამისად. წინარე გამოცდილების გათვალისწინებით დგება გადამუშავებული, რევიზირებული და მოდიფიცირებული სასკოლო კურიკულუმი.

სკოლას დიდი გამოცდილება აქვს სხვადასხვა პროექტისა და ინტეგრირებული გაკვეთილების განხორციელებისა. მათ წარმოადინეს პროექტების ანგარიში, რომლის გაანალიზების შედეგადაც დაიგეგმა ახალი პროექტები. გასაუბეებაზე კათედრის წევრებმა ისაუბრეს რომ კურიკულუმის შემუშავბისას ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით ხდება.

სკოლა გასულ სასწავლო წელს იყენებდა კომპლექსური დავალებების ფორმატით სწავლებას, საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე პედაგოგებმა დამატებით წარმოადგინეს წინა წელს განხორციელებული კომპლექსური დავალება, მათ აღნიშნეს, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გამოიყენეს როგორც საკუთარი, ასევე კათედრის წევრების გამოცდილება, უკუკავშირი და სხვა მნიშვნელოვანი კომპონენტები, ხოლო უშუალოდ დაგეგმვის პროცესში აგრეთვე გათვალისწინებულია კათედრის ფარგლებში გაზიარებული საგნების წლიური შედეგები სადიაგნოსტიკო ტესტებით.

ინდიკატორი შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კომპლექსური დავალებს მატრიცები
- განხორციელებული პროექტების ანგარიში
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- კომპლექსური დავალებები;
- კათედრის სამუშაო გეგმა და ოქმები
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- ინდ. გეგმები

- გაკვეთილებზე დასწრების ოქმები
- ინტეგრირებული გაკვეთილები
- ისგ ჯგუფის შეხვედრის ოქმები
- კათედრის ანგარიშები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტების შესწავლით იკვთება რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კურიკულუმებს თან ერთვოდა კომპლექსური დავალების მატრიცები, სადაც სხვადახვა აქტივობებზე, რესურსებსა და გეზისმიმცემ შეკითხვებზე დაკვირვებით ჩანდა ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) რაც კარგად იკითხებოდა მატრიცებში მოცემულ სხვადხვა ტიპის დავალებებში. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ამ შედეგის მიღწევის საშუალებას კი სკოლას აძლევს უცხოური ენების კურიკულუმების კომპლექსური ტიპის

დავალებებსა და კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნება. გასაუბრებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს საგაკვეთილო პროცესზე, სადაც ჩანდა რომ ისინი ზრუნავენ მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღავივებაზე, ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და ინტეგრირებულ გაკვეთილებს. მასწავლებლები სასწავლო პროცესს გეგმავენ კონსტრუქტუვისტული სწავლების პრინციპით, რაც იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კონსტრუქტივისტული მიდგომებით, მრავალფეროვანი რესურსებით და სტრატეგიებით, სასკოლო პროექტებზე მუშაობით კათედრა თვლის რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი მოსწავლეს აძლევს შემოქმდებითად განვითარების საშუალებას. ინტერვიუს დროს ასევე აღნიშნულ იქნა, რომ მუსიკისა და ხელოვნების მასწავლებლები წლის განმავლობაში რამდენჯერმე გეგმავენ და ახორციელებენ სასკოლო ღონისძიებებს, რაც ასევე ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას , ასევე მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის ზრდას.

კურიკულუმებში შეტანილია კომპლექსური დავალების პირობები, რომელებიც მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნას ავალდებულებს, როგორიცაა, მაგალითად, პოსტერი, მოდელი და სხვა. ასეთი ტიპის კომპლექსური დავალებები მოსწავლის შემოქმედებით უნარებს ავითარებს.

წარმოდგენილი კურიკულუმის საფუძველზე აშკარაა, რომ მოსწავლეთათვის შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლებს წარმოაჩინონ საკუთარი მრავალფეროვანი შემოქმედებითი ინიციატივები და მიგნებები. გარდა ამისა მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა სასწავლო პროექტებში, მაგალითად: სასწავლო პროექტი - ,,მრავალწახნაგოვანი კომუნიკაცია", რომელშიც ჩართულნი იყვნენ სამივე საფეხურის მოსწავლეები, განახორციელეს კომპლექსური დავალებები - ,,ქართველი რობოტი, ,,ამინდის კალენდარი", ,,საქართველოს რეგიონები", ,,ყვავილების ორანჟერეა" და სხვ. ადმინისტრაცია და მასწავლებლები მუდმივად მზად არიან მხარი დაუჭირონ მოსწავლეების მიერ შემოთავაზებულ იდეებს, ისინი ეხმარებიან მათ ინიციატივების განხორციელებასა და რეალიზებაში.

საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის პედაგოგებმა დაასახელეს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითი, რა დროსაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სასწავლო პროცესში, შექმნეს საინტერესო ნამუშევრები და განივითარეს კომპლექსური-სააზროვნო და შემოქმედებითი უნარები.

1-6 კლასის დაწყებითი საფეხურის სპორტის კურიკულუმებში შერჩეული და გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები, რაც, ბუნებრივია დადებითად აისახება მოსწავლეზე, რომ ის ფიზიკურთან ერთად გონებრივი უნარების განვითარებასაც შეუწყობს ხელს. საფეხურის ფარგლებში დაგეგმილია ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე. ეს იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას, თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პოცესში და გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები

სახელმწიფო ენაში კომპლექსური დავალებების პირობა(შინაარსის გადმოცემა პერსონაჟადქცეული მკითხველის ხედვის კუთხიდან.ერთი პერსონაჟის წერილი მეორის მიმართ;მოთხრობის ეპიზოდის დაწერა; წარმოსახვითი წერილის დაწერა - შეუბრალებელ ადამიანს; ამბის

შექმნა; შედარებითი დახასიათება; ჩანახატის შექმნა; ზეპირი პრეზენტაციის მომზადება; რეპორტაჟის მომზადება.) ხშირ შემთხვევაში იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესის ,არამედ შემოქმედიც. სასწავლო პროცესი მოიცავს მრავალფეროვან, სახალისო და საინტერესო აქტივობებს.

საგან კომპიუტერული ტექნოლოგიების პედაგოგთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში შექმნილი გარემო უზრუნველყოფს მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას როგორც ფიზიკური ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით. დაგეგმილია და განხორციელებულია მრავალი შემოქმედებითი აქტივობა, კომპლექსური დავალების ფარგლებში შეიქმნა პროდუქტები-მაკეტები, ნახატები, პოსტერები, პრეზენტაციები, თამაშები, ბუკლეტები, კომიქსები. მაგ. სკოლაში განხორციელდა ინტეგრირებული პროექტი რობოტების გეომეტრია, სადაც მოსწავლეებმა შეადგინეს კოდები რობოტების დაპროგრამების მიმართულებით.

სკოლას მიეცა რჩევა უცხო ენების პედაგოგებმა კურიკულუმში იმ თემებთან მიმართებაში სადაც კომპლექსური დავალებები არ არის დაგეგმილი, გაწერონ და წარმოადგინონ რა აქტივობებს და რა რესუსრსების გამოყენებით განახორციელებენ.

ინდიკატორი შეესაბამება

2. უცხოური ენების დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები. კომპლექსური დავალება კი ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას იძლევა, რადგან სკოლას დიდი გამოცდილება აქვს პროექტებისა და ინტეგრირებული გაკვეთილების განხორციელებისა შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ რომ დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმებში არსებული კომპლექსური დავალებების იდეებითა და მათი განხორციელებისათვის დაგეგმილი აქტივობებით ხელი ეწყობა მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებას, მის თანდათანობით მიყვანას ახალ ცოდნამდე. კურიკულუმებში თემატური დაგეგმვა სწორად არის გააზრებული. საფეხურის გათვალისწინებით სწორად არის მიწოდებული ნაცნობი კონტექსტი, რომელიც ეხმარება მოსწავლეს ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ კომპლექსური დავალებების არჩევისას მათ მიზანს წარმოადგენდა მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტების შეთავაზება, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის შეძენა, რაზეც მოწმობს კომპლექსური დავალების მატრიცებში წარმოდგენილი ეტაპები.

დაწყებითი კლასების კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რაც სამიზნე ცნების დამკვიდრების პროცესში, თავისთავად გულისხმობს წინარე ცოდნაზე დაყრდნობას.

კომპლექსური დავალებები აგებულია მოსწავლისთვის უკვე ნაცნობ სასწავლო თემებსა და კონტექსტებზე, რომლებიც, მოსწავლეს, წინარე ცოდნის საფუძველზე, ახლის აგებაში დაეხმარება. კურიკულუმში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები, შინაგანი მზაობა და ინტერესები, რომელიც მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ახალი ცოდნა მანამდე არსებულ, საკუთარ გამოცდილებას დაუკავშიროს.

ბუნებიმეტყველების მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს ნათლად აისახა მათ მიერ წინარე ცოდნის გააქტიურების პრაქტიკის ყოველდღიურ საქმიანობაში გამოყენება და გააზრება. მათი გამოცდილება ცხადყოფს, რომ აქვთ უნარი, ფასილიტაცია გაუწიონ მოსწავლეს ცოდნის აგების პროცესში.

სკოლის მიერ მოწოდებული საგნობრივი კურიკულუმები, ესთეტიკურ აღზრდაში შესწავლის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმები ეყრდნობა კონსტრუქტივისტულ პრინციპს- ახალი ცოდნის დაფუძნებას მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე, რაც ჩანს ორივე საგნის კურიკულუმის ჩარჩოში. მოსწავლეები ინფორმაციის დამუშავებას და ცოდნად გარდაქმნას წინარე ცოდნის საშუალებით ახორციელებენ, რაც განაპირობებს შინაგანი ძალების გააქტიურებას. ინტერვიუსას პედაგოგებმა განსაკუთრებით აღნიშნეს კომპლექსური ტიპის დავალების როლი კონსტრუქტივისტული პრინციპების განხორციელებისას.

მათემატიკის პედაგოგებს ისე აქვთ კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თემა, მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტები, საკითხები თუ რესურსები, რომ მკაფიოა ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე დაფუძნებით კონსტრუირების გახორციელების შესაძლებლობა მათ მიერ შემუშავებული საგნის კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა სრულად იძლევა საშუალებას მოსწავლემ ახალი ცოდნის კონსტრუირება მოახდინოს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლები გასაუბრებაზე აღნიშნავდნენ რომ მათი საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რაც წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას, ხოლო კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლებს შეუძლიათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირება და დამუშავება. მიუხედავად იმისა, რომ კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია სავალდებულო თემების გათვალისწინებით.

საგან ფიზიკური აღზრდა და სპორტის პედაგოგთან გასაუბრება და წარმოდგენილი კურიკულუმების განხილვა, მოწმობს რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; დავალების ყოველ მომდევნო ეტაპზე მუშაობისას, მოსწავლეს წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით , ახლის დაშენებით, გაუადვილდება სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. ამის დამადასტურებლად გვაქვს განხორციელებული და მომავალში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, რომელიც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად არის გაწერილი.

სახელმწიფო ენის კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობამ და მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სკოლა სწავლა-სწავლების პროცესს წარმართავს წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. კურიკულუმის თემატური დაგეგმვა, კომპლექსური დავალებების პირობაში ნაცნობი კონტექსტების შემოტანა, თემატური მატრიცები, რომლებშიც კარგად ჩანს ცოდნის აგების პროცესი და მასწავლებლების მიერ მოყვანილი მაგალითები.

კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმი გათვლილია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ყოველი თემა მუშავდება ეტაპობრივად, წინარე ცოდნის გააქტიურებით იწყება კომპლექსური დავალების პირობის გააზრება, ან მისთვის ნაცნობი კონტექსტითა თუ ცხოვრებისეული მაგალითით ეხმარება ახალი ინფორმაციის ძველთან დაკავშირებაში.

სკოლას მიეცა რჩევა სასურველი იქნებოდა „მე და საზოგადოებისა“ და „ჩვენი საქართველოს“ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანდეს მეტი მაგალითები შედარებისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება

3. კურიკულუმებში შეთავაზებულია ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებმაც მოსწავლეები უნდა დააფიქროს სწავლის პროცესზე და წაახალისოს მეტაკოგნიცია. ეს უზრუნველყოფს, რომ სწავლის პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. კომპლექსური დავალებების მრავლფეროვანი არჩევანი საშუალებას იძლევა, დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპებზე, მოსწავლეებმა განსხვავებული მეთოდი და სტრატეგია გამოიყენონ და თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი. აქცენტები კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების გამომუშავებას.

დაწყებითი საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმებს თან ერთვოდა მატრიცები, რომლებშიც წარმოდგენილია გეზის მიმცემი შეკითხვები, რაც მიუთითებს რომ სწავლებისას აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. კურიკულუმებში მოცემულ მრვალფეროვან რესურსებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ რომ კურიკულუმებში ინტეგრირებულია მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიები. მათ წარმოადგინეს მატრიცები სადაც კომპლექსური დავალების შესრულებისათვის საჭირო ეტაპებზე დაკვირვებით ჩანდა რომ ეტაპები არსებით როლს ასრულებენ ცოდნის გარდაქმნისა და დამუშავების პროცესში. რაც გვაძლევს საშუალებას ვთქვათ რომ აღნიშნულ საფეხურზე უცხოური ენის სწავლების როცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რომელიც თავისი არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. კომპლექსური დავალების მოსამზადებელი აქტივობები და მისი წარდგენის ეტაპი გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მოსწავლეები პასუხობენ საკვანძო შეკითხვებს, რომელიც ხელს უწყობს მათ გააკეთონ რეფლექსია დავალებაზე მუშაობის პროცესში, შესაბამისად აქცენტი კეთდება მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. დავალებები სრულდება ისეთი მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებით (მონაცემთა შეგროვება და ორგანიზება სქემებში, ტექსტის პაუზებად კითხვის, კითხვა ნიშანთა სისტემით, მნიშვნელოვანი სიტყვები, ჯოგსოუ, სასწავლო გაჩერებები, პროექტული სწავლება, კვლევის განხორციელება, მმმ სტრატეგია და ა. შ.), ასევე ლაბორატორიული სამუშაოები. რომელიც მორგებულია, მოსწავლეთა ინტერესებზე და მათში იწვევს სწავლის მოტივაციას. აქტიურად გამოიყენება ჯგუფური და თანამშრომლობითი სწავლების სტრატეგიები

ესთეტიკურ აღზრდაში წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმს თან ახლავს თემატური მატრიცის რამდენიმე ნიმუში, რომელშიც ჩადებულია მაკონსტრუირებელი კითხვები, რაც მოსწავლეს გეზს აძლევს გააზრების პროცესში აქცენტი გააკეთოს დასწავლაზე. ასევე ინტერვიუში იქნა ხსენებული, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ სწავლების პროცესში ისე გეგმავენ აქტივობებს, და შუალედურ დავალებებს, რომ მოსწავლემ შეუძლოს მეტაკოგნიტური უნარების გამომუშავება.

მათემატიკის კათედრაზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და რესურსები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით თავად დაგეგმოს როგორ ააგოს ცოდნა და შემდეგ გაანალიზოს რა გამოუვიდა ეფექტურად და რისი გაკეთება იყო საჭირო სხვანაირად, რა უნდა შეცვალონ თავიდან, რომ იწყებდნენ მუშაობას, ეძლევათ საშუალება მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროცესს (სწავლის სწავლას).

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობენ, კომპლექსური დავალების კეთების პროცესს, რათა მოსწავლეები ჩაეჭიდონ საკვანძო ძირითად შეკითხვებს და გაასიტყვონ საკუთარი შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის პროცესი. მეტაკოგნიციაზე აქცენტი კარგად იკვეთება მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებებსა და აქტივობებში, მათი შეფასების მექნიზმებში, იქნება ეს თანატოლთა შეფასება, თვითშეფასების რუბრიკები თუ კომპლექსური ბუნების დავალები პრეზენტაცია.

სპორტის პედაგოგთან საუბრისას ჩანს, მათ მიერ გავლილი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, პრობლემის აღმოჩნისა და გადაჭრის გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე და სწავლების იმ მეთოდების დანერგვაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ამის დამადასტურებლად გვაქვს კომპლექსური დავალებები.

სახელმწიფო ენაში მოწოდებულ მასალებში ჩანს,რომ მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. როცა მოსწავლე აანალიზებს შესრულებულ დავალებას: მსჯელობს რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება;წარმოდგენილი თმატური მატრიცები, ამ თვალსაზრისით სასწავლო პროცესის შეფასების საშუალებას იძლევა. შესაძლებელია დავასკვნათ, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

საგან კომპიუტერული ტექნოლოგიების დოკუმენტაციიდან და პედაგოგთა გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალებების დაგეგმვის და განხორციელების პროცესში, მოსწავლეების მიმართ წარსადგენი კომპლექსური დავალებები იმგვარადაა აგებული, რომ შესაძლებელია სასწავლო პროცესში სწავლის სწავლა. კომპლექსური დავალებების შესრულებისას მოსწავლეს უვითარდება მეტაკოგნიტური უნარები, კომპლექსური დავალების ბოლო ეტაპზე, დავალების პრეზენტაციის დროს მოსწავლე აფასებს საკუთარ განვლილ გზას დავალებაზე მუშაობის დაწყებიდან დასასრულამდე. კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებულია კითხვები თვითრეფლექსიისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება**

4. კომპლექსური ტიპის დავალებები არის მოაზრებული, როგორც გზა და საშუალება სამივე კატეგორიის ცოდნის განვითარებისთვის. კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელებას, რაც თავისთავად გულისხმობს ცოდნის სამივე

კატეგორიას. ასევე, კურიკულუმში საკითხები მკაფიოდაა განსაზღვრული, რაც მნიშნველოვანია ერთი მხრივ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებისთვის, მეორე მხრივ კი სწავლა-სწავლების ისეთ პრინციპების გასააქტიურებლად, როგორებიცაა - ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) მუშაობა და ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

დაწყებით საფეხურზე კურიკულუმში მოცემულ კომპლექსური დავალებებთან ერთად სკოლამ წარმოადგინა მატრიცები სადაც ამ კოპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპებია მოცემული. მათშო მოცემული სხვადასხვა ტიპის აქტივობები და მრავავალფეროვან რესურსები მიუთითებს რომ სწავლის პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ამავე დროს გასაუბრებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს საგაკვეთილო პროცესზე, სადაც მოსწავლეებს სთავაზობენ პროექტულ, პრობლემებზე დაფუძნებულ დაავალებებს, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება და ანალიზი . ამის დასადასტურებლად კი წარმოადგინეს სხვადასხვა განხორციელებული პროექტების ანგარიში.

დაწყებითი საგნების კათედრაზე ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, პროექტებში, ეს მეტყველებს სასწავლო პროცესში როგორც პირობისეულ, ასევე დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობაზე. სკოლის მის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსურ დავალებებს. კომპლექსური დავალებება კი ცოდნის სამ კატეგორაზეა ორიენტირებული. სასწავლო პროცესში მუდმივად ხდება თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთდაკავშირება, რაც გულისხმობს სწავლების ცხოვრებასთან დაკავშირებას, მოსწავლეთა ჩართულობას ისეთ აქტივობებში, რომელიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. მაგალითად საგან მათემატიკაში, სკოლაში განახორციელეს შემდეგი სახის კომპლექსური დავალება, მოსწავლეებმა მდინარეზე გაზომეს მდინარის სიჩქარე, ნავის სიჩქარე მდინარის მიმართულებით და საწინააღმდეგო მიმართულებით, პრაქტიკულად გამოიყენეს მიღებული ცოდნა.

საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების ფარგლებში, მოსწავლე ახდენს მიღებული დავალებების ტრანსფერს რეალურ ცხოვრებაში, რომლის მაგალითია პროექტი: მრავალწახნაგოვანი კომუნიკაცია, რომლის მიზანი იყო განათლების ენების ინტეგრირებულად სწავლებას ,სასკოლო საგნებს შორის „ენობრივი ხიდების“ გადებას,რათა მოსწავლეებმა შეძლონ სხვადასხვა საგნებში შეძენილი ენობრივი ცოდნისა და გამოცდილების ერთმანეთთან დაკავშირება, პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა მოახდინეს როგორც ბეჭდური, ისე მულტიმედიური და მრავალგვარი ფორმის ელექტრონული ტექსტების კითხვის, წერის, ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, ინტერპრეტირების, გამოყენება- გაზიარების უნარების გამომუშავება ,რაც განუვითარებს მათ ციფრული წიგნიერებისა და მედიაწიგნიერების უნარებს. **ინდიკატორი შეესაბამება**

5. კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების, მასწავლებელთა ინტერვიუების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. კურიკულუმში თითოეულ სამიზნე ცნებას უკავშირდება მთელი რიგი ქვეცნებები, რომლებიც წარმოაჩენენ საგნობრივი ცოდნის სტრუქტურას. სამიზნე ცნებაზე მუშაობის პროცესში მოხდება ამ ქვეცნებების ერთმანეთთან შედარება, დაპირისპირება და სხვადასხვა ნიშნით კლასიფიცირება, რაც მათ ურთიერთდაკავშირებულ

გამოყენებას განაპირობებს. სამიზნე ცნებების დამკვიდრების პროცესი აგებულია შესწავლილი საკითხების გაღრმავებაზე კლასების მიხედვით, და იმგვარად არის მიწოდებული, რომ შესაძლებელია ცოდნის ორგანიზება.

სკოლამ უცხოური ენების დაწყებით საფეხურზე წარმოადგინა კურიკულუმის ჩარჩოები პირველ და მეორე ცხოურ ენაში. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია თემები, თემებთან მიმართებაში სამიზნე ცნებები, კომპლექსურიი დავალების იდეები და შესაბამისი რესურსები. სწორი თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები კი საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. კომპლექსურ დავალებებთან ერთად წარმოდგენილია მატრიცები სადაც დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე. ყოველივე ეს კი განაპირობებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. გარდა კომპლექსური დავალებებისა სკოლას აქვს დიდი გამოცდილება ინტეგრირებული გაკვეთილებისა და სხვადასხვა პროექტების გაბხორციელებისა, რის დასასაბუთებლადაც წარმოადგინეს განხორცილებეული პროექტების ანგარიში.

მოსწავლის ცოდნათა დაკავშირებისა და ორგანიზების თვალსაზრისით, ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში, სასწავლო საკითხებს გააჩნიათ ურთიერთმიმართებები. თემები ისე არის დაგეგმილი, რომ გააჩნიათ ცოდნის გამთლიანებისთვის საჭირო ლოგიკური კავშირები. სასწავლო კურიკულუმის გარდა, მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისა და ორგანიზებისთვის მოაზრებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ითვალისწინებს გარკვეული პროდუქტის შექმნას, მაგალითად, დიორამა, მოდელი, პრეზენტაცია და სხვა. ასეთი ტიპის კომპლექსური დავალებები მოსწავლეს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში დაეხმარება.
ესთეტიკური აღზრდა კათედრის მასწავლებლებმა ინტერვიუზე ისაუბრეს მოსწავლის მხრიდან ცოდნათა ორგანიზების და ერთმანეთთან დაკავშირების მნიშვნელობაზე. ასევე აღნიშნეს, რომ დაწყებით საფეხურზე განსაკუთებულად მნიშვნელოვანია ამ უნარების გამომუშავება. სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტული პრინციპით დაგეგმვა უზრუნველყოფს მოსწავლის ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და სასკოლო პროექტები ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რაც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას.
მათემატიკის კათედრაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე, ჩანს რომ სკოლაში, სასწავლო პროცესში უზრულველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კერძოდ, მასწავლებლებმა ინტერვიურების დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში ტარდებოდა და მომავალშიც აქვთ მზაობა და გეგმავენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებას. (მათემატიკა-ისტი, მათემატიკა-ქართული)

საზოგადოებრივი მეცნიერებები კურიკულუმის ჩარჩოს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება**. სკოლას მიეცა რჩევა** უმჯობესი იქნებოდა, ერთი თემის ფარგლებში გაწერილი იყოს მინიმუმ ერთი კომპლექსური დავალება, სასწავლო რესურსები კი იყოს უფრო მეტად მრავალფეროვანი. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შესაძლებელია იმის დანახვა, თუ

რამდენად მოახდენს მასწავლებელი პრაქტიკაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას. ასევე, ამასთანავე, როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ მათ პრაქტიკაში მრავლადაა წარმატებული გამოცდილება საგანთაშორისი ინტეგრაციის.

ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. სამომავლო კურუკულუმში გაწერილი თემები, სადაც არის როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულება, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. სასწავლო პროცესის შუალედური მიზნებით დაგეგმვა, რომელშიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, ფიზიკური აღზრდის და სპორტის საგნის ინტეგრირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. ასევე მასწავლებლებს აქვთ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების გამოცდილება, რომლის დამადასტურებელ საბუთად წარმოდგენილი აქვთ მოსწავლის ნამუშევარი. წარმოადგინეს გაკვეთილების დაგეგმვის ნიმუში, რომელიც გვაძლევს სურათს მსგავსი ტიპის გაკვეთილებზე მუშაობის მიზნის პროდუქტის წარდგენისა თუ პროდუქტზე მუშაობის საჭირო ცოდნათა ორგანიზებისთვის.

სახელმწიფო ენის საგნობრივი კურიკულუმის თემატური დაგეგმვა, კომპლექსური დავალებები, გვიჩვენებს საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის რეალიზების გზას და არის ამავდროულად ის მთავარი კომპონენტი, რომელიც იძლევა საშუალებას ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერდაკავშირების შესაძლებლობას.მასწავლებელები გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს და გამოხატავენ მზაობას სასწავლო პროცესი დაგეგმონ ამ პრინციპების გათვალისწინებით.განახორციელონ მეტი ინტეგრირებული გაკვეთილები,პროექტები.

კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის კურიკულუმი საშუალებას იძლევა მოსწავლემ შეძლოს სხვადასხვა საგნის ცოდნისა და გამოცდილების ორგანიზება და ინსტრუმენტად გარდაქმნა. მოსწავლე უკავშირებს მიღებულ ცოდნას რეალურ ცხოვრებას, ახდენს ცოდნის ტრანსფერს და აცნობიერებს, თუ რა კონტექსტში უნდა გამოიყენოს იგი.

აგრეთვე, სკოლას აქვს ინტეგრირებული გაკვეთილების და პროექტების განხორციელების გამოცდილება, მათ შორის მათემატიკის, ხელოვნების, ტექნოლოგიების და სხვა საგნებს შორის. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- კომპლექსური დავალების მატრიცები
- განხორციელებული პროექტების ანგარიში.
- კომპლექსური დავალებები
- სასწავლო პროექტები

- ინტეგრირებული გაკვეთილი
- შეფასების რუბრიკები
- საგნობრივი მატრიცები
- ინტეგრირებული გაკვეთილები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. შესაბამისად, სკოლამ გამოთქვა მზაობა, რომ გააგრძელებენ ამ პრინციპით კურიკულუმის განვითარებას. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, კურიკულუმის განხორციელება და კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას შემოქმედებით პროცესში, ამ შემთხვევაში მოსწავლე პასიური მსმენელი კი არ არის არამედ აქტიურად არის ჩართული, თვითონ ქმნის პროდუქტს. აქცენტი კეთდება საგნის სწავლების მნიშვნელობაზე და დაკავშირებაზე ყოფითი პრობლემების გადაჭრასთან. კათედრების მიერ წარმოდგენილ საფეხურის კურიკულუმში ასახული და გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. აღნიშნული ნათლად იკვეთება მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დაგეგმილ კომპლექსური ტიპის დავალებებზე საუბრისას.

სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებსა და სასწავლო თემებს შორის კავშირი სწორად არის დანახული. მასწავლებლებს აქვთ უნარი იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით და სასწავლო პროცესი წარმართონ ისე, რომ საგნობრივი საკითხების დამუშავებასთან ერთად, მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის განზოგადება და გრძელვადიანი მიზნებისკენ ორიენტირება უზრუნველყონ, რაც დადასტურდა მათთან გასაუბრების დროს.

კომპლექსური დავალებები აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების გათავისება და განზოგადებას.

სკოლამ უცხოური ენების დაწყებით საფეხურზე თითოელ კლასში დაგეგმილია 2-3 კომპლექსური დავალების განხორციელება, ასევე მოცემულია ძირითადი კონექსტ-მაგალითები და მაგილითები შედარებისთის. მოცემული თემები ემთხვევა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზვრულ თემათა არეალს, სამიზნე ცნებები თანხვედრაშია საფეხურით განსაზღვრულ მიზნებთან. კურიკულუმებში ჩანს რომ მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს და საგნობრივ საკითხებს შორის. უცხოური ენების დაწყებით საფეხურზე შუალედურ მიზნად გამოყენებლია კომპლექსური დავალება, სკოლამ ასევე წარმოადგინა განმავითარებელი შეფასებები რომელთა რუბრიკები მიემართება გრძელვადიან მიზნებს, რაც მიუთითებს რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2. დაწყებით საფეხურზე, სწავლა-სწავლების პროცესში, მასწავლებლები ცდილობენ, ისე შეარჩიონ საგნობრივი საკითხები, რომ ისინი არც ძალიან იოლი და არც ძალიან რთული იყოს მოსწავლისათვის. ამასთანავე, მოსწავლეს აძლევენ შესაძლებლობას ამოიცნოს საკუთარი ემოციები, ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები. შედეგად მოსწავლეს უვითარდება თვითრეგულაციის უნარი და შეუძლია - მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად. წარმოდგენილ დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებაზე, მოსწავლეს უვითარდება პასუხისმგებლობის გრძნობა როგორც საკუთარი თავის მიმართ, ასევე სხვების მიმართ ეცვლება დამოკიდებულება რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის პიროვნების განვითარების ხელშეწყობას.

საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში შემოთავაზებულია დავალებები, რომელთა შესრულებისათვის მოსწავლეებს სხვადასხვა გამოწვევებთან გამკლავება მოუწევთ, რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას განაპირობებს. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. დაგეგმილი პროექტები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსები (როგორც ვირტუალური ლაბორატორიები ასევე სკოლაში არსებული რესურსები) ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.

პედაგოგებთან ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებაზე, პროექტებზე მუშაობის და საბოლოო პროდუქტის შექმნისას, მოსწავლეს უვითარდება კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა და თანამშრომლობითი უნარები, ასევე მოსწავლე ახდენს თვითაქტუალიზაციას და აზროვნების პროცესების მართვით - თვითრეგულაციას.

წარმოდგენილი დოკუმენტები (კურიკულუმის ჩარჩო, კომპლექსური დავალება, სსსმ მოსწავლისათვის შექმნილი დავალებები) საშუალებას იძლევა დავადასტუროთ, რომ კათედრაზე ხდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით დაგეგმვა და სასწავლო პროცესის წარმართვა. მასწავლებლებთან გასაუბრებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ეს ყველაფერი ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

კურიკულუმებს თან ახლდა კომპლექსური დავალებების მატრიცები სადაც ჩანს რომ კომპლექსური დავალებების განხორციელებისათვის საჭირო ეტაპები ეყრდნობა სკაფოლდინგის მეთოდს. კურიკულუმებსა და კომპლექსური დავალებების მატრიცებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები, სადაც ჩანს რომ საგნობრივი საკითხები, რომლებიც მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც.

კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია თემები და დავალებები, პროექტები სადაც მოსწავლეებს უწევთ მსჯელობა საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე დამოკიდებულებებზე ადასტურებს, რომ კათედრებს აქვთ მზაობა იმუშაონ ამ მიმართულებით.სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, რომელიც არის ჩართული და მუშაობს მოსწავლეებთან საჭიროების შემთხვევაში. სკოლაში მიმდინარეობს ფსიქოლოგის, სპეც მასწავლებლისა და დამრიგებლების მიერ ჩანაწერების წარმოება და დამრიგებლებთა ორშაბათის შეხვედრები. სკოლა გეგმავს მიმდინარე სასწავლო წელს მასწავლებლის მიერ შექმნილი ინსტრუმენტით ჩატარდეს პრეტესტი და გამოიკვეთოს კლასის სუსტი მხარეები და განხორციელებული ინტერვენციებით გაუმჯობესდეს მოსწავლეთა სოციო-ემოციური უნარები. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა მოსწავლეების მიერ შესასრულებელი აქტივობები ფასდება მთლიანობაში და ეძლევა შესაბამისი უკუკავშირი. მათ საშუალება აქვთ მთლიანობაში დაინახონ საკუთარი შესაძლებლობები კონკრეტულ დავალებასთან მიმართებით, გაიგონ რა აქვთ გამოსასწორებელი და იმუშაონ მის გაუმჯობესაბაზე. კომპლექსური დავალების წარდგენისას მოსწავლე აკეთებს თვითშეფასებას, ასაკის შესაბამისად აანალიზებს დავალების შესრულებისას როგორც მიღწევებს, რა გამოუვიდა კარგად, ასევე ხარვეზებს, დავალებას ხელმეორედ რომ ასრულებდეს რას შეცვლიდა და რატომ. ყველა საგნის მასწავლებელი იყენებს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის მაქსიმალურ მხარდაჭერას ემსახურება. მარტივ დავალებებს ფრთხილად ენაცვლება შედარებით რთული და ამასთანავე მრავალფეროვანი დავალებები, ხოლო მასწავლებლები შეფასებისას, მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღწერისას მიმართავენ ზეპირ და წერილობით უკუკავშირს, აღწერენ ძლიერ და სუსტ მხარეებს, გასცემენ რეკომენაციების. ამით ისინი შეფასების დროს ხელს უწყობენ მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას.

სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, შეფასების ზოგადი რუბრიკები - საკლასო, საშინაო და შემაჯამებლ კომპონენტების შესაფასებლად. შემუშავებული შეფასების რუბრიკებით, მაგალითად, ფასდება როგორია მოსწავლის ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, რამდენად აქვს მას მოსმენის კულტურა, იცავს თუ არა ეთიკურ ნორმებს, როგორია მისი საქმიანობა სოციალურ გარემოში (ჯგუფებში მუშაობის დროს). წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, ჰოლისტური შეფასების გარკვეული ელემენტები გაბნეულია შეფასების სხვადასხვა რუბრიკაში.

შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე. მოსწავლის ჰოლისტური განვითარება გულისხმობს, რომ მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში უნდა უწყობდეს ხელს. ამისათვის კათედრა გეგმავს აქტიურად გამოიყენოს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება, რაც ჩანს კურიკულუმებიდან. ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. ამისათვის მასწავლებლები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ჰოლისტური შეფასების

მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გამოიყენება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია. სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, საიდანაც ირკვევა, რომ შეფასება ორიენტირებულა მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე.

უცხო ენებთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რჩევა საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებების შეეფასებისას შეიმუშაონ რუბრიკები რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს.

ინდიკატორი შეესაბამება..

4. მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ მნიშვნელობანია შეფასება იყოს ვალიდური. ამისათვის ისინი პირველ რიგში განსაზღვრავენ შეფასების მიზანს, შეიმუშავებენ შეფასების კრიტერიუმებს, და ამ პროცესში დიდ ყურადღებას უთმობენ რამდენად არის ისინი ერთმანეთთან კავშირში. ამჟამად სკოლას არჩეული აქვს შეფასების პირველი მოდელი, აქვს მზაობა შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიქტური. პედაგოგებს აქვთ გააზრებული, რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და სერიოზულად უდგებიან მას. ამ დასკვნის საფუძველს გვაძლევს კურიკულუმი, დაგეგმილი სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, ასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები და აქტივობები. კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქოუჩინგის პროცესში მომზადებულა შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, რაზე გაამახვილონ მოსწავლეებმა ყურადღება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრ მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, წინარე გამოცდილების მნიშვნელობა.

წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, როგორიცაა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, პროექტები, კათედრის ოქმი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებული შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლებთან ინტერვიუებით ირკვევა, რომ მოსწავლეები მონაწილეებენ რუბრიკების შექმნაში, იცნობენ ამ რუბრიკებს, რომლებიც ხშირად გამოკრულია კლასში, შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც. ამჟამად კათედრები მუშაობენ შეფასების ახალი ინსტრუმენტების შექმნაზე, როგორც განმავითარებელი შეფასებისთვის, ასევე განმსაზღვრელი შეფასებისთვის, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება შეფასების ყველა პრინციპი.

უცხოურ ენებში სკოლამ მიიღო რჩევა, მოხდეს მოსწავლის პორტფოლიოს წარმოება, რაც მასწავლებელს მისცემს საშუალებას მოსწავლის მრავალმხრივ შეფასებისა.

ინდიკატორი შეესაბამება.

5. სკოლა, შეფასების სისტემის მექანიზმების განსაზღვრისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი ახორციელებს შეფასების ვერიფიკაციას სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. წინასწარ განსაზღვრულ რისკ-ფაქტორებთან მიმართებაში, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი განახორციელებს შეფასების პროცესისა და ინსტრუმენტების

ვერიფიკაციას შერჩევითი პრინციპით. ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნა ეგზავნება სკოლის დირექტორს რეაგირებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი მონიტორინგს უწევს რეკომენდაციების შესრულებას.

მისაღწევი შედეგისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, მასწავლებლებს გააჩნიათ შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა/ შეცვლის პრაქტიკა. შეფასების სისტემის გარე ვერიფიკაციის მექანიზმად სკოლა განიხილავს სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში მოსწავლეთა შედეგებს. შიდა ვერიფიკაციის მექანიზმად კათედრებზე ჩატარებულ წამახალისებელ კონკურსებს მოიაზრებს, სადაც მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ საკუთარი სურვილების შესაბამისად და არაფორმალურ გარემოში მოხდება მათი ცოდნისა და უნარების შემოწმება.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. **ინდიკატორი შეესაბამება.**

6. კათედრების წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, არსებული ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, ასევე მოსწავლის პირად საქმეში. ინფორმაცია დაცულია და ინფორმაციის გაცემა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ინახება მოსწავლეთა სემესტრული, წლიური და საფეხურის ნიშნები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. ინფორმაციის ასახვა ხდება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სამომავლოდაც დოკუმენტაციის შენახვას და დამუშავებას გააგრძელებენ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლა საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის და მტკიცებულებების სახით სკოლაში ინახება საკლასო ჟურნალები მატერიალური სახით. 2021-2022 სასწავლო წლიდან კი ელექტრონული ჟურნალების სახით. სკოლაში ასევე ინახება მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები. **ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- .საგნობრივი კურიკულუმი
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი.
- დაწყებითი საფეხურის განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები
- ხარისხის განვითარების ჯგუფის ბრძანება
- განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასების რუბრიკები

- დიფერენცირებული დავალებები
- კათედრის ანგარიშები
- კომპლექსური დავალებები
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა მნიშვნელოვანი ნაწილია სკოლის განვითარებაში. ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებელთან ინტერვიუდან ნათელია და თვითშეფასების ფორმაშიც აღნიშნავენ კოლეგები, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის აღნიშნული გარემოს შექმნას , ითვალისწინებს მათ ინტერესებს, შესაძლებლობებსა და გარემო ფაქტორებს და სკოლის ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გეგმავს სპორტულ აქტივობებს, რაც ერთ-ერთი საშუალებაა მოსწავლეებში ნდობის და დადებითი გარემოს უზრუნველსაყოფად. სამომავლოდ სასკოლო საზოგადოება გეგმავს შეიმუშავოს ახალი, მოსწავლეების სკოლაში ინტეგრირების ეფექტური მექანიზმები.

სკოლის ფილოსოფიაში გაზიარებულია სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს უზრუნველყოფის ვალდებულება. სასკოლო ინფრასტრუქტურასთან ერთად, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების (სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი) საფუძველზე სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლის მხარდამჭერი გარემოს შექმნას.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა და კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლაში შექმნილი პოზიტიური სასწავლო გარემო; მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად დაგეგმილი აქტივობები, რომელშიც მოსწავლე არის სუბიექტი და არა ობიექტი. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებანი; ასევე უზრუნველყოფილია გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობა, რაც კათედრაზე კომპლექსური დავალებების სწავლებითაა შესაძლებელი. იგი იკითხება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშში მოსწავლეებისა და მასწავლებლის დონეზე, რის მტკიცებულებად პედაგოგიური საბჭოსა და კათედრის ოქმებია წარმოდგენილი. გარდა

ამისა, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა, იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2. სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის მექანიზმები, რომელშიც იკვეთება მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემო. ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან, სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული. (დასტურდება ფოტომასალით, სიგელებით, სკოლის ფეისბუქ გვერდზე განტავსებული აქტივობებით).

წარმოდგენილი მასალების ანალიზიდან, კურიკულუმების განხილვისას, კათედრის წევრებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის ინდივიდუალური, ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები, შესაძლებლობები, უნარები, ინტერესები, საჭიროებები და სწავლის სტილი და ამავე დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა აქტივობებში, ოლიმპიადებში, კონფერენციებში, პროექტებში და ა შ. , სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებულად; კურიკულუმები მოიცავს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებს), მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და ინტერესებისთვის შესაბამის სასწავლო თემებსა და მრავალფეროვან კომპლექსურ დავალებებს. ვიზიტის დროს, გამოიკვეთა, რომ პედაგოგები იყენებენ კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპებს (წინარე ცოდნაზე დაფუძნება, დიფერენცირებული მიდგომა, მეტაკოგნიტური უნარების განვითარება და სხვა), რომელიც მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. სკოლა, კომპლექსური დავალებების დანერგვით, უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში. მოსწავლეები არა მხოლოდ აქტიურად მონაწილეობენ განათლების მიღების პროცესში, არამედ საშუალება აქვთ, ერთმანეთს დაეხმარონ და მონაწილეობა მიიღონ თანატოლების სწავლა-სწავლების პროცესშიც. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სკოლის დოკუმენტაციებში წარმოდგენილია და კათედრის წევრებთან გასაუბრებისას დასტურდება, რომ დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა. სასკოლო საზოგადოებას აერთიანებს საერთო ღირებულებები და ინტერესები. სასწავლო პროცესი ხორციელდება თანამშრომლობითი პრინციპების დაცვით, რაც ხელს უწყობს სამართლიანი და თანასწორუფლებიანი სამუშაო გარემოს შექმნას და პროცესში ჩართული ან დაინტერესებული პირების უფლებებისა და ინტერესების დაცვას; კათედრის წევრები ერთობლივად შეიმუშავებენ სასკოლო კურიკულუმებს, რაც გულისხმობს როგორც კურიკულუმების ჩარჩოს შემუშავების, ისე კურიკულუმის განხორციელების პროცესში მასწავლებლების მიერ სამუშაო შეხვედრათა დაორგანიზებას. აღნიშნული კი დასტურდება კათედრის მუშაობის ოქმებში. კათედრის წევრები უზიარებენ ერთმანეთს პროფესიულ გამოცდილებას. სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს და აძლევენ უკუკავშირს.

სკოლა აცნობიერებს, რომ თანამშრომლობა და გუნდურობა ამ მრავალფეროვნებას აქცევს მნიშვნელოვან პლატფორმად მოსწავლეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

პედაგოგები ხშირად იკრიბებიან, მართავენ დისკუსიებს, მსჯელობენ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე. ხშირად ატარებენ მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრებს, ეცნობიან USAID საბაზისო განათლების პროგრამით მიწოდებულ მასალებს, სკოლას აქვს GE-PRIED დაწყებითი განათლების პროგრამით მუშაობის გამოცდილება და თანამშრომლობითი კულტურა.

ინდიკატორი შეესაბამება.

4. პედაგოგებთან გასაუბრებით ჩანს რომ , სკოლაში სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. წარმოდგენილი ფოტო მასალა, საქმიანობის ამსახველი მასალები ცხადყოფს, რომ სკოლაში ყოველთვის ტარდება სპორტულ საკლასო და სასკოლო ღონისძიებები. და სკოლამ გამოთქვა მზაობა, კიდევ გააქტიურონ ეს პროცესი. დასტურდება პედაგოგების საუბრით და ფოტომასალით.

სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები, პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფის მიმართულებით. ამ და სხვა დოკუმენტებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლაში დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა, რწმენების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების გაზიარებული სისტემა, ქმნის ურთიერთობის ისეთ ფორმას, რომელიც მისაღები და გაზიარებულია მათვის და აყალიბებს ისეთ ნორმებს და წესებს, რომლებიც უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატის შექმნას, როგორც სკოლის ასევე კლასის დონეზე. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლა წარმოადგენს კეთილგანწყობილ დაწესებულებას, სასკოლო საზოგადოებისათვის. შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო გარემო. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სკოლაში მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, დირექციასთან და მშობლებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლაში ვიზიტის დროს, სამუშაო სივრცის გაცნობის და მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, სკოლას გააზრებული აქვს, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. ყურადღებიანი, ემპათიური და მეგობრული მასწავლებელი დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე. მასწავლებელი მოსწავლეს უდგება როგორც ინდივიდს თავისი საჭიროებით, სურვილებითა და ინტერესებით. მოსწავლეს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი და დასვას მისთვის საინტერესო კითხვები. სასწავლო პროცესში მოსწავლეები და მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. პედაგოგები ასევე საუბრობენ პოზიტიურ საკლასო გარემოს მნიშვნელობაზე. სკოლა ცდილობს შემქნას პოზიტიური ფიზიკური გარემო, მოსწავლეებს შესთავაზოს მრავალფეროვანი რესურსები და დაამკვიდროს ურთიერთობის წესები ჯანსაღი ატმოსფეროს შესაქმნელად. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. დანერგილია წახალისების მექანიზმები, ხდება მოსწავლეთა მიღწევების აღიარება კლასისა და სკოლის დონეზე, (მადლობა, სიგელი, ფულადი ჯილდო).
ინდიკატორი შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- 2023-2024 სასწავლო წლის სკოლის განვითარების სტრატეგიული სამოქმედო გეგმა
- კათედრის სხდომის ოქმები.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმი.
- განხორციელებული პროექტები.
- ვერიფიკაციის მექანიზმი
- გაკვეთილებზე დასწრების ოქმები
- ინტეგრირებული გაკვეთილები
- ისგ გეგმები და ჯგუფის ოქმები
- სადამრიგებლო კლასის საათი

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც თავისთავად თანხვედრაშია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების პროცესში სტრატეგიული /სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პროცესების მონიტორინგზე, ინტესივობაზე, მონაცემების ანალიზსა და დამუშავებაზე. ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით რეაგირებაზე. შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებისას.

პრიცესი ეფუძნება კათედრის წევრებსა და დირექციას შორის. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, კითხვარების შედგენას მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის, რომელზეც დაყრდნობითაც გააკეთებენ SWOT-ანალიზს, რომელიც ხელს შეუწყობს, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგი და შეფასება. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მათი მუშაობის პროცესი მიმდინარეობს შემუშავებული დებულების შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების განვითარებისა და მხარდაჭერისთვის. რის შედეგად სკოლაში მიმდინარეობს მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. პედაგოგები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს, რეკომენდაციებს. ამ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. ასევე ანალოგიურ პროცესს ახორციელებენ ადმინისტრაციის წევრები საფეხურებისა და კლასების მიხედვით. მონიტორინგის შედეგები გამოიყენება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და განვითარებისათვის. პედაგოგები თანამშრომლობენ როგორც კათედრის ფარგლებში, ასევე მომიჯნავე კათედრებთან - ესწრებიან გაკვეთილებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას.

უზიარებენ გამოცდილებას, ხოლო მოსწავლესთან მიმართებაში საჭიროების მიხედვით იყენებენ დიფერენცირებულ სწავლებას. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში - სასკოლო სასწავლო გეგმასა და კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში, ასევე სტრატეგიულ და სამოქმედო მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ მონიტორინგი და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი

პრობლემის გადაჭრისთვის, სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის. იგივე დასტურდება კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც.

სკოლა, კურიკულუმის განხორიცელების მონიტორინგის გზით, მიზნად ისახავს გამოვლენილი პრობლემების გადაჭრასა და რეკომენდაციების პაკეტის შემუშავებას, რომელიც გამოყენებული იქნება ახალ სასწავლო წელს უკეთესი სასწავლო შედეგების მისაღებად,

სკოლის პრობლემების მონიტორინგის და შეფასების განსაზღვრის იდენტიფიცირების შემდეგ, სასკოლო საზოგადოება გეგმავს კონკრეტულ ნაბიჯებს კონკრეტული მიზნებისათვის განსაზღვროს პასუხისმგებელი სტრუქტურები. სპორტის პედაგოგებთან გასაუბრებით გაირკვა რომ კათედრაზე პედაგოგები ბოლო წლებია არ ანხორციელებენ დიაგნოსტიკურ შეფასებას. **ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- კათედრის წევრების ურთიერთდასწრების უკუკავშირი.
- საგნობრივიკურიკულუმი.
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.
- დიფერენცირებული დავალებები
- დიფერენცირებული შეფასება
- ისგ ჯგუფის ოქმები
- შეფასების რუბრიკები
- ხარისხის განვითარების ჯგუფის ბრძანება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო , ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტი-რებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშველოვანია განმავითარებელი შეფასება , რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ , რაც თავის მხრივ უადვილებს მასწავლებელს დაინახოს მოსწავლის განვითარების დინამიკა, ასვე მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე. აღნიშნული სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე.

მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, ძირითადად, დამრიგებლების საშუალებით. სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა, როგორც სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს, ასევე სხვადასხვა დოკუმენტურ და სტატისტიკურ რესურსებს. მაგალითად კომპლექსური დავალების შესრულებისას მასწავლებელი მოსწავლეთა ცოდნის და უნარ-ჩვევების შესაფასებლად იყენებს სხვადასხვა მეთოდებს- მასწავლებლის დაკვირვება, მოსწავლეთა თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, რუბრიკები და სხვა. ასევე გასაუბრებამ გამოკვეთა, რომ მათ აქვთ ხედვა, იაზრებენ და ითავისებენ მოსწავლის შეფასების მნიშვნელობას, ეცნობიან მრავალფეროვან ინსტრუმენტებს და ნერგავენ პრაქტიკაში. აქვთ მზაობა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე იმუშაონ და განვითარდნენ ამ მიმართულებით. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2. შეფასება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების, მათი მკვიდრი წარმოდგენების, თემატური შედეგების, კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინებით, შეფასება მიზანმიმართულია 6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარის განვითარების ხელშეწყობაზე. დოკუმენტებში გაწერილია და კათედრის წევრებთან გასაუბრებაც ადასტურებს, რომ შეფასება ხორციელდება იმის შესაბამისად, რამდენად მოახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

სკოლა მოსწავლეებს სხვადასხვა სასწავლო კონტექსტში აფასებს, რისთვისაც იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, როგორიცაა კომპლექსური დავალების, გაკვეთილზე ჩართულობის, ჯგუფური მუშაობის, საკლასო დავალების, საშინაო დავალების, დისკუსიის, მოსმენის დავალების, ესეს, ზეპირი პრეზენტაციისა და სხვა შეფასების რუბრიკები.

სკოლას აქვს გამოცდილება, კურიკულუმის შეფასებისას გამოიყენოს მასწავლებლის თვითშეფასება, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა გამოკითხვა, თუ რა შეძლეს და სად სჭირდებათ დახმარება. ასევე კათედრაზე, სამუშაო ჯგუფებში, მასწავლებლებთან, მშობლებთან, საგნობრივ ექსპერტებთან საერთო შეხვედრებზე გამოკვეთილი კურიკულუმის დანერგვის პროცესში შექმნილი სირთულეების გათვალისწინება ახალი კურიკულუმის შექმნისას, არის დასტური იმისა, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და გასაუბრებიდან იკვეთება, რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით, დისკუსიის, ჯგუფური თუ ინდივიდუალური მეცადინეობის, პრეზენტაციის დროს, ასევე ფორმალურ და არაფორმალური განათლების აქტივობებით, მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი ხდება რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების გამოყენებით, ხოლო მოსწავლის შეფასებაზე დაყრდნობით სკოლა განსაზღვრავს სასწავლო პროცესის საჭიროებებს. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სასწავლო პროცესის შეფასებისთვის მონაცემების შეგროვების მეთოდად ითვალისწინებს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. სკოლა იყენებს თავის მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც ტრადიციულ, ასევე, ახალი სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტებს - მოსწავლის დაკვირვებას, ფოკუს ჯგუფსა და ჩაღრმავებულ ინტერვიუს; რაოდენობრივ და თვისობრივი კვლევებს, რომელშიც ჩართული იქნებიან მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები; პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა უკუკავშირი, მშობელთა უკუკავშირი, პედაგოგთა სამუშაო შეხვედრებზე განხორციელებული აქტივობების ანალიზი, მოსწავლეთა ნამუშევრების (შემაჯამებელი წერების, კომპლექსური დავალებების და სხვა.) ანალიზი, რაც ადასტურებს, რომ სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას ინფორმაციის მოპოვება ხდება ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომლებიც მოსწავლის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა.შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა ხდება. მასწავლებელი საკუთარი პედაგოგიური პარაქტიკის კვლევისას, რომ შეისწავლოს, რამდენად ეფექტურია მისი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, ითვალისწინებს კონტექსტს -კლასის კლიმატს, მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას, სწავლის პერიოდს, თემას, საკითხს, მოსწავლეთა ინტერესებს, სათანადო რესურსს, დაგეგმილ აქტივობებს, დავალების პირობის გამართულობას და ა.შ. ინდიკატორის მოთხოვნებს შეესაბამება. **ინდიკატორი შეესაბამება.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი რუბრიკებიდან, კურიკულუმების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიიდან დასტურდება, რომ შეფასება მიმდინარეობს მოსწავლეთა თვითშეფასების, მოტივაციის, ჩართულობის, ურთიერთანამშრომლობის ფაქტორების გათვალისწინებით. სკოლა შეფასებისას ეყრდნობა, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებს, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. ინტერვიუზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკები საგანში ის ეფექტური ინსტრუმენტებია, რომელიც გამოიყენება როგორც მოსწავლეების ნამუშევრის, ასევე მუშაობის პროცესის შეფასების მიზნით. სწორედ ასეთი რუბრიკის გამოყენება იძლევა ისეთი სამუშაოს შეფასების საშუალებას, როგორიცაა მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები, წერითი ნამუშევრები, კომპლექსური დავალებების დაძლევის ხარისხი.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები) იკითხება, რომ მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს, სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაადგინოს, თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა და/ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში. ამრიგად მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს ასევე გარე მამოტივირებელ ფაქტორებს. **ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- კათედრის სხდომების ოქმები
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- კათედრის წევრებთან გასაუბრება;
- კომპლექსური დავალების ანალიზი
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- დიფერენცირებული დავალებები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილ დოკუმენტში „კურიკულუმის-განვითარების მეთოდოლოგია“ გაწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად და ჩაიშლება განახლებულ კურიკულუმსა და სამოქმედო გეგმაში. ამის დასტურია კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები.

მასწავლებლებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ ეს პრინციპები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმის პროცესში და სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას მუდმივად იღებს საგნობრივი ექსპერტებისა და ავტორიზაციის პროცესებში მხარდამჭერი ჯგუფის რეკომენდაციებს.

ასევე დოკუმენტში ვკითხულობთ ,, კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია პრაქტიკულად მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე“. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2. კურიკულუმის წარმოდგენილი ვერსია გარკვეულწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას, რადგან სკოლაში არსებობს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, ეს შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს კურიკულუმების გადასინჯვა და მისი გაუმჯობესება; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მომდევნო წლის კურიკულუმი მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების გათვალისწინებით იქნება შემუშავებული, შესაბამისად დაეფუძნება წინარე გამოცდილებას. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი მიგნებები, რაც კათედრის წევრებთან გასაუბრებიდანაც დასტურდება. სკოლა აკმაყოფილებს კრიტერიუმს. **ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- ვერიფიკავიის ინსტრუმენტი
- საგნობრივიკური კულუმები;
- კათედრის წევრებთან გასაუბრება;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა
- სკოლის თვითშეფასების ფორმა
- ეროვნული კონფერენცაი
- კათედრის სხდომის ოქმები
- მშობელთა კრების ოქმები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(საბაზო საფეხური)**	**+ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	+ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით, კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს, სკოლის სასწავლო გეგმით და კათედრების დებულებიდან გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება ჩართულია კურიკულუმის შემუშავებაში, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ითვალისწინებენ საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, მოსწავლის შესაძლებლობებს, უნარებს, განსხვავებულ ხედვებსა და პრიორიტეტებს, გამოიკვეთა მასწავლებლის როლი, მოსწავლის როლი, მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შექმნის პროცესში. გაწერილია მასწავლებლის, კათედრისა და დირექციის ფუნქციები. აღნიშნავენ, რომ ამ ეტაპზე კურიკულუმზე მუშაობის

პროცესში ძირითადად გააქტიურებულია კათედრებისა და დირექციის როლი. სასწავლო წლის დასაწყისში მუშავდება საბაზო საფეხურის კლასების საგნობრივი კურიკულუმები (შემუშავებულია 7-9 კლასებისათვის), რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს და საჭიროებებს. გეგმავენ, გამართონ შეხვედრები მოსწავლეებთან და მშობლებთან, დაურიგონ კითხვარები, დააკვირდნენ პროცესს და კურიკულუმი განავითარონ მშობელთა და მოსწავლეთა უკუკავშირის ანალიზის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით. შემდეგი წლისთვის კურიკულუმის დასახვეწად. სკოლას აქვს სწორი ხედვა კურიკულუმის შექმუშავების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის დამტკიცების პროცესს, წინ უძღვის გასული წლის კურიკულუმის დანერგვის პროცესის შესახებ სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის ანალიზი. სამუშაო ჯგუფი იკვლევს შემდეგ საკითხებს: მოსწავლეთა ჩართულობა და მათი შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრებისა და დირექციის მუშაობა - მიღებული მონაცემების შეჯერების საფუძველზე, სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს, მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად. ამის დასტურად, სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სამოქმედო გეგმა, კათედრის სხდომის ოქმები, სადაც ასახულია კურიკულუმის შემუშავების პროცესი. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრებთან გასაუბრების შემდეგ დასტურდება, რომ სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესს. მშობელთა ინტერესების დასადგენად ტარდება სხვადასხვა ტიპის გამოკითხვა, საერთო სასკოლო პროექტის შერჩევის, საწრეო და საკლუბო საქმიანობის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ჩანს თუ როგორ, რა ფორმით მონაწილეობენ სასკოლო საზოგადოების წევრები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. თუმცა მასწავლებლები გასაუბრების დროს მიუთითებდნენ ცალკეულ ინსტრუმენტებსა და პრაქტიკებზე, რომლებიც სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლისა და გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა. მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ საკუთარი სწავლების პორტფოლიო, რომელშიც ის აგროვებს მის მიერ წლის მანძილზე განხორციელებული აქტივობებისა და სასწავლო პროცესის მტკიცებულებებს, მის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებულ კომპლექსური დავალებებს, მათი შეფასების ნიმუშებს, რეფლექსიებს, პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებულ კვლევებს და ა.შ. ამ პორტფოლიოს ანალიზი მნიშვნელოვანი წყარო ხდება მომავალში კურიკულუმის გადასინჯვისა და მოდიფიცირებისათვის. პროცესები ეყრდნობა, როგორც მასწავლებლის თვითრეფლექსიას, ასევე მოსწავლეებისგან, სკოლა გეგმავს მშობელთა როლის გაძლიერებას. **ინდიკატორი შეესაბამება.**

4. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი, უპირველეს ყოვლისა, გაზიარებულია მასწავლებელთათვის, რასაც უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია და კურიკულუმის დამტკიცების საკანონმდებლო ჩარჩო - კურიკულუმი თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, ბეჭდვითი მასალები, სოციალური მედია, კრებები, სამუშაო შეხვედრები, საჯარო ღონისძიებები-ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან, სპეციალური კითხვარი მშობლებისთვის.

მშობლებთან კურიკულუმის გაზიარების გზად სკოლას გამოყენებული აქვს მათი პირადი ინფორმირება როგორც TEAMS- ის ჯგუფებში, ასევე კლასების მიხედვით facebook-ჯგუფურ,,ჩათებში".

სკოლასთან ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმს უზიარებენ არამარტო საგნის, კათრედრის ფარგლებში, არამედ სკოლის საერთო დონეზე. იმისათვის, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში აქტიურად იყოს ჩართული სასკოლო საზოგადოება, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს/აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს და ასევე მშობელთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას. სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს მატერიალურად თუ ელეტრონული სახით აქვს წვდომა კურიკულუმებზე. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხები. ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, ბეჭვდითი მასალები, საჯარო ღონისძიებები-ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

ინდიკატორი შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო გეგმა
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ვიზიტის დროს კათედრის წევრებთან გასაუბრება;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- დაგეგმილი და განხორციელებული კომპლექსური დავალებები
- სასწავლო პროექტები
- კათედრის სხდომის ოქმი
- მშობლის ბარათები
- კლასის დამრიგებლის ანგარიში
- მშობელთა კრების ოქმები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურისა და მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი თემები, რესურსები და დავალებები, შეუქმნის მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას. თუმცა, იმის გამო , რომ მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, თუ როგორ ახორციელებენ კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებსაც არჩევენ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებების გათვალისწინებით. კომპლექსური ბუნების დავალებების გამოყენებით, სკოლა ცოდნის აგების, კონსტრუქტივისტული მიდგომის დანერგვას უწყობს ხელს.

შუალედური სასწავლო მიზნების სახით, ჩადებულია კომპლექსური ბუნების დავალების პირობები, რაც მეტ ყურადღებას სასწავლო პროცესზე ამახვილებს, მოსწავლეს აძლევს ავტონომიურობის განცდას, ხელს უწყობს მისი შინაგანი ძალების გააქტიურებას, მაღალი სააზროვნო უნარებისა და შესრულებული სამუშაოს თვით რეფლექსიის უნარის განვითარებას.

სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბაზო საფეხურის 7-9 კლასისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე შერჩეულია სასწავლო თემები, რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას.

სკოლამ უცხოური ენების საბაზო საფეხურზე წარმოადგინა კურიკულუმები პირველ და მეორე ცხოურ ენებში. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია თემები, თემებთან მიმართებაში სამიზნე ცნებები. საბაზო საფეხურზე თითოელ კლასში დაგეგმილია 2-3

კომპლექსური დავალების განხორციელება, ასევე მოცემულია ძირითადი კონტექსტ-მაგალითები და მაგილითები შედარებისთვის. აღსანიშნავია რესურსების მრავალფეროვნება, რომელიც ცდება გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და მოიცავს საინტერესო, თემასთან მორგებულ, განმავითარებელ სხვადახვა სახისა და ხასიათის რესურსს. კურიკულუმებზე დაკვირვებით ჩანს, რომ ათვლის წერტილს გრძელვადიანი მიზანი და მოსწავლის პიროვნული განვითარება წარმოადგენს. გასაუბრებისას უცხოური ენების კათედრის წევრებმა არგუმენტირებულად დაასაბუთეს რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების გზას.

სკოლას მიეცა რჩევა საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებმა სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში გაწერონ ერთი სავალდებულო თემის ფარგლებში მინიმუმ ერთი კომპლექსური ხასიათის დავალება. უმჯობესი იქნებოდა კურიკულუმის ჩაჩოებში მითითებული იყოს სახელმძღვანელოს გარდა სხვა ტიპის მრავალფეროვანი ციფრული რესურსები.

სკოლას მიეცა რჩევა უცხო ენების პედაგოგებმა ყველა კლასის კურიკულუმში გაწერონ რა აქტივობები განხორციელდება და რა რესურსები იქნება გამოყენებული იმ თემებთან სადაც არ არის დაგეგმილი კომპლექსური დავალების განხორციელება.

ინდიკატორი შეესაბამება.

2. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია თემები, შესაბამისად კონტექსტმაგალითები, საკითხები და სამიზნე ცნებები. გასაუბრებისას გამოიკვათა , რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. სანიმუშოდ მოცემული *დავალებებიდან (მოთხრობის შედგენა; თხრობა მთხრობლის შეცვლით; არგუმენტირებული ესეს დაწერა თაობათა ურთიერთობებში არსებული პრობლემების შესახებ. გამოხმაურების დაწერა; სტატიის დაწერა; ზეპირი გამოსვლის/საჯარო სიტყვის მომზადება; მინიატურის შექმნა;დისკუსია. პრეზენტაციის მომზადება: მსჯელობა რომელიმე თანამედროვე პრობლემაზე*). განხორციელებული პროექტებიდან, ღონისძიებებიდან (*მკითხველთა კლუბი ლოგოსი; კლუბი-კინომანი; ინტეგრირებული„ მრავალწახნაგოვანი კომუნიკაცია“*) ჩანს, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ისეთი უნარების განვითარებას, როგორიცაა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება.

სრულად გაწერილ საგნობრივ ჩარჩოებში მკაფიოდ იკითხება შერჩეული კომპონენტების შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებთან. ნათლად ჩანს, თუ რა მასალაზე (დაფიქსირებული რესურსები) დაყრდნობით წარიმართება სწავლება.

საბაზო საფეხურის ესთეტიკის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები პასუხობს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნებს. კურიკულუმში ჩანს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგები და სამიზნე ცნებები, თუმცა რიგ თემებში არ ჩანს სამიზნე ცნებების ქვეცნებები.

სკოლას მიეცა რჩევა ესთეტიკის კათედრის მასწავლებლებმა გაითვალისწინონ მე-7 და მე-8 კლასის კურიკულუმის ცხრილში რომელი ქვეცნება მუშავდება კონკრეტული სამიზნე ცნების ქვეშ.

ინდიკატორი შეესაბამება.

3. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან ინტერვიუ იძლევა საფუძველს აღვნიშნოთ, რომ სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მასწავლებების მიერ ხდება მოსწავლეთა ცოდნის უნარებისა და სწავლის სტილის განსაზღვრა, კითხვარების, ქვიზების, შესასვლელი და გასასვლელი ბარათების საშუალებით, საჭიროებიდან გამომდინარე ახდენენ დავალების მოდიფიცირებას. მათ ნარატივს ადასტურებს წარმოდგინილი ისგ, მოდიფიცირებული კომპლექსური დავალება. ინკლუზიური მიდგომები გათვალისწინებულია სასკოლო აქტივობებში, სადაც თითოეულ მოსწავლეს ეძლევა საშუალება გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები და უნარები. კათედრას აქვს მზაობა, გაამახვილოს ყურადღება და გაითვალისწინოს 2023-24 წლის კურიკულუმში დიფერენცირებული სწავლების პრინციპები.

კომპლექსური დავალების პროდუქტების ალტერნატიული ფორმები (ელექტრონული, მატერიალური) ეპასუხება დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, რის მტკიცებულებას წარმოადგენს ის, რომ მოცემულია კომპლექსურ დავალებებში სხვადასხვა შინაარსის და სირთულის აქტივობები, ადაპტირებული დავალებები და მოსწავლეებს ეძლევა არჩევანის გაკეთების საშუალება. კომპლექსური ბუნების დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუშები, ეს ადასტურებს, რომ სკოლა, საჭიროების მიხედვით, სასწავლო პროცესში იყენებს ინკლუზიურ მიდგომებს და აღნიშნული წარმოადგენს სკოლაში დამკვიდრებულ პრაქტიკას.

სკოლას გააჩნია სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, რომელიც დამატებით გულისხმობს სპეციალური, პრევენციული და ინტერვეციული ღონისძიეების გათვალისწინებას კურიკულუმში. მოსწავლეთა ინდ-გეგმებში ჩანს, რომ მასწავლებლებისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლის საჭიროებების, სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა, მოსწავლის სწავლის დინამიკის პროცესის აღწერა-სად იყო მოსწვალე და სად მივიდა კონკრეტული ინტერევენციების პროცესში.

სპორტის საგანის მასალაში ინდ. გეგმები არ იყო წარმოდგენილი, რადგან მასწავლებლის განმარტებით, ამ ეტაპზე სსსმ მოსწავლე ფიზიკურ აღზრდაში არ საჭიროებს გეგმის მორგებას,. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა, სჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებისა და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება.**

4. წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კომპლექსური დავალების იდეების) და ზეპირი გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, შეფასება მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისკენ და სტანდარტს შეესაბამება. განმავითარებელი შეფასება გამოყენებულია, როგორც სწავლა-სწავლებისგან განუყოფელი ნაწილი, ძირითადად, ზეპირი კომენტარის სახით. განმავითარებლით შეფასებით ფასდება

კომპლექსური დავალების პროდუქტი, რის დასტურადაც დავალების პირობაში ჩაშენებულია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული კრიტერიუმები, ასევე მოცემულია სადიაგნოსტიკო კითხვები, მათ შორის, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასებისთვისაც. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლამ წარმოადგინა მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი), თუმცა უმეტესობა ზოგადი ხასიათისაა, ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ აღინიშნა, რომ აქტიურად რთავენ შეფასების პროცესში მოსწავლეს, მიმართავენ როგორც მოსწავლეთა თვითშეფასებას, ისე ურთიერთშეფასებას. მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

სკოლას მიეცა რჩევა უცხო ენების პედაგოგებმა 1. არ გამოიყენონ ზოგადი ხასიათის რუბრიკები საკასო და საშნაო დავალებების შესაფასებლად 2.შემაჯამებელი დავალებებისთვისაც გამოიყენოონ რუბრიკები რომლებიც მიმართული იქნება გრძელვადიან მიზნებზე.

ინდიკატორი შეესაბამება.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ გაწერილია, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. ხდება ამ მონაცემების და წინარე გამოცდილების ანალიზი, გათვალისწინებულია ამ ანალიზის დასკვნები, მიგნებები და საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია და გათვალისწინებულია მიღებული გამოცდილება.

მასწავლებლებმა ზეპირ გასაუბრებაში აღწერეს პროცესი, რომელიც ადასტურებს, რომ დაგეგმვის დროს ითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს, რომელიც სარწმუნო წყაროებიდან (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, რეფლექსიური კითხვარი...) მოპოვებულ ინფორმაციას ეყრდნობა. წარმოდგენილი სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი და კურიკულუმის მეთოდოლოგია ასევე წარმოაჩენს კურიკულუმის განვითარების პროცესს.

კათედრის წევრები სისტემატურად ხვდებიან ერთმანეთს და უზიარებენ წინარე გამოცდილებას, იმ გამოწვევებს, რომლის მოგვარებასაც ახალი სასწავლო წლიდან გეგმავენ, რათა უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. პედაგოგები გასაუბრების პროცესში აღნიშნავენ, რომ სასკოლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- საგნობრივი კურიკულიმები

- პედაგოგებთან გასაუბრება
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- ინდ. გეგმები
- კომპლექსური დავალებები
- გაკვეთილებზე დასწრების ოქმები
- ინტეგრირებული გაკვეთილები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- ისგ ჯგუფის შეხვედრის ოქმები
- კათედრის ანგარიშები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურზე უცხო ენების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტების შესწავლით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კურიკულუმებს თან ერთვოდა კომპლექსური დავალების მატრიცები, სადაც სხვადახვა აქტივობებზე, რესურსებსა და გეზის მიმცემ შეკითხვებზე დაკვირვებით ჩანდა ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) რაც კარგად იკითხებოდა მატრიცებში მოცემულ სხვადხვა ტიპის დავალებებში. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ამ შედეგის მიღწევის საშუალებას კი სკოლას აძლევს უცხოური ენების კურიკულუმების კომპლექსური ტიპის დავალებებსა და კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნება. გასაუბრებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს საგაკვეთილო პროცესზე, სადაც ჩანდა რომ ისინი ზრუნავენ მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღავივებაზე, ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და ინტეგრირებულ გაკვეთილებს.

სკოლას მიეცა რჩევა უცხო ენების კათერამ კურიკულუმში იმ თემებთან მიმართებაში სადაც კომპლექსური დავალებები არ არის დაგეგმილი გაწერონ და წარმოადგინონ რა აქტივობებს და რა რესურსების გამოყენებით განახორციელებენ.

საბუნებისმეტყველო საგნებში საბაზო საფეხურის კურიკულუმები და მასში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები და სხვადასხვა ღონისძიებები, უზრუნველყოფენ მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით სასწავლო პროცესში ჩართვას,

კურიკულუმის სასწავლო თემებისა და კომპლექსური დავალების პირობების გაანალიზების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა შეძლებს მოსწავლეთა აქტიურად ჩართვას შემომქმედებით სასწავლო პროცესში, შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს.

სკოლაში ფუნქციონირებს ქიმიისა და ბიოლოგიის კლუბები, აქვთ კლუბების დებულება, წესდება, სამუშაო გეგმა. შექმნილი აქვთ ფეისბუქგვერდი, სადაც ასახულია მათ მიერ განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალები.

ესთეტიკური კათედრის წევრებთან ინტერვიუსას აღინიშნა, რომ მასწავლებლები საბაზო საფერურზე სასწავლო პროცესს გეგმავენ კონსტრუქტუვისტული სწავლების პრინციპით, რაც იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კონსტრუქტივისტული მიდგომებით, მრავალფეროვანი რესურსებით და სტრატეგიებით, სასკოლო პროექტებზე მუშაობით კათედრა თვლის რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი მოსწავლეს აძლევს შემოქმდებითად განვითარების საშუალებას. ინტერვიუს დროს ასევე აღნიშნულ იქნა, რომ მუსიკისა და ხელოვნების მასწავლებლები წლის განმავლობაში რამდენჯერმე გეგმავენ და ახორციელებენ სასკოლო ღონისძიებებს, რაც ასევე ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას.

მათემატიკის კათედრაზე წარმოდგენილი კურიკულუმის საფუძველზე აშკარაა, რომ მოსწავლეთათვის შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლებს წარმოაჩინონ საკუთარი მრავალფეროვანი შემოქმედებითი ინიციატივები და მიგნებები. გარდა ამისა მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა სასწავლო პროექტებში, მაგალითად განხორციელდა

პროექტები - ,,მრავალწახნაგოვანი კომუნიკაცია“, ,,რობოტების გეომეტრია” , მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით, განახორციელეს რამდენიმე კომპლექსური დავალება- ,,სადეზინფექციო ხსნარის დამზადება”, ,,პაროლის ამოცნობა” (მე-7 კლასი), ,,განძის რუკა”, გასართობი პარკის დაგეგმარება” (მე-8 კლასი), ,,წრიული ფორმის შადრევანი”, ,,მიუვალი ადგილისა და მთის სიმაღლის გაზომვა.” (მე-9 კლასი) და სხვ.

ადმინისტრაცია და მასწავლებლები მუდმივად მზად არიან მხარი დაუჭირონ მოსწავლეების მიერ შემოთავაზებულ იდეებს, ისინი ეხმარებიან მათ ინიციატივების განხორციელებასა და რეალიზებაში.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე პედაგოგებმა დაასახელეს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითი, რა დროსაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სასწავლო პროცესში, შექმნეს საინტერესო ნამუშევრები და განივითარეს კომპლექსური-სააზროვნო და შემოქმედებითი უნარები.

7-9 კლასის საბაზო საფეხურის სპორტის კურიკულუმებში შერჩეული და გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები, რაც, ბუნებრივია დადებითად აისახება მოსწავლეზე, რომ ის ფიზიკურთან ერთად გონებრივი უნარების განვითარებასაც შეუწყობს ხელს. საფეხურის ფარგლებში დაგეგმილია ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე. ეს იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას, თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პროცესში და გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. ინდიკატორი

სახელმწიფოს ენის საგანში მოსწავლეს ხშირ შემთხვევაში ეძლევა შესაძლებლობა არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესის ,არამედ შემოქმედიც. სასწავლო პროცესი მოიცავს მრავალფეროვან, სახალისო და საინტერესო აქტივობებს. ასევე მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულებები პროექტებში, საკლუბო და საწრეო მუშაობაში(მკითხველთა კლუბი,,ლოგოსი“, კლუბი ,,კინომანი). **ინდიკატორი შეესაბამება.**

2. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები. კომპლექსური დავალება კი ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას იძლევა, რადგან სკოლას დიდი გამოცდილება აქვს პროექტებისა და ინტეგრირებული გაკვეთილების განხორციელებისა შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ რომ საბაზო საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმებში არსებული კომპლექსური დავალებების იდეებითა და მათი განხორციელებისათვის დაგეგმილი აქტივობებით ხელი ეწყობა მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებას, მის თანდათანობით მიყვანას ახალ ცოდნამდე. კურიკულუმებში თემატური დაგეგმვა სწორად არის გააზრებული. საფეხურის გათვალისწინებით სწორად არის მიწოდებული ნაცნობი კონტექსტი, რომელიც ეხმარება მოსწავლეს ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ კომპლექსური დავალებების არჩევისას მათ მიზანს წარმოადგენდა მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტების შეთავაზება, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის შეძენა, რაზეც მოწმობს კომპლექსური დავალების მატრიცებში წარმოდგენილი ეტაპები. როგორც წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში დიდ ყურადღებას აქცევს იმას თუ როგორ შეიძლება ხელი შევუწყოთ მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებას, მის თანდათანობით მიყვანას ახალ ცოდნამდე. საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რაც წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას.

სკოლას მიეცა რჩევა საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრამ საგნობრივ კურიკულუმებში ასახოს მეტი კონტექსტ-მაგალითები შედარებისათვის. თუმცა როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს მასწავლებლები მუდმივად ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლეთა წინარე ცოდნა და მათთვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლებს შეუძლიათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირება და დამუშავება, თუმცა **სკოლას მიეცა რჩევა საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრამ კომპლექსური დავალებები რაოდენობა უფრო გაზარდოს.** მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას უწევთ მათთვის ნაცნობი, ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან დაკავშირებული ფაქტების აღწერა, ანალიზი, არსებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება, იდეების გენერირება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა დავალებებში. მიუხედავად ამისა, საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ სასწავლო წელს მანძილზე დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. საბაზო საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმებს თან ერთვოდა მატრიცები, რომლებშიც წარმოდგენილია გეზის მიმცემი შეკითხვები , რაც მიუთითებს რომ სწავლებისას აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. კურიკულუმებში მოცემულ მრავალფეროვან რესურსებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ რომ კურიკულუმებში ინტეგრირებულია მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიები. მათ წარმოადგინეს მატრიცები სადაც კომპლექსური დავალების შესრულებისათვის საჭირო ეტაპებზე დაკვირვებით ჩანდა რომ ეტაპები არსებით როლს ასრულებენ ცოდნის გარდაქმნისა და დამუშავების პროცესში. რაც გვაძლევს საშუალებას ვთქვათ რომ აღნიშნულ საფეხურზე უცხოური ენის სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

კურიკულუმებში შეთავაზებულია ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებმაც მოსწავლეები უნდა დააფიქროს სწავლის პროცესზე და წაახალისოს მეტაკოგნიცია. ეს უზრუნველყოფს, რომ სწავლის პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. კომპლექსური დავალებების მრავლფეროვანი არჩევანი საშუალებას იძლევა, დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპებზე, მოსწავლეებმა განსხვავებული მეთოდი და სტრატეგია გამოიყენონ და თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი. აქცენტები კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რაომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების გამომუშავებას.

საბაზო საფეხურის კურიკულუმში სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რომელიც თავისი არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. მოსწავლეები პასუხობენ საკვანძო შეკითხვებს, რომელიც ხელს უწყობს მათ გააკეთონ რეფლექსია დავალებაზე მუშაობის პროცესში, შესაბამისად აქცენტი კეთდება მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. დავალებები სრულდება ისეთი მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებით (მონაცემთა შეგროვება და ორგანიზება სქემებში, ტექსტის პაუზებად კითხვის, კითხვა ნიშანთა სისტემით, მნიშვნელოვანი სიტყვები, ჯოგსოუ, სასწავლო გაჩერებები, პროექტული სწავლება, კვლევის განხორციელება, მმმ სტრატეგია და ა. შ.), ასევე ლაბორატორიული სამუშაოები. რომელიც მორგებულია, მოსწავლეთა ინტერესებზე და მათში იწვევს სწავლის მოტივაციას. აქტიურად გამოიყენება ჯგუფური და თანამშრომლობითი სწავლების სტრატეგიები.

ინდიკატორი შეესაბამება.

4. საბაზო საფეხურზე საგნობრივმა კათედრებმა კურიკულუმში მოცემულ კომპლექსური დავალებებთან ერთად წარმოადგინა მატრიცები სადაც ამ კოპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპებია მოცემული. მათში მოცემული სხვადასხვა ტიპის აქტივობები და მრავავალფეროვან რესურსები მიუთითებს რომ სწავლის პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ამავე დროს გასაუბრებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს საგაკვეთილო პროცესზე, სადაც აღნიშნეს რომ მოსწავლეებს სთავაზობენ პროექტულ, პრობლემებზე დაფუძნებულ დაავალებებს, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება და ანალიზი . ამის დასადასტურებლად კი წარმოადგინეს სხვადასხვა განხორციელებული პროექტების ანგარიში.

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მასწავლებლები იცნობენ და იყენებენ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებს, მოსწავლეთა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებისათვის - ისინი არა მხოლოდ ფაქტობრივ მასალას ეცნობიან და ამუშავებენ, არამედ სხვადასხვა ამოცანის გადასაჭრელად, მიღებული ცოდნის ინსტრუმენტად გამოყენება უწევთ. სკოლას აქვს მზაობა, რომ სასწავლო პროცესი ცოდნის სამივე კატეგორიაზე იყოს ორიენტირებული. **ინდიკატორი შეესაბამება.**

5. კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების, მასწავლებელთა ინტერვიუების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. კურიკულუმში თითოეულ სამიზნე ცნებას უკავშირდება მთელი რიგი ქვეცნებები, რომლებიც წარმოაჩენენ საგნობრივი ცოდნის სტრუქტურას. სამიზნე ცნებაზე მუშაობის პროცესში მოხდება ამ ქვეცნებების ერთმანეთთან შედარება, დაპირისპირება და სხვადასხვა ნიშნით კლასიფიცირება, რაც მათ ურთიერთდაკავშირებულ გამოყენებას განაპირობებს. სამიზნე ცნებების დამკვიდრების პროცესი აგებულია შესწავლილი საკითხების გაღრმავებაზე კლასების მიხედვით, და იმგვარად არის მიწოდებული, რომ შესაძლებელია ცოდნის ორგანიზება.

მოსწავლის ცოდნათა დაკავშირებისა და ორგანიზების თვალსაზრისით, კურიკულუმებში, სასწავლო საკითხებს გააჩნიათ ურთიერთმიმართებები. თემები ისე არის დაგეგმილი, რომ გააჩნიათ ცოდნის გამთლიანებისთვის საჭირო ლოგიკური კავშირები. სასწავლო კურიკულუმის გარდა, მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისა და ორგანიზებისთვის მოაზრებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ითვალისწინებს გარკვეული პროდუქტის შექმნას, მაგალითად, მოდელი, პოსტერი, პრეზენტაცია და სხვა. ასეთი ტიპის კომპლექსური დავალებები მოსწავლეს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში დაეხმარება.

სკოლამ უცხოური ენების საბაზო საფეხურზე წარმოადგინა კურიკულუმის ჩარჩოები პირველ და მეორე ცხოურ ენაში. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია თემები, თემებთან მიმართებაში სამიზნე ცნებები, კომპლექსურიი დავალების იდეები და შესაბამისი რესურსები. სწორი თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები კი საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. კომპლექსურ დავალებებთან ერთად წარმოდგენილია მატრიცები სადაც წარმლოდგენილი დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე

პროდუქტის შემქნაზე. ყოველივე ეს კი განაპირობებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. გარდანკომპლექსური დავალებებისა სკოლას აქვს დიდი გამოცდილება ინტეგრირებული გაკვეთილებისა და სხვადსხვა პროექტების გაბხორციელებისა, რის დასასაბუთებლადაც წარმოადგინეს განხორცილებეული პროექტების ანგარიში. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და სასკოლო პროექტები ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რაც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას. **ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- კომპლექსური დავალებები
- სასწავლო პროექტები
- ინტეგრირებული გაკვეთილი
- შეფასების რუბრიკები
- საგნობრივი მატრიცები
- ინტეგრირებული გაკვეთილები
- ინტეგრირებული სასწავლო პროექტები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. შესაბამისად, სკოლამ გამოთქვა მზაობა, რომ გააგრძელებენ ამ პრინციპით კურიკულუმის განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობას და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოხდება, ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას შემოქმედებით პროცესში, ამ შემთხვევაში მოსწავლე პასიური მსმენელი კი არ არის არამედ აქტიურად არის ჩართული, თვითონ ქმნის პროდუქტს. აქცენტი კეთდება საგნის სწავლების მნიშვნელობაზე და დაკავშირებაზე ყოფითი პრობლემების გადაჭრასთან. მიუხედავად იმისა, რომ საგნობრივ კურიკულუმებში ამჟამად ასახული კომპლექსური დავალებები და კონტექსტ-მაგალითები არის მინიმალური რაოდენობით წარმოდგენილი, მასწავლებლებლებს აქვთ მზაობა სწავლა-სწავლების პროცესში კურიკულუმის მოდიფიცირებისა და სრულყოფის. აღნიშნული ნათლად იკვეთება მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დაგეგმილ კომპლექსური ტიპის დავალებებზე საუბრისას.

წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; ხელოვნებასა და მუსიკის კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია თუ რა მიზანს ემსახურება და რა შედეგზეა ორიენტირებული მითითებული საგნობრივი საკითხების შესწავლა. სავალდებულო თემატური ბლოკები, თემები და სამიზნე ცნებები, სასწავლო რესურსები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს.

სკოლამ უცხოური ენების საბაზო საფეხურზე წარმოადგინა კურიკულუმები პირველ და მეორე ცხოურ ენებში. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია თემები, თემებთან მიმართებაში სამიზნე ცნებები. საბაზო საფეხურზე თითოელ კლასში დაგეგმილია 2-3 კომპლექსური დავალების განხორციელება, ასევე მოცემულია ძირითადი კონექსტ-მაგალითები და მაგილითები შედარებისთის. მოცემული თემები ემთხვევა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზვრულ თემათა არეალს, სამიზნე ცნებები თანხვედრაშია საფეხურით განსაზღვრულ მიზნებთან. კურიკულუმებში ჩანს რომ მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს და საგნობრივ საკითხებს შორის. უცხოური ენების საბაზო საფეხურზე შუალედურ მიზნად გამოყენებლია კომპლექსური დავალება, სკოლამ ასევე წარმოადგინა განმავითარებელი შეფასებები რომელთა რუბრიკები მიემართება გრძელვადიან მიზნებს, რაც მიუთითებს რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი შეესაბამება

2. კურიკულმებში წარმოდგენილია სასწავლო თემები, რომლებიც უკავშირდება მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებსა და გარემოს და კურიკულუმებში შემოთავაზებულია დავალებები, რომელთა შესრულებისათვის მოსწავლეებს სხვადასხვა გამოწვევებთან გამკლავება მოუწევთ, რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას განაპირობებს. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. დაგეგმილი პროექტები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსები (როგორც ვირტუალური ლაბორატორიები ასევე სკოლაში არსებული რესურსები) ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.

პედაგოგებთან ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებაზე, პროექტებზე მუშაობის და საბოლოო პროდუქტის შექმნისას, მოსწავლეს უვითარდება კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა და თანამშრომლობითი უნარები, ასევე მოსწავლე ახდენს თვითაქტუალიზაციას და აზროვნების პროცესების მართვით - თვითრეგულაციას.

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში საგნობრივი კონტექსტები სწორადაა შერჩეული, ის ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, კურიკულუმებს თან ახლდა კომპლექსური დავალებების მატრიცები სადაც ჩანს რომ კომპლექსური დავალებების განხორციელებისათვის საჭირო ეტაპები ეყრდნობა სკაფოლდინგის მეთოდს. კურიკულუმებსა და კომპლექსური დავალებების მატრიცებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები, სადაც ჩანს რომ საგნობრივი საკითხები, რომლებიც მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკურ და შემეცნებით სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც.

ინდიკატორი შეესაბამება

3. სასწავლო პროცესი და შეფასების სისტემა ორიენტირებული მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, გაამახვილებულია ყურაღება მოსწავლეზე და მის შედეგზე, მოსწავლის თვითრეალიზებაზე, თვითრეგულაციაზე, მის შესაძლებლობების გამოვლენას და ინტერესების დაკმაყოფილებაზე, მოსწავლის სხვადასხვა უნარების განვითარების ხელშეწყობაზე.

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. სკოლამ წარმაოდგინა შეფასების ზოგადი რუბრიკები - საკლასო, საშინაო და შემაჯამებლ კომპონენტების შესაფასებლად. შემუშავებული შეფასების რუბრიკებით, მაგალითად, ფასდება როგორია მოსწავლის ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, რამდენად აქვს მას მოსმენის კულტურა, იცავს თუ არა ეთიკურ ნორმებს, როგორია მისი საქმიანობა სოციალურ გარემოში (ჯგუფებში მუშაობის დროს). წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, ჰოლისტური შეფასების გარკვეული ელემენტები გაბნეულია შეფასების სხვადასხვა რუბრიკაში.

ინტერვიუების მიხედვით, კათედრის წევრები იდეის გაგება-გაზიარების დონეზე ხსნიან და მხარს უჭერენ შეფასების სისტემის ორიენტირებას მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე.

სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით და აქვთ საშუალება ყველა კრიტერიუმი გააერთიანონ მოსწავლეთა მთლიანი შესაძლებლობების და მიღწევების შესაფასებლად.

რომელიც მოიცავს ხუთ დონეს. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

უცხოური ენების საბაზო საფეხურზე სკოლა შეფასების პირველ მოდელს მიყვება(საკლასო,საშინაო და შემაჯამებელი) თუმცა მომავალ წელს გეგმავს შეფასების მეორე მოდელზე გადასვლას. იმ თემებთან მიმართებაში კი სადაც დაგეგმილია კომპლექსური დავალებების განხორციელება წარმოადგინეს განმსაზღვრელი დ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. შეფასების რუბრიკები თემასთან და კომპლექსური დავალების პირობასთან მიმართებით სწორად იყო შექმნილი და მიემართებოდა გრძელვადიან მიზნებს. სკოლამ ასევე წარმოადგინა შეფასეის ნიმუში სოლო ტაქსონომიის მიხედვით. აქვე უნდა აღინიშნოს რომ მასალებში წარმოდგენილი იყო შეფასების რუბრიკა რომელიც ზოგადი ხასიათის იყო და მიეცათ მითითება არ გამოეყენებინათ.

სკოლას მიეცა რჩევა უცხო ენების პედაგოგებმა საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებების შეფასებისას შეიმუშაონ რუბრიკები რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებისკენ.

ინდიკატორი შეესაბამება.

4. წარმოდეგნილი მასალების საფუძველზე, როგორიცაა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, პროექტები, კათედრის ოქმი, შემაჯამებლის ანალიზის ფორმა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებული შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლებთან ინტერვიუებით ირკვევა, რომ მოსწავლეები მონაწილეებენ რუბრიკების შექმნაში, იცნობენ ამ რუბრიკებს, რომლებიც ხშირად გამოკრულია კლასში, შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც. ამჟამად კათედრები მუშაობენ შეფასების ახალი ინსტრუმენტების შექმნაზე, როგორც განმავითარებელი შეფასებისთვის, ასევე განმსაზღვრელი შეფასებისთვის, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება შეფასების ყველა პრინციპი.

ინტერვიუს დროსაც მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ იყენებენ ჰოლისტური შეფასების რუბრიკებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მათ ასევე მიუთითეს, რომ სკოლა თავის შეფასების სისტემას დააფუძნებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს. შეფასების ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფისთვის საჭირო ღონისძიებები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმასა და შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტში. შეფასების ზემოთ აღნიშნული პრინციპების დაცვას, ასევე უზრუნველყოფს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კრიტერიუმები შინაარსობრივად დაკავშირებულია სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებთან.

სკოლას მიეცა რჩევა უცხო ენების პედაგოგბმა აწარმოონ მოსწავლის პორტფოლიოს წარმოება, რაც მასწავლებელს მისცემს საშუალებას მოსწავლის მრავალმხრივ შეფასებისა.

ინდიკატორი შეესაბამება.

5. სკოლა, შეფასების სისტემის მექანიზმების განსაზღვრისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი ახორციელებს შეფასების ვერიფიკაციას სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. წინასწარ განსაზღვრულ რისკ-ფაქტორებთან მიმართებაში, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი განახორციელებს შეფასების პროცესისა და ინსტრუმენტების ვერიფიკაციას შერჩევითი პრინციპით. ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნა ეგზავნება სკოლის დირექტორს რეაგირებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი მონიტორინგს უწევს რეკომენდაციების შესრულებას.

მისაღწევი შედეგისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, მასწავლებლებს გააჩნიათ შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა/ შეცვლის პრაქტიკა. შეფასების სისტემის გარე ვერიფიკაციის მექანიზმად სკოლა განიხილავს სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში მოსწავლეთა შედეგებს. შიდა ვერიფიკაციის მექანიზმად კათედრებზე ჩატარებულ წამახალისებელ კონკურსებს მოიაზრებს, სადაც მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ საკუთარი სურვილების შესაბამისად და არაფორმალურ გარემოში მოხდება მათი ცოდნისა და უნარების შემოწმება.

სკოლა სამომავლოდ გეგმავს დანერგოს სადიაგნოსტიკო შეფასების პრაქტიკა. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. **ინდიკატორი შეესაბამება**

6. კათერდის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, არსებული ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, ასევე მოსწავლის პირად საქმეში. ინფორმაცია დაცულია და ინფორმაციის გაცემა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ინახება მოსწავლეთა სემესტრული, წლიური და საფეხურის ნიშნები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. ინფორმაციის ასახვა ხდება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სამომავლოდაც დოკუმენტაციის შენახვას და დამუშავებას გააგრძელებენ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლა საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის და მტკიცებულებების სახით სკოლაში ინახება საკლასო ჟურნალები მატერიალური სახით. 2021-2022 სასწავლო წლიდან კი ელექტრონული ჟურნალების სახით. სკოლაში ასევე ინახება მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები.

ინდიკატორი შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- საგნობრივი კურიკულუმი
- კურიკულუმის შემუსავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი.
- ხარისხის განვითარების ჯგუფის ბრძანება
- განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასების რუბრიკები
- დიფერენცირებული დავალებები
- კათედრის ანგარიშები
- კომპლექსური დავალებები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფილოსოფიაში გაზიარებულია სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს უზრუნველყოფის ვალდებულება. სასკოლო ინფრასტრუქტურასთან ერთად, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების (სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი) საფუძველზე სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლის მხარდამჭერი გარემოს შექმნას.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა და კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლაში შექმნილი პოზიტიური სასწავლო გარემო; მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად დაგეგმილი აქტივობები, რომელშიც მოსწავლე არის სუბიექტი და არა ობიექტი. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებანი; ასევე უზრუნველყოფილია გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობა, რაც კათედრაზე კომპლექსური დავალებების სწავლებითაა შესაძლებელი. იგი იკითხება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშში მოსწავლეებისა და მასწავლებლის დონეზე, რის მტკიცებულებად პედაგოგიური საბჭოსა და კათედრის ოქმებია წარმოდგენილი. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა, იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მათ ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. ეს აისახება საგნობრივ კურიკულუმებში, რომელშიც გაწერილია კომპლექსური დავალებები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ამისათვის ისინი ატარებენ სადამრიგებლო სამუშაოებს. იყენებენ მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებს.

ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან, სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული. (დასტურდება ფოტომასალით, სიგელებით, სკოლის ფეისბუქ გვერდზე განთავსებული აქტივობებით).

წარმოდგენილი მასალების ანალიზიდან, კურიკულუმების განხილვისას, კათედრის წევრებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის ინდივიდუალური, ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები, შესაძლებლობები, უნარები, ინტერესები, საჭიროებები და სწავლის სტილი და ამავე დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა აქტივობებში, ოლიმპიადებში, კონფერენციებში, პროექტებში და ა შ. , სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებულად; კურიკულუმები მოიცავს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებს), მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და ინტერესებისთვის შესაბამის სასწავლო თემებსა და მრავალფეროვან კომპლექსურ დავალებებს. ვიზიტის დროს, გამოიკვეთა, რომ პედაგოგები იყენებენ კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპებს (წინარე ცოდნაზე დაფუძნება, დიფერენცირებული მიდგომა, მეტაკოგნიტური უნარების განვითარება და სხვა), რომელიც მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. სკოლა, კომპლექსური დავალებების დანერგვით, უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში. მოსწავლეები არა მხოლოდ აქტიურად მონაწილეობენ განათლების მიღების პროცესში, არამედ საშუალება აქვთ, ერთმანეთს დაეხმარონ და მონაწილეობა მიიღონ თანატოლების სწავლა-სწავლების პროცესშიც.

ასევე, სკოლას ყოველწლიურად აქვს კლუბური მუშაობის პრაქტიკა. ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სკოლის დოკუმენტაციებში წარმოდგენილია და კათედრის წევრებთან გასაუბრებისას დასტურდება, რომ დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა. სასკოლო საზოგადოებას აერთიანებს საერთო ღირებულებები და ინტერესები. სასწავლო პროცესი

ხორციელდება თანამშრომლობითი პრინციპების დაცვით, რაც ხელს უწყობს სამართლიანი და თანასწორუფლებიანი სამუშაო გარემოს შექმნას და პროცესში ჩართული ან დაინტერესებული პირების უფლებებისა და ინტერესების დაცვას; კათედრის წევრები ერთობლივად შეიმუშავებენ სასკოლო კურიკულუმებს, რაც გულისხმობს როგორც კურიკულუმების ჩარჩოს შემუშავების, ისე კურიკულუმის განხორციელების პროცესში მასწავლებლების მიერ სამუშაო შეხვედრათა დაორგანიზებას. აღნიშნული კი დასტურდება კათედრის მუშაობის ოქმებში. კათედრის წევრები უზიარებენ ერთმანეთს პროფესიულ გამოცდილებას. სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს და აძლევენ უკუკავშირს.

სკოლა აცნობიერებს, რომ თანამშრორმლობა და გუნდურობა ამ მრავალფეროვნებას აქცევს მნიშვნელოვან პლატფორმად მოსწავლეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

მშობლებს აქვთ ინფორმაცია საბაზო საფეხურზე ჩატარებული სპორტულ ფესტივალის შინაარსის შესახებ. სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებასა და სასკოლო თემის ჩართულობას პროექტებში მონაწილეობით, რაც დადებითად აისახება თანამშრომლობითი კულტურის დანერგვაზე. დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო გეგემით და ამყარებს პედაგოგებთან გასაუბრება. **ინდიკატორი შეესაბამება.**

4. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები, პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფის მიმართულებით. ამ და სხვა დოკუმენტებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლაში დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა, რწმენების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების გაზიარებული სისტემა, ქმნის ურთიერთობის ისეთ ფორმას, რომელიც მისაღები და გაზიარებულია მათვის და აყალიბებს ისეთ ნორმებს და წესებს, რომლებიც უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატის შექმნას, როგორც სკოლის ასევე კლასის დონეზე. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლა წარმოადგენს კეთილგანწყობილ დაწესებულებას, სასკოლო საზოგადოებისათვის. შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო გარემო. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სკოლაში მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, დირექციასთან და მშობლებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლაში ვიზიტის დროს, სამუშაო სივრცის გაცნობის და მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, სკოლას გააზრებული აქვს, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. ყურადღებიანი, ემპათიური და მეგობრული მასწავლებელი დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე. მასწავლებელი მოსწავლეს უდგება როგორც ინდივიდს თავისი საჭიროებით, სურვილებითა და ინტერსებით. მოსწავლეს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი და დასვას მისთვის საინტერესო კითხვები. სასწავლო პროცესში მოსწავლეები და მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. პედაგოგები ასევე საუბრობენ პოზიტიურ საკლასო გარემოს მნიშვნელობაზე. სკოლა ცდილობს შემქნას პოზიტიური ფიზიკური გარემო, მოსწავლეებს შესთავაზოს მრავალფეროვანი რესურსები და დაამკვიდროს ურთიერთობის წესები ჯანსაღი

ატმოსფეროს შესაქმნელად. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

პედაგოგებთან გასაუბრებით ჩანს რომ , სკოლაში სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. წარმოდგენილი ფოტო მასალა, საქმიანობის ამსახველი მასალები ცხადყოფს, რომ სკოლაში ყოველთვის ტარდება სპორტულ საკლასო და სასკოლო ღონისძიებები. და სკოლამ გამოთქვა მზაობა, კიდევ გააქტიურონ ეს პროცესი. დასტურდება პედაგოგების საუბრით, ფოტომასალით და სკოლის ფეისბუქ გვერდზე განთავსებული აქტივობებით.

სკოლა წარმოადგენს კეთილ განწყობილ დაწესებულებას სასკოლო საზოგადოებისათვის. შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო გარემო. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სკოლაში მასწავლებლები თანამშრომლობენ დირექციასთან, ერთმანეთთან, მშობლებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. **ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- გაკვეთილებზე დასწრების ოქმები
- ინტეგრირებული გაკვეთილები
- ისგ გეგმები და ჯგუფის ოქმები
- სადამრიგებლო კლასის საათი
- კათედრის სხდომის ოქმები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც თავისთავად თანხვედრაშია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების პროცესში სტრატეგიული /სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პროცესების მონიტორინგზე, ინტესივობაზე, მონაცემების ანალიზსა და დამუშავებაზე. ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით რეაგირებაზე. შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებისას. პრიცესი ეფუძნება კათედრის წევრებსა და დირექციას შორის. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, კითხვარების შედგენას მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის, რომელზეც დაყრდნობითაც გააკეთებენ SWOT-ანალიზს, რომელიც ხელს შეუწყობს, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგი და შეფასება.

მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ამიტომ, ეს ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწავლებელი, დამრიგებელი, სკოლის სხვა პერსონალი და სხვა. მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, ძირითადად, დამრიგებლების საშუალებით. სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა, როგორც სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს, ასევე სხვადასხვა დოკუმენტურ და სტატისტიკურ რესურსებს. მაგალითად კომპლექსური დავალების შესრულებისას მასწავლებელი მოსწავლეთა ცოდნის და უნარ-

ჩვევების შესაფასებლად იყენებს სხვადასხვა მეთოდებს- მასწავლებლის დაკვირვება, მოსწავლეთა თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, რუბრიკები და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მათი მუშაობის პროცესი მიმდინარეობს შემუშავებული დებულების შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების განვითარებისა და მხარდაჭერისთვის. რის შედეგად სკოლაში მიმდინარეობს მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. პედაგოგები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს, რეკომენდაციებს. ამ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. ასევე ანალოგიურ პროცესს ახორციელებენ ადმინისტრაციის წევრები საფეხურებისა და კლასების მიხედვით. მონიტორინგის შედეგები გამოიყენება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და განვითარებისათვის. პედაგოგები თანამშრომლობენ როგორც კათედრის ფარგლებში, ასევე მომიჯნავე კათედრებთან - ესწრებიან გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ხოლო მოსწავლესთან მიმართებაში საჭიროების მიხედვით იყენებენ დიფერენცირებულ სწავლებას. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას, დახმარებას და განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში - სასკოლო სასწავლო გეგმასა და კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში, ასევე სტრატეგიულ და სამოქმედო მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ მონიტორინგი და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემის გადაჭრისთვის, სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის. იგივე დასტურდება კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც.

სკოლა, კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგის გზით, მიზნად ისახავს გამოვლენილი პრობლემების გადაჭრასა და რეკომენდაციების პაკეტის შემუშავებას, რომელიც გამოყენებული იქნება ახალ სასწავლო წელს უკეთესი სასწავლო შედეგების მისაღებად, მასწავლებლები გასაუბრებაზე აღნიშნავდნენ, რომ მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახულია კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრულია ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც მომავალში ასახული იქნება ცვლილებებისა და ინტერვენციების სახით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები, ამ მიმართულებით საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა გეგმავს სადიაგნოსტიკო წერების ჩატარებას. (საკლასო წერა) კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის შეფასების პროცესში შექმნილი კითხვები და ამ კითხვებზე გაცემული პასუხების ანალიზზე დაყრდნობით, სკოლა შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას,

ყოველთვის ასახავს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმებში. სკოლის პრობლემების მონიტორინგის და შეფასების განსაზღვრის იდენტიფიცირების შემდეგ, სასკოლო საზოგადოება გეგმავს კონკრეტულ ნაბიჯებს კონკრეტული მიზნებისათვის განსაზღვროს პასუხისმგებელი სტრუქტურები. სპორტის პედაგოგებთან გასაუბრებით გაირკვა რომ კათედრაზე პედაგოგები ბოლო რამდენიმე წელია არ ანხორციელებენ დიაგნოსტიკურ შეფასებას. **ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრის წევრებთან გასაუბრება;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- დიფერენცირებული დავალებები
- დიფერენცირებული შეფასება
- ისგ ჯგუფის ოქმები
- შეფასების რუბრიკები
- ხარისხის განვითარების ჯგუფის ბრძანება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშველოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც თავის მხრივ უადვილებს მასწავლებელს დაინახოს მოსწავლის განვითარების დინამიკა, ასვე მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე. აღნიშნული სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებამ

გამოკვეთა, რომ მათ აქვთ ხედვა, იაზრებენ და ითავისებენ მოსწავლის შეფასების მნიშვნელობას, ეცნობიან მრავალფეროვან ინსტრუმენტებს და ნერგავენ პრაქტიკაში. აქვთ მზაობა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე იმუშაონ და განვითარდნენ ამ მიმართულებით.

სასწავლო პროცესის შეფასებას ახორციელებს სკოლაში არსებული ყველა სტრუქტურული ერთეული თავიანთი უფლება-მოვალეობების ფარგლებში, სასწავლო პროცესის კოორდინატორი, ხარისხის მართვის ჯგუფი, კათედრის თავმჯდომარე, კონკრეტული მასწავლებელი და ა.შ აგრეთვე მოსწავლეებს და მშობლებს ეგზავნებათ კითხვარები, ხდება მათი გაანალიზება და უკუკავშირის გათვალისწინება, კათედრას წამოდგენილი აქვს სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოყენებული წყაროების გამოკითხვის ფორმები, მათი ანალიზი. **ინდიკატორი შეესაბამება**

2. შეფასება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების, მათი მკვიდრი წარმოდგენების, თემატური შედეგების, კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინებით, შეფასება მიზანმიმართულია 6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარის განვითარების ხელშეწყობაზე. დოკუმენტებში გაწერილია და კათედრის წევრებთან გასაუბრებაც ადასტურებს, რომ შეფასება ხორციელდება იმის შესაბამისად, რამდენად მოახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

სკოლა მოსწავლეებს სხვადასხვა სასწავლო კონტექსტში აფასებს, რისთვისაც იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, როგორიცაა კომპლექსური დავალების, გაკვეთილზე ჩართულობის, ჯგუფური მუშაობის, საკლასო დავალების, საშინაო დავალების, დისკუსიის, მოსმენის დავალების, ესეს, ზეპირი პრეზენტაციისა და სხვა შეფასების რუბრიკები. სკოლას აქვს გამოცდილება, კურიკულუმის შეფასებისას გამოიყენოს მასწავლებლის თვითშეფასება, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა გამოკითხვა, თუ რა შეძლეს და სად სჭირდებათ დახმარება. ასევე კათედრაზე, სამუშაო ჯგუფებში, მასწავლებლებთან, მშობლებთან, საგნობრივ ექსპერტებთან საერთო შეხვედრებზე გამოკვეთილი კურიკულუმის დანერგვის პროცესში შექმნილი სირთულეების გათვალისწინება ახალი კურიკულუმის შექმნისას, არის დასტური იმისა, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

ინტერვიუდან ირკვევა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, შემაჯამებელი სამუშაოები, კომპლექსური დავალებების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტები ან პრეზენტაციები; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომავალი წლისთვის გაიწერება შეფასებასთან დაკავშირებული ყველა დეტალი. **ინდიკატორი შეესააბამება.**

3. მასწავლებლები გასაუბრებისას აღნიშნავდნენ, რომ შეფასება ეს არის მონაცემთა მიზნობრივი შეგროვებისა და ანალიზის პროცესი. მისი ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. სიტუაციის, მოვლენის, მოსწვალის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური

ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მრავლმხრივი მიდგომით, რაც შეისწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელები შეფასებისას იყენებენ სხვადასხვა ტიპის რუბრიკებს, ქოუჩინგის პროცესშიც შექმნეს და წარმოადგინეს რუბრიკის ნიმუშები. გეგმავენ შეფასების რუბრიკების გაუმჯობესებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების გათვალისწინებით ახალი სასწავლო წლიდან ნერგავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას სკოლაში.

მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს იყენებენ:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად.
- სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის).

ინდიკატორი შეესაბამება.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი რუბრიკებიდან, კურიკულუმების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიიდან დასტურდება, რომ შეფასება მიმდინარეობს მოსწავლეთა თვითშეფასების, მოტივაციის, ჩართულობის, ურთიერთანამშრომლობის ფაქტორების გათვალისწინებით. სკოლა შეფასებისას ეყრდნობა, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებს, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. ინტერვიუზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკები საგანში ის ეფექტური ინსტრუმენტებია, რომელიც გამოიყენება როგორც მოსწავლეების ნამუშევრის, ასევე მუშაობის პროცესის შეფასების მიზნით. სწორედ ასეთი რუბრიკის გამოყენება იძლევა ისეთი სამუშაოს შეფასების საშუალებას, როგორიცაა მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები, წერითი ნამუშევრები, კომპლექსური დავალებების დაძლევის ხარისხი.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები) იკითხება, რომ მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს, სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაადგინოს, თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა და/ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში. ამრიგად მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს ასევე გარე მამოტივირებელ ფაქტორებს. **ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- კათედრის წევრებთან გასაუბრება;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- დიფერენცირებული დავალებები
- კათედრის სხდომის ოქმები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ ყოველთვის თანმიმდევრულად მიმდინარეობს კურიკულუმის დანერგვის შესახებ მონაცემების შეგროვება და დამუშავება. კურიკულუმი და სამოქმედო წლიური გეგმა მკაფიოდ ასახავს სკოლის პრიორიტეტებს და მოქმედების არეალს, რომელშიც გათვალისწინებულია სკოლის გამოცდილება, მისი ძლიერი მხარეები და გამოწვევები. სკოლა ითვალისწინებს იმას, თუ რა

გამოცდილება დაგროვდა სასწავლო წლის მანძილზე, როგორ შეიძლება ეს გამოცდილება გამოვიყენოთ სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის, რა უნდა გაითვალისწინონ ახალი სასწავლო წლის დაგეგმვისას და სხვა. ახალი სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას ყოველთვის წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებებით-მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესებში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, სკოლის დირექცია. სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა სახის დოკუმენტაციასა და სტატისტიკურ მონაცემებს. თითოეულ საკითხთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად. კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის მიმართულებით სკოლას, როგორც ჩანს აქვს შესაბამისი გამოცდილება. ქოუჩინგის შედეგად მიღებული და არსებული გამოცდილების საფუძველზე, სკოლამ სამომავლოდ 2023-2024 სასწავლო წლიდან სასურველია იმუშაოს საბაზო საფეხურის გადამუშავებული კურიკულუმებით, რომლის ეტაპობრივად გადახედვა და ანალიზი განხორციელდება. მათ გამოთქვეს მზაობა ამ პროცესისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები ყოველთვის აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. მასწავლებლები საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნობრივი კათედრების, საგნობრივი ჯგუფისა და სხვადასხვა საგნის სწავლების კოორდინირება, გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ახალი კურიკულუმის რევიზირებული ვერსიის შესაქმნელად მნიშვნელოვანია. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი და თავისი წვლილი შეაქვს კურიკულუმის განვითარებაში. კათედრის წევრ მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში, კურიკულუმის გადასინჯვა-რევიზიისათვის გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები-სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მრავლმხრივი მიდგომით. მათ აქვთ ამის პრაქტიკა და როგორც ადრე, ახლაც გააანალიზეს წინარე გამოცდილება რომელზე დაყრდნობითაც შექმნეს საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ახალი სასწავლო წლისთვის. სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის საბაზო საფეხურის კურიკულუმების შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები. რომლებიც ითვალისწინებდნენ წინარე გამოცდილებას,ამის შედეგად სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის 2023-24 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის კურუკულუმები გადამუშავებულია და სრულ შესაბამისობაშია ახალი თაობის ე.ს.გ. მოთხოვნებთან. **ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კომპონენ*კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

- კურიკულუმები;
- კათედრის წევრებთან გასაუბრება;
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- სასკოლო-სასწავლო გეგმა
- სკოლის თვითშეფასების ფორმა
- ეროვნული კონფერენცაი
- კათედრის სხდომის ოქმები
- მშობელთა კრების ოქმები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	**+ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	**+ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	**+ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	**+ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	**+ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით, კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს, სკოლის სასწავლო გეგმით და კათედრების დებულებიდან გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება ჩართულია კურიკულუმის შემუშავებაში, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ითვალისწინებენ საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, მოსწავლის შესაძლებლობებს, უნარებს, განსხვავებულ ხედვებსა და პრიორიტეტებს, გამოიკვეთა მასწავლებლის როლი, მოსწავლის როლი, მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შექმნის პროცესში. გაწერილია მასწავლებლის, კათედრისა და დირექციის ფუნქციები. აღნიშნავენ, რომ ამ ეტაპზე კურიკულუმზე მუშაობის პროცესში ძირითადად გააქტიურებულია კათედრებისა და დირექციის როლი. სასწავლო წლის დასაწყისში მუშავდება საშუალო საფეხურის კლასების საგნობრივი კურიკულუმები (შემუშავებულია 10-11 კლასებისათვის), რომელიც განსაზღვრავს სასკოლო

საზოგადოების ინტერესებს და საჭიროებებს. გეგმავენ, გამართონ შეხვედრები მოსწავლეებთან და მშობლებთან, დაურიგონ კითხვარები, დააკვირდნენ პროცესს და კურიკულუმი განავითარონ მშობელთა და მოსწავლეთა უკუკავშირის ანალიზის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით. შემდეგი წლისთვის კურიკულუმის დასახვეწად. სკოლას აქვს სწორი ხედვა კურიკულუმის შექმუშავების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის დამტკიცების პროცესს, წინ უძღვის გასული წლის კურიკულუმის დანერგვის პროცესის შესახებ სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის ანალიზი. სამუშაო ჯგუფი იკვლევს შემდეგ საკითხებს: მოსწავლეთა ჩართულობა და მათი შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრებისა და დირექციის მუშაობა - მიღებული მონაცემების შეჯერების საფუძველზე, სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს, მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად. ამის დასტურად, სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სამოქმედო გეგმა, კათედრის სხდომის ოქმები, სადაც ასახულია კურიკულუმის შემუშავების პროცესი. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრებთან გასაუბრების შემდეგ დასტურდება, რომ სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესს. მშობელთა ინტერესების დასადგენად ტარდება სხვადასხვა ტიპის გამოკითხვა, საერთო სასკოლო პროექტის შერჩევის, საწრეო და საკლუბო საქმიანობის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ჩანს თუ როგორ, რა ფორმით მონაწილეობენ სასკოლო საზოგადოების წევრები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. თუმცა მასწავლებლები გასაუბრების დროს მიუთითებდნენ ცალკეულ ინსტრუმენტებსა და პრაქტიკებზე, რომლებიც სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლისა და გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა. მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ საკუთარი სწავლების პორტფოლიო, რომელშიც ის აგროვებს მის მიერ წლის მანძილზე განხორციელებული აქტივობებისა და სასწავლო პროცესის მტკიცებულებებს, მის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებულ კომპლექსურ დავალებებს, მათი შეფასების ნიმუშებს, რეფლექსიებს, პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებულ კვლევებს და ა.შ. ამ პორტფოლიოს ანალიზი მნიშვნელოვანი წყარო ხდება მომავალში კურიკულუმის გადასინჯვისა და მოდიფიცირებისათვის. პროცესები ეყრდნობა, როგორც მასწავლებლის თვითრეფლექსიას, ასევე მოსწავლეებისგან, სკოლა გეგმავს მშობელთა როლის გაძლიერებას. **ინდიკატორი შეესაბამება.**

4. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი, უპირველეს ყოვლისა, გაზიარებულია მასწავლებელთათვის, რასაც უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია და კურიკულუმის დამტკიცების საკანონმდებლო ჩარჩო-კურიკულუმი თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, ბეჭდვითი მასალები, სოციალური მედია, კრებები, სამუშაო შეხვედრები, საჯარო ღონისძიებები-ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან, სპეციალური კითხვარი მშობლებისთვის.

მშობლებთან კურიკულუმის გაზიარების გზად სკოლას გამოყენებული აქვს მათი პირადი ინფორმირება როგორც TEAMS- ის ჯგუფებში, ასევე კლასების მიხედვით facebook-ჯგუფურ ,,ჩათებში''

სკოლასთან ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმს უზიარებენ არამარტო საგნის, კათრედრის ფარგლებში, არამედ სკოლის საერთო დონეზე. იმისათვის, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში აქტიურად იყოს ჩართული სასკოლო საზოგადოება, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს/აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს და ასევე მშობელთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას. სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს მატერიალურად თუ ელეტრონული სახით აქვს წვდომა კურიკულუმებზე. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხები. ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, ბეჭვდითი მასალები, საჯარო ღონისძიებები-ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. **ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო გეგმა
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ვიზიტის დროს კათედრის წევრებთან გასაუბრება;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- დაგეგმილი და განხორციელებული კომპლექსური დავალებები
- სასწავლო პროექტები
- კათედრის სხდომის ოქმი
- მშობლის ბარათები
- კლასის დამრიგებლის ანგარიში
- მშობელთა კრების ოქმები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურისა და მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი თემები, რესურსები და დავალებები, შეუქმნის მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას. თუმცა, იმის გამო , რომ მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, თუ როგორ ახორციელებენ კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებსაც არჩევენ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებების გათვალისწინებით. კომპლექსური ბუნების დავალებების გამოყენებით, სკოლა ცოდნის აგების, კონსტრუქტივისტული მიდგომის დანერგვას უწყობს ხელს.

შუალედური სასწავლო მიზნების სახით, ჩადებულია კომპლექსური ბუნების დავალების პირობები, რაც მეტ ყურადღებას სასწავლო პროცესზე ამახვილებს, მოსწავლეს აძლევს ავტონომიურობის განცდას, ხელს უწყობს მისი შინაგანი ძალების გააქტიურებას, მაღალი სააზროვნო უნარებისა და შესრულებული სამუშაოს თვით რეფლექსიის უნარის განვითარებას.

სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საშუალო საფეხურის 10-11 კლასისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე შერჩეულია სასწავლო თემები, რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას.

სკოლამ უცხოური ენების საშუალო საფეხურზე წარმოადგინა კურიკულუმები პირველ და მეორე ცხოურ ენებში. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია თემები, თემებთან მიმართებაში სამიზნე ცნებები. საბაზო საფეხურზე თითოელ კლასში დაგეგმილია 2-3 კომპლექსური დავალების განხორციელება, ასევე მოცემულია ძირითადი კონტექსტ-მაგალითები და მაგილითები შედარებისთის. აღსანიშნავია რესურსების მრავალფეროვნება, რომელიც ცდება გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და მოიცავს საინტერესო, თემასთან მორგებულ, განმავითარებელ სხვადახვა სახისა და ხასიათის რესურსს. კურიკულუმებზე დაკვირვებით ჩანს, რომ ათვლის წერტილს გრძელვადიანი მიზანი და მოსწავლის პიროვნული განვითარება წარმოადგენს. გასაუბრებისას უცხოური ენების კათედრის წევრებმა არგუმენტირებულად დაასაბუთეს რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების გზას.

სკოლას მიეცა რჩევა საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებმა სასურველია მე-10 კლასის კურიკულუმებში გაწერონ ერთი სავალდებულო თემის ფარგლებში მინიმუმ ერთი კომპლექსური ხასიათის დავალება. უმჯობესი იქნებოდა კურიკულუმის ჩაჩოებში მითითებული იყოს სახელმძღვანელოს გარდა სხვა ტიპის მრავალფეროვანი ციფრული რესურსები.

სკოლას მიეცა რჩევა უცხო ენების პედაგოგებმა კურიკულუმში საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმში გაიწერონ რა აქტივობები განხორციელდება და რა რესურსები იქნება გამოყენებული იმ თემებთან სადაც არ არის დაგეგმილი კომპლექსური დავალების განხორციელება.

ინდიკატორი შეესაბამება.

2. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია თემები, შესაბამისად კონტექსტმაგალითები, საკითხები და სამიზნე ცნებები. გასაუბრებისას გამოიკვათა , რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. სანიმუშოდ მოცემული *დავალებებიდან (მოთხრობის შედგენა; თხრობა მთხრობლის შეცვლით; არგუმენტირებული ესეს დაწერა თაობათა ურთიერთობებში არსებული პრობლემების შესახებ. გამოხმაურების დაწერა; სტატიის დაწერა; ზეპირი გამოსვლის/საჯარო სიტყვის მომზადება;მინიატურის შექმნა;დისკუსია.პრეზენტაციის მომზადება: მსჯელობა რომელიმე თანამედროვე პრობლემაზე)*.განხორციელებული პროექტებიდან,ღონისძიებებიდან (*მკითხველთა კლუბი ლოგოსი;კლუბი-კინომანი;ინტეგრირებული„ მრავალწახნაგოვანი კომუნიკაცია“*)ჩანს, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ ისეთი უნარების განგანვითარებას, როგორიცაა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდა ,კომუნიკაცია, თანამშრომლობა, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება.

სრულად გაწერილ საგნობრივ ჩარჩოებში მკაფიოდ იკითხება შერჩეული კომპონენტების შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებთან. ნათლად ჩანს, თუ რა მასალაზე (დაფიქსირებული რესურსები) დაყრდნობით წარიმართება სწავლება.

საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმში ხელოვნებასა და მუსიკაში პროექტული სწავლების დაგეგმვის დროს ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და საფეხურის შედეგებზე. პროექტების თემები ისეა გაწერილი,რომ სასწავლო პროცესში იძლევა მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებითი ჩართულობის შესაძლებლობას და განვითარების საშუალებას.

საგნობრივ კურიკულუმებში, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველ დოკუმენტებში ასახულია გრძელვადიან მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ნორმების შესაბამისად. გააზრებულია სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. გლობალური ფუნქციური უნარები პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად აღიქმება. კომპლექსური დავალებების კეთებისა და სწავლა-სწავლების პროცესში იქნება ეს ფორმალური თუ არაფორმალური, მოსწვალე ჩართულია კომუნიკაციაში, უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას. პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშორმლობის უნარებსაც მოითხოვს. კომპლექსური დავალება აძლევს მოსწვალეს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური

საშუალებით. **პროექტული სწავლების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენილია მხოლოდ მე-10 კლასისათვის. ეს კომპონენტი ფორმალურ განათლებაში ყველაზე მეტად ავითარებს გლობალურ-ფუნქციურ უნარებს, ამიტომ სკოლას მიეცა რჩევა კარგი იქნებოდა საგნობრივ კათედრას წარმოედგინა იგივე მე-11 კლასისათვის.** თუმცა, ის რომ სკოლაში აქტიურად მუშაობს სასკოლო კლუბები და აქვს პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების წარმატებული გამოცდილება

ინდიკატორი შეესაბამება.

3. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან ინტერვიუ იძლევა საფუძველს აღვნიშნოთ, რომ სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მასწავლებების მიერ ხდება მოსწავლეთა ცოდნის უნარებისა და სწავლის სტილის განსაზღვრა, კითხვარების, ქვიზების, შესასვლელი და გასასვლელი ბარათების საშუალებით, საჭიროებიდან გამომდინარე ახდენენ დავალების მოდიფიცირებას.მათ ნარატივს ადასტურებს წარმოდგინილი ისგ, მოდიფიცირებული კომპლექსური დავალება.ინკლუზიური მიდგომები გათვალისწინებულია სასკოლო აქტივობებში, სადაც თითოეულ მოსწავლეს ეძლევა საშუალება გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები და უნარები. კათედრას აქვს მზაობა, გაამახვილოს ყურადღება და გაითვალისწინოს 2023-24 წლის კურიკულუმში დიფერენცირებული სწავლების პრინციპები.

კომპლექსური დავალების პროდუქტების ალტერნატიული ფორმები (ელექტრონული, მატერიალური) ეპასუხება დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, რის მტკიცებულებას წარმოადგენს ის, რომ მოცემულია კომპლექსურ დავალებებში სხვადასხვა შინაარსის და სირთულის აქტივობები, ადაპტირებული დავალებები და მოსწავლეებს ეძლევა არჩევანის გაკეთების საშუალება. კომპლექსური ბუნების დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუშები, ეს ადასტურებს, რომ სკოლა, საჭიროების მიხედვით, სასწავლო პროცესში იყენებს ინკლუზიურ მიდგომებს და აღნიშნული წარმოადგენს სკოლაში დამკვიდრებულ პრაქტიკას.

სკოლას გააჩნია სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, რომელიც დამატებით გულისხმობს სპციალურ, პრევენციული და ინტერვეციული ღონისძიეების გათვალისწინებას კურიკულუმში. მოსწავლეთა ინდ-გეგმებში ჩანს, რომ მასწავლებლებისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლის საჭიროებების, სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა, მოსწავლის სწავლის დინამიკის პროცესის აღწერა- სად იყო მოსწვალე და სად მივიდა კონკრეტული ინტერევენციების პროცესში.

საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლება ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს მუსიკისა და ხელოვნებაში. ვინაიდან სწავლა მიმდინარეობს პროექტის ფარგლებში, თავისთავად მოიაზრებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. პედაგოგები სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლის ინდივიდულუალურ, ფიზიკურ და ფსიკქიკურ მახასიათებლებს, შესაძლებლობებსა და ინტერესებს და ეფექტურად იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს.

სპორტის საგანის მასალაში ინდ.გეგმები არ იყო წარმოდგენილი , რადგან მასწავლებლის განმარტებით, ამ ეტაპზე სსსმ მოსწავლე ფიზიკურ აღზრდაში არ საჭიროებს გეგმის მორგებას,. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა, სჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებისა და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება.**

4. წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კომპლექსური დავალების იდეების) და ზეპირი გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, შეფასება მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისკენ და სტანდარტს შეესაბამება. განმავითარებელი შეფასება გამოყენებულია, როგორც სწავლა-სწავლებისგან განუყოფელი ნაწილი, ძირითადად, ზეპირი კომენტარის სახით. განმავითარებლით შეფასებით ფასდება კომპლექსური დავალების პროდუქტი, რის დასტურადაც დავალების პირობაში ჩაშენებულია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული კრიტერიუმები, ასევე მოცემულია სადიაგნოსტიკო კითხვები, მათ შორის, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასებისთვისაც. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლამ წარმოადგინა მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი), თუმცა უმეტესობა ზოგადი ხასიათისაა, ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ აღინიშნა, რომ აქტიურად რთავენ შეფასების პროცესში მოსწავლეს, მიმართავენ როგორც მოსწავლეთა თვითშეფასებას, ისე ურთიერთშეფასებას. მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

პროექტული სწავლების შესაფასებლად კათედრა იყენებს განმავითარებელ შეფასებას. როგორც აღნიშნეს სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვთ შეფასების მიზნები და ამოცანები. ყოველ შესრულებულ აქტივობას მოსდევს განმავითარებელი უკუკავშირი, რომლის მიზანია მოსწავლეთა შედეგების გაანალიზება და გაუმჯობესება.

სკოლას მიეცა რჩევა უცხო ენების პედაგოგებმა : 1. არ გამოიყენონ ზოგადი ხასიათის რუბრიკები საკლასო და საშინაო დავალებების შესაფასებლად 2.შემაჯამებელი დავალებებისთვისაც გამოიყენოონ რუბრიკები რომლებიც მიმართული იქნება გრძელვადიან მიზნებზე.

ინდიკატორი შეესაბამება.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ გაწერილია, სადაც სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. ხდება ამ მონაცემების და წინარე გამოცდილების ანალიზი, გათვალისწინებულია ამ ანალიზის დასკვნები, მიგნებები და საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია და გათვალისწინებულია მიღებული გამოცდილება.

მასწავლებლებმა ზეპირ გასაუბრებაში აღწერეს პროცესი, რომელიც ადასტურებს, რომ დაგეგმვის დროს ითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს, რომელიც სარწმუნო წყაროებიდან (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, რეფლექსიური კითხვარი...) მოპოვებულ

ინფორმაციას ეყრდნობა. წარმოდგენილი სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი და კურიკულუმის მეთოდოლოგია ასევე წარმოაჩენს კურიკულუმის განვითარების პროცესს.

კათედრის წევრები სისტემატურად ხვდებიან ერთმანეთს და უზიარებენ წინარე გამოცდილებას, იმ გამოწვევებს, რომლის მოგვარებასაც ახალი სასწავლო წლიდან გეგმავენ, რათა უკეთესად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. პედაგოგები გასაუბრების პროცესში აღნიშნავენ, რომ სასკოლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- პედაგოგებთან გასაუბრება
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- ინდ. გეგმები
- კომპლექსური დავალებები
- გაკვეთილებზე დასწრების ოქმები
- ინტეგრირებული გაკვეთილები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- ისგ ჯგუფის შეხვედრის ოქმები
- კათედრის ანგარიშები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურზე უცხო ენების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტების შესწავლით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კურიკულუმებს თან ერთვოდა კომპლექსური დავალების მატრიცები, სადაც სხვადახვა აქტივობებზე, რესურსებსა და გეზის მიმცემ შეკითხვებზე დაკვირვებით ჩანდა ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) რაც კარგად იკითხებოდა მატრიცებში მოცემულ სხვადასხვა ტიპის დავალებებში. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ამ შედეგის მიღწევის საშუალებას კი სკოლას აძლევს უცხოური ენების კურიკულუმების კომპლექსური ტიპის დავალებებსა და კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნება. გასაუბრებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს საგაკვეთილო პროცესზე, სადაც ჩანდა რომ ისინი ზრუნავენ მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღავივებაზე, ანხორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და ინტეგრირებულ გაკვეთილებს.

სკოლას მიეცა რჩევა უცხო ენების კათედრამ, კურიკულუმში იმ თემებთან მიმართებაში სადაც კომპლექსური დავალებები არ არის დაგეგმილი გაწერონ და წარმოადგინონ რა აქტივობებს და რა რესუსრსების გამოყენებით განახორციელებენ.

საბუნებისმეტყველო საგნებში საშუალო საფეხურის კურიკულუმები და მასში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები და სხვადასხვა ღონისძიებები, უზრუნველყოფენ მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით სასწავლო პროცესში ჩართვას,

კურიკულუმის სასწავლო თემებისა და კომპლექსური დავალების პირობების გაანალიზების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა შეძლებს მოსწავლეთა აქტიურად ჩართვას შემოქმედებით სასწავლო პროცესში, შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს.

სკოლაში ფუნქციონირებს ქიმიისა და ბიოლოგიის კლუბები, აქვთ კლუბების დებულება, წესდება, სამუშაო გეგმა. შექმნილი აქვთ ფეისბუქგვერდი, სადაც ასახულია მათ მიერ განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალები.

პროექტული სწავლების დაგეგმვის ფარგლებში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ინტერვიუს დროს აღნიშნულ იქნა, რომ პროექტული სწავლების დაგეგმვისას პირველ რიგში ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესს და შესაძლებლობებს, რაც ხელს უწყობს შინაგანი მოტივაციის ზრდას და შემოქმედებით პროცესებში აქტიურ ჩართულობას.

მათემატიკის კათედრის მტკიცებულებათა ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რაც მკაფიოა საგნობრივ კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმებიდან. მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები და სანიმუშოდ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ბარათები, მოსწავლის ინტერესებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობას ისახავს მიზნად. წარმოდგენილი კურიკულუმის საფუძველზე აშკარაა, რომ მოსწავლეთათვის შერჩეულია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლებს წარმოაჩინონ საკუთარი მრავალფეროვანი შემოქმედებითი ინიციატივები და მიგნებები. საშუალო საფეხურზე მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი პროექტებით სწავლებაში, განახორციელეს პროექტი- ,,მრავალწახნაგოვანი კომუნიკაცია", კომპლექსური დავალებები-,,გეომეტრიული გარდაქმნები", ,,სინუსების თეორემა", ,,მაჩვენებლიანი ფუნქცია" ეს აქტივობები ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

ადმინისტრაცია და მასწავლებლები მუდმივად მზად არიან მხარი დაუჭირონ მოსწავლეების მიერ შემოთავაზებულ იდეებს, ისინი ეხმარებიან მათ ინიციატივების განხორციელებასა და რეალიზებაში.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე პედაგოგებმა დაასახელეს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითი, რა დროსაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სასწავლო პროცესში, შექმნეს საინტერესო ნამუშევრები და განივითარეს კომპლექსური-სააზროვნო და შემოქმედებითი უნარები.

10-12 კლასის საშუალო საფეხურის კურიკულუმებში შერჩეული და გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები, რაც, ბუნებრივია დადებითად აისახება მოსწავლეზე, რომ ის ფიზიკურთან ერთად გონებრივი უნარების განვითარებასაც შეუწყობს ხელს. საფეხურის ფარგლებში დაგეგმილია ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე. ეს იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას, თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პოცესში და გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები.

სახელმწიფოს ენის საგანში მოსწავლეს ხშირ შემთხვევაში ეძლევა შესაძლებლობა არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესის ,არამედ შემოქმედიც. სასწავლო პროცესი მოიცავს მრავალფეროვან, სახალისო და საინტერესო აქტივობებს. ასევე მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულებები სხვადასხვა სოციალურ პროექტებში, საკლუბო და საწრეო მუშაობაში, სასწავლო შემოქმედებით კონფერენციებში. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2. უცხოური ენების საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები. კომპლექსური დავალება კი ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას იძლევა, რადგან სკოლას დიდი გამოცდილება აქვს პროექტებისა და ინტეგრირებული გაკვეთილების განხორციელებისა შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ რომ საშუალო საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმებში არსებული კომპლექსური დავალებების იდეებითა და მათი განხორციელებისათვის დაგეგმილი აქტივობებით ხელი ეწყობა მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებას, მის თანდათანობით მიყვანას ახალ ცოდნამდე. კურიკულუმებში თემატური დაგეგმვა სწორად არის გააზრებული. საფეხურის გათვალისწინებით სწორად არის მიწოდებული ნაცნობი კონტექსტი, რომელიც ეხმარება მოსწავლეს ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ კომპლექსური დავალებების არჩევისას მათ მიზანს წარმოადგენდა მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტების შეთავაზება, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის შეძენა, რაზეც მოწმობს კომპლექსური დავალების მატრიცებში წარმოდგენილი ეტაპები.

როგორც წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში დიდ ყურადღებას აქცევს იმას თუ როგორ შეიძლება ხელი შევუწყოთ მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებას, მის თანდათანობით მიყვანას ახალ ცოდნამდე. მასწავლებლები მუდმივად ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლეთა წინარე ცოდნა და მათთვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რაც წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას. კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლებს შეუძლიათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირება და დამუშავება. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას უწევთ მათთვის ნაცნობი, ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან დაკავშირებული ფაქტების აღწერა, ანალიზი, არსებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება, იდეების გენერირება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა დავალებებში. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. საშუალო საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმებს თან ერთვოდა მატრიცები, რომლებშიც წარმოდგენილია გეზის მიმცემი შეკითხვები, რაც მიუთითებს იმაზე რომ სწავლებისას აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. კურიკულუმებში მოცემულ მრავალფეროვან რესურსებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ რომ კურიკულუმებში ინტეგრირებულია მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიები. მათ წარმოადგინეს მატრიცები სადაც კომპლექსური დავალების შესრულებისათვის საჭირო ეტაპებზე დაკვირვებით ჩანდა რომ ეტაპები არსებით როლს ასრულებენ ცოდნის გარდაქმნისა და დამუშავების პროცესში. რაც გვაძლევს საშუალებას ვთქვათ რომ აღნიშნულ საფეხურზე უცხოური ენის სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

კურიკულუმებში შეთავაზებულია ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებმაც მოსწავლეები უნდა დააფიქროს სწავლის პროცესზე და წაახალისოს მეტაკოგნიცია. ეს უზრუნველყოფს, რომ სწავლის პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. კომპლექსური დავალებების მრავლფეროვანი არჩევანი საშუალებას იძლევა, დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპებზე, მოსწავლეებმა განსხვავებული მეთოდი და სტრატეგია გამოიყენონ და თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი. აქცენტები კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რაომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების გამომუშავებას.

საშუალო საფეხურის კურიკულუმში სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რომელიც თავისი არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. მოსწავლეები პასუხობენ საკვანძო შეკითხვებს, რომელიც ხელს უწყობს მათ გააკეთონ რეფლექსია დავალებაზე მუშაობის პროცესში, შესაბამისად აქცენტი კეთდება მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. დავალებები სრულდება ისეთი მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებით (მონაცემთა შეგროვება და ორგანიზება სქემებში, ტექსტის პაუზებად კითხვის, კითხვა ნიშანთა სისტემით, მნიშვნელოვანი სიტყვები, ჯოგსოუ, სასწავლო გაჩერებები, პროექტული სწავლება, კვლევის განხორციელება, მმმ სტრატეგია და ა. შ.), ასევე ლაბორატორიული სამუშაოები. რომელიც მორგებულია, მოსწავლეთა ინტერესებზე და მათში იწვევს სწავლის მოტივაციას. აქტიურად გამოიყენება ჯგუფური და თანამშრომლობითი სწავლების სტრატეგიები. **ინდიკატორი შეესაბამება.**

4. საშუალო საფეხურზე საგნობრივმა კათედრებმა კურიკულუმში მოცემულ კომპლექსური დავალებებთან ერთად წარმოადგინეს მატრიცები სადაც ამ კოპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპებია მოცემული. მათში მოცემული სხვადასხვა ტიპის აქტივობები და მრავავალფეროვან რესურსები მიუთითებს რომ სწავლის პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ამავე დროს გასაუბრებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს საგაკვეთილო პროცესზე, სადაც აღნიშნეს რომ მოსწავლეებს სთავაზობენ პროექტულ, პრობლემებზე დაფუძნებულ დაავალებებს, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება და ანალიზი . ამის დასადასტურებლად კი წარმოადგინეს სხვადასხვა განხორციელებული პროექტების ანგარიში.

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მასწავლებლები იცნობენ და იყენებენ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებს, მოსწავლეთა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებისათვის - ისინი არა მხოლოდ ფაქტობრივ მასალას ეცნობიან და ამუშავებენ, არამედ სხვადასხვა ამოცანის გადასაჭრელად, მიღებული ცოდნის ინსტრუმენტად გამოყენება უწევთ. სკოლას აქვს მზაობა, რომ სასწავლო პროცესი ცოდნის სამივე კატეგორიაზე იყოს ორიენტირებული. **ინდიკატორი შეესაბამება.**

5.კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების, მასწავლებელთა ინტერვიუების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. კურიკულუმში თითოეულ სამიზნე ცნებას უკავშირდება მთელი რიგი ქვეცნებები, რომლებიც წარმოაჩენენ საგნობრივი ცოდნის სტრუქტურას. სამიზნე ცნებაზე მუშაობის პროცესში მოხდება ამ ქვეცნებების ერთმანეთთან შედარება, დაპირისპირება და სხვადასხვა ნიშნით კლასიფიცირება, რაც მათ ურთიერთდაკავშირებულ გამოყენებას განაპირობებს. სამიზნე ცნებების დამკვიდრების პროცესი აგებულია შესწავლილი საკითხების გაღრმავებაზე კლასების მიხედვით, და იმგვარად არის მიწოდებული, რომ შესაძლებელია ცოდნის ორგანიზება.

მოსწავლის ცოდნათა დაკავშირებისა და ორგანიზების თვალსაზრისით, კურიკულუმებში, სასწავლო საკითხებს გააჩნიათ ურთიერთმიმართებები. თემები ისე არის დაგეგმილი, რომ გააჩნიათ ცოდნის გამთლიანებისთვის საჭირო ლოგიკური კავშირები. სასწავლო კურიკულუმის გარდა, მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისა და ორგანიზებისთვის მოაზრებულია კომპლექსური

ბუნების დავალებები, რომლებიც ითვალისწინებს გარკვეული პროდუქტის შექმნას, მაგალითად, მოდელი, პოსტერი, პრეზენტაცია და სხვა. ასეთი ტიპის კომპლექსური დავალებები მოსწავლეს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში დაეხმარება.

სკოლამ უცხოური ენების საშუალო საფეხურზე წარმოადგინა კურიკულუმის ჩარჩოები პირველ და მეორე უცხოურ ენაში. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია თემები, თემებთან მიმართებაში სამიზნე ცნებები, კომპლექსურიი დავალების იდეები და შესაბამისი რესურსები. სწორი თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები კი საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. კომპლექსურ დავალებებთან ერთად წარმოდგენილია მატრიცები სადაც წარმლოდგენილი დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე. ყოველივე ეს კი განაპირობებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. გარდა კომპლექსური დავალებებისა სკოლას აქვს დიდი გამოცდილება ინტეგრირებული გაკვეთილებისა და სხვადასხვა პროექტების გაბხორციელებისა, რის დასასაბუთებლადაც წარმოადგინეს განხორცილებეული პროექტების ანგარიში. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და სასკოლო პროექტები ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რაც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას. **ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- კომპლექსური დავალებები
- სასწავლო პროექტები
- ინტეგრირებული გაკვეთილი
- შეფასების რუბრიკები
- საგნობრივი მატრიცები
- ინტეგრირებული გაკვეთილები
- ინტეგრირებული სასწავლო პროექტები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. შესაბამისად, სკოლამ გამოთქვა მზაობა, რომ გააგრძელებენ ამ პრინციპით კურიკულუმის განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობას და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოხდება, ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას შემოქმედებით პროცესში, ამ შემთხვევაში მოსწავლე პასიური მსმენელი კი არ არის არამედ აქტიურად არის ჩართული, თვითონ ქმნის პროდუქტს. აქცენტი კეთდება საგნის სწავლების მნიშვნელობაზე და დაკავშირებაზე ყოფითი პრობლემების გადაჭრასთან. მიუხედავად იმისა, რომ საგნობრივ კურიკულუმებში ამჟამად ასახული კომპლექსური დავალებები და კონტექსტ-მაგალითები არის მინიმალური რაოდენობით წარმოდგენილი, მასწავლებლებლებს აქვთ მზაობა სწავლა-სწავლების პროცესში კურიკულუმის მოდიფიცირებისა და სრულყოფის. აღნიშნული ნათლად იკვეთება მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დაგეგმილ კომპლექსური ტიპის დავალებებზე საუბრისას.

ინტერვიუზე გასაუბრებისას და პროექტული სწავლების გეგმიდან გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. პროექტული სწავლებისას განსაზღვრულია თუ რა მიზანს ემსახურება და რა შედეგზეა ორიენტირებული მითითებული საგნობრივი საკითხების შესწავლა.

სკოლამ უცხოური ენების საშუალო საფეხურზე წარმოადგინა კურიკულუმები პირველ და მეორე ცხოურ ენებში. წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია თემები, თემებთან მიმართებაში სამიზნე ცნებები. საბაზო საფეხურზე თითოელ კლასში დაგეგმილია 2-3 კომპლექსური დავალების განხორციელება, ასევე მოცემულია ძირითადი კონექსტ-მაგალითები და მაგილითები შედარებისთის. მოცემული თემები ემთხვევა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზვრულ თემათა არეალს, სამიზნე ცნებები თანხვედრაშია საფეხურით

განსაზღვრულ მიზნებთან. კურიკულუმებში ჩანს რომ მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს და საგნობრივ საკითხებს შორის. უცხოური ენების საბაზო საფეხურზე შუალედურ მიზნად გამოყენებლია კომპლექსური დავალება, სკოლამ ასევე წარმოადგინა განმავითარებელი შეფასებები რომელთა რუბრიკები მიემართება გრძელვადიან მიზნებს, რაც მიუთითებს რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი შეესაბამება

2. კურიკულმებში წარმოდგენილია სასწავლო თემები, რომლებიც უკავშირდება მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებსა და გარემოს და კურიკულუმებში შემოთავაზებულია დავალებები, რომელთა შესრულებისათვის მოსწავლეებს სხვადასხვა გამოწვევებთან გამკლავება მოუწევთ, რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას განაპირობებს. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. დაგეგმილი პროექტები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსები (როგორც ვირტუალური ლაბორატორიები ასევე სკოლაში არსებული რესურსები) ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.

პედაგოგებთან ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებაზე, პროექტებზე მუშაობის და საბოლოო პროდუქტის შექმნისას, მოსწავლეს უვითარდება კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა და თანამშრომლობითი უნარები, ასევე მოსწავლე ახდენს თვითაქტუალიზაციას და აზროვნების პროცესების მართვით - თვითრეგულაციას.

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში საგნობრივი კონტექსტები სწორადაა შერჩეული, ის ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, კურიკულუმებს თან ახლდა კომპლექსური დავალებების მატრიცები სადაც ჩანს რომ კომპლექსური დავალებების განხორციელებისათვის საჭირო ეტაპები ეყრდნობა სკაფოლდინგის მეთოდს. კურიკულუმებსა და კომპლექსური დავალებების მატრიცებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები, სადაც ჩანს რომ საგნობრივი საკითხები, რომლებიც მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც.

ინდიკატორი შეესაბამება

3. სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით მასწავლებლებს აქვთ საშუალება ყველა კრიტერიუმი გააერთიანონ მოსწავლეთა მთლიანი შესაძლებლობების და მიღწევების შესაფასებლად. შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე. მოსწავლის ჰოლისტური განვითარება გულისხმობს, რომ მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში უნდა უწყობდეს ხელს. ამისათვის კათედრა აქტიურად იყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც ჩანს კურიკულუმებიდან. ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. ამისათვის მასწავლებლები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გამოიყენება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეების ჰოლისტური შეფასების მექანიზმად იყენებდნენ განმავითარებელ შეფასებას სოლო-ტაქსონომიაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს ხუთ დონეს.

უცხოური ენების საშუალო საფეხურზე სკოლა შეფასების პირველ მოდელს მიყვება (საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი) თუმცა მომავალ წელს გეგმავს შეფასების მეორე მოდელზე გადასვლას. იმ თემებთან მიმართებაში კი სადაც დაგეგმილია კომპლექსური დავალებების განხორციელება წარმოადგინეს განმსაზღვრელი დ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. შეფასების რუბრიკები თემასთან და კომპლექსური დავალების პირობასთან მიმართებით სწორად იყო შექმნილი და მიემართებოდა გრძელვადიან მიზნებს. სკოლამ ასევე წარმოადგინა შეფასების ნიმუში სოლო ტაქსონომიის მიხედვით. აქვე უნდა აღინიშნოს რომ მასალებში წარმოდგენილი იყო შეფასების რუბრიკა რომელიც ზოგადი ხასიათის იყო და მიეცათ მითითება არ გამოეყენებინათ.

სკოლას მიეცა რჩევა უცხო ენების პედაგოგებმა, საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებების შეფასებისას შეიმუშაონ რუბრიკები რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს.

ინდიკატორი შეესაბამება.

4. წარმოდეგნილი მასალების საფუძველზე, როგორიცაა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, პროექტები, კათედრის ოქმი, შემაჯამებლის ანალიზის ფორმა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებული შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლებთან ინტერვიუებით ირკვევა, რომ მოსწავლეები მონაწილებენ რუბრიკების შექმნაში, იცნობენ ამ რუბრიკებს, რომლებიც ხშირად გამოკრულია კლასში, შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც. ამჟამად კათედრები მუშაობენ შეფასების ახალი ინსტრუმენტების შექმნაზე, როგორც განმავითარებელი შეფასებისთვის, ასევე განმსაზღვრელი შეფასებისთვის, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება შეფასების ყველა პრინციპი.

ინტერვიუს დროსაც მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ იყენებენ ჰოლისტური შეფასების რუბრიკებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მათ ასევე მიუთითეს, რომ სკოლა თავის შეფასების სისტემას დააფუძნებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს. შეფასების ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფისთვის საჭირო ღონისძიებები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმასა და შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტში. შეფასების ზემოთ აღნიშნული პრინციპების დაცვას, ასევე უზრუნველყოფს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კრიტერიუმები შინაარსობრივად დაკავშირებულია სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებთან.

სკოლას მიეცა რჩევა უცხო ენების პედაგოგებმა აწარმოონ მოსწავლის პორტფოლიო, რაც მასწავლებელს მისცემს საშუალებას მოსწავლის მრავალმხრივ შეფასებისა.

ინდიკატორი შეესაბამება.

5. სკოლა, შეფასების სისტემის მექანიზმების განსაზღვრისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი ახორციელებს შეფასების ვერიფიკაციას სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. წინასწარ განსაზღვრულ რისკ-ფაქტორებთან მიმართებაში, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი განახორციელებს შეფასების პროცესისა და ინსტრუმენტების ვერიფიკაციას შერჩევითი პრინციპით. ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნა ეგზავნება სკოლის დირექტორს რეაგირებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი მონიტორინგს უწევს რეკომენდაციების შესრულებას.

მისაღწევი შედეგისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, მასწავლებლებს გააჩნიათ შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა/ შეცვლის პრაქტიკა. შეფასების სისტემის გარე ვერიფიკაციის მექანიზმად სკოლა განიხილავს სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში მოსწავლეთა შედეგებს. შიდა ვერიფიკაციის მექანიზმად კათედრებზე ჩატარებულ წამახალისებელ კონკურსებს მოიაზრებს, სადაც მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ საკუთარი სურვილების შესაბამისად და არაფორმალურ გარემოში მოხდება მათი ცოდნისა და უნარების შემოწმება.

სკოლა სამომავლოდ გეგმავს დანერგოს სადიაგნოსტიკო შეფასების პრაქტიკა. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. **ინდიკატორი შეესაბამება**

6. კათერდის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, არსებული ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, ასევე მოსწავლის პირად საქმეში. ინფორმაცია დაცულია და ინფორმაციის გაცემა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ინახება მოსწავლეთა სემესტრული, წლიური და საფეხურის ნიშნები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. ინფორმაციის ასახვა ხდება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სამომავლოდაც დოკუმენტაციის შენახვას და დამუშავებას გააგრძელებენ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლა საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის და მტკიცებულებების სახით სკოლაში ინახება საკლასო ჟურნალები მატერიალური სახით. 2021-2022 სასწავლო წლიდან კი ელექტრონული ჟურნალების სახით. სკოლაში ასევე ინახება მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები.

ინდიკატორი შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- საგნობრივი კურიკულუმი
- კურიკულუმის შემუსავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი.
- ხარისხის განვითარების ჯგუფის ბრძანება
- განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასების რუბრიკები
- დიფერენცირებული დავალებები
- კათედრის ანგარიშები
- კომპლექსური დავალებები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფილოსოფიაში გაზიარებულია სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს უზრუნველყოფის ვალდებულება. სასკოლო ინფრასტრუქტურასთან ერთად, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების (სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი) საფუძველზე სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლის მხარდამჭერი გარემოს შექმნას.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა და კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლაში შექმნილი პოზიტიური სასწავლო გარემო; მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად დაგეგმილი აქტივობები, რომელშიც მოსწავლე არის სუბიექტი და არა ობიექტი. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებანი; ასევე უზრუნველყოფილია გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობა, რაც კათედრაზე კომპლექსური დავალებების სწავლებითაა შესაძლებელი. იგი იკითხება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშში მოსწავლეებისა და მასწავლებლის დონეზე, რის მტკიცებულებად პედაგოგიური საბჭოსა და კათედრის ოქმებია წარმოდგენილი. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა, იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მათ ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. ეს აისახება საგნობრივ

კურიკულუმებში, რომელშიც გაწერილია კომპლექსური დავალებები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ამისათვის ისინი ატარებენ სადამრიგებლო სამუშაოებს. იყენებენ მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებს.

ფიზიკური აღზრდის და სპორტის პედაგოგმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან, სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული და მათზეა ორიენტირებული. (დასტურდება ფოტომასალით, სიგელებით, სკოლის ფეისბუქ გვერდზე განთავსებული აქტივობებით).

წარმოდგენილი მასალების ანალიზიდან, კურიკულუმების განხილვისას, კათედრის წევრებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის ინდივიდუალური, ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები, შესაძლებლობები, უნარები, ინტერესები, საჭიროებები და სწავლის სტილი და ამავე დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა აქტივობებში, ოლიმპიადებში, კონფერენციებში, პროექტებში და ა შ. , სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებულად; კურიკულუმები მოიცავს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებს), მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და ინტერესებისთვის შესაბამის სასწავლო თემებსა და მრავალფეროვან კომპლექსურ დავალებებს. ვიზიტის დროს, გამოიკვეთა, რომ პედაგოგები იყენებენ კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპებს (წინარე ცოდნაზე დაფუძნება, დიფერენცირებული მიდგომა, მეტაკოგნიტური უნარების განვითარება და სხვა), რომელიც მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. სკოლა, კომპლექსური დავალებების დანერგვით, უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში. მოსწავლეები არა მხოლოდ აქტიურად მონაწილეობენ განათლების მიღების პროცესში, არამედ საშუალება აქვთ, ერთმანეთს დაეხმარონ და მონაწილეობა მიიღონ თანატოლების სწავლა-სწავლების პროცესშიც.

ასევე, სკოლას ყოველწლიურად აქვს კლუბური მუშაობის პრაქტიკა. ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სკოლის დოკუმენტაციებში წარმოდგენილია და კათედრის წევრებთან გასაუბრებისას დასტურდება, რომ დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა. სასკოლო საზოგადოებას აერთიანებს საერთო ღირებულებები და ინტერესები. სასწავლო პროცესი ხორციელდება თანამშრომლობითი პრინციპების დაცვით, რაც ხელს უწყობს სამართლიანი და თანასწორუფლებიანი სამუშაო გარემოს შექმნას და პროცესში ჩართული ან დაინტერესებული პირების უფლებებისა და ინტერესების დაცვას; კათედრის წევრები ერთობლივად

შეიმუშავებენ სასკოლო კურიკულუმებს, რაც გულისხმობს როგორც კურიკულუმების ჩარჩოს შემუშავების, ისე კურიკულუმის განხორციელების პროცესში მასწავლებლების მიერ სამუშაო შეხვედრათა დაორგანიზებას. აღნიშნული კი დასტურდება კათედრის მუშაობის ოქმებში. კათედრის წევრები უზიარებენ ერთმანეთს პროფესიულ გამოცდილებას. სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს და აძლევენ უკუკავშირს.

სკოლა აცნობიერებს, რომ თანამშრომლობა და გუნდურობა ამ მრავალფეროვნებას აქცევს მნიშვნელოვან პლატფორმად მოსწავლეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

მშობლებს აქვთ ინფორმაცია საშუალო საფეხურზე ჩატარებული სპორტულ ფესტივალის შინაარსის შესახებ. სკოლა გეგმავს მშობლების კომპონენტის გაძლიერებასა და სასკოლო თემის ჩართულობას პროექტებში მონაწილეობით, რაც დადებითად აისახება თანამშრომლობითი კულტურის დანერგვაზე. დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო გეგემით და ამყარებს პედაგოგებთან გასაუბრება. **ინდიკატორი შეესაბამება.**

4. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები, პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფის მიმართულებით. ამ და სხვა დოკუმენტებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლაში დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა, რწმენების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების გაზიარებული სისტემა, ქმნის ურთიერთობის ისეთ ფორმას, რომელიც მისაღები და გაზიარებულია მათთვის და აყალიბებს ისეთ ნორმებს და წესებს, რომლებიც უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატის შექმნას, როგორც სკოლის ასევე კლასის დონეზე. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლა წარმოადგენს კეთილგანწყობილ დაწესებულებას, სასკოლო საზოგადოებისათვის. შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო გარემო. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სკოლაში მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, დირექციასთან და მშობლებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლაში ვიზიტის დროს, სამუშაო სივრცის გაცნობის და მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, სკოლას გააზრებული აქვს, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. ყურადღებიანი, ემპათიური და მეგობრული მასწავლებელი დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე. მასწავლებელი მოსწავლეს უდგება როგორც ინდივიდს თავისი საჭიროებით, სურვილებითა და ინტერესებით. მოსწავლეს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი და დასვას მისთვის საინტერესო კითხვები. სასწავლო პროცესში მოსწავლეები და მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. პედაგოგები ასევე საუბრობენ პოზიტიურ საკლასო გარემოს მნიშვნელობაზე. სკოლა ცდილობს შექმნას პოზიტიური ფიზიკური გარემო, მოსწავლეებს შესთავაზოს მრავალფეროვანი რესურსები და დაამკვიდროს ურთიერთობის წესები ჯანსაღი ატმოსფეროს შესაქმნელად. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

პედაგოგებთან გასაუბრებით ჩანს რომ , სკოლაში სათანადოდ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. წარმოდგენილი ფოტო მასალა, საქმიანობის ამსახველი მასალები ცხადყოფს, რომ სკოლაში ყოველთვის ტარდება სპორტულ საკლასო და სასკოლო ღონისძიებები. და სკოლამ გამოთქვა მზაობა, კიდევ გააქტიურონ ეს პროცესი. დასტურდება პედაგოგების საუბრით, ფოტომასალით და სკოლის ფეისბუქ გვერდზე განთავსებული აქტივობებით.

სკოლა წარმოადგენს კეთილ განწყობილ დაწესებულებას სასკოლო საზოგადოებისათვის. შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო გარემო. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სკოლაში მასწავლებლები თანამშრომლობენ დირექციასთან, ერთმანეთთან, მშობლებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. **ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- გაკვეთილებზე დასწრების ოქმები
- ინტეგრირებული გაკვეთილები
- ისგ გეგმები და ჯგუფის ოქმები
- სადამრიგებლო კლასის საათი
- კათედრის სხდომის ოქმები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც თავისთავად თანხვედრაშია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების პროცესში სტრატეგიული /სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პროცესების მონიტორინგზე, ინტესივობაზე, მონაცემების ანალიზსა და დამუშავებაზე. ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით რეაგირებაზე. შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებისას.

პროცესი ეფუძნება კათედრის წევრებსა და დირექციას შორის. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, კითხვარების შედგენას მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის, რომელზეც დაყრდნობითაც გააკეთებენ SWOT-ანალიზს, რომელიც ხელს შეუწყობს, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგი და შეფასება.

მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ამიტომ, ეს ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწავლებელი, დამრიგებელი, სკოლის სხვა პერსონალი და სხვა. მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, ძირითადად, დამრიგებლების საშუალებით. სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა, როგორც სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს, ასევე სხვადასხვა დოკუმენტურ და სტატისტიკურ რესურსებს. მაგალითად კომპლექსური დავალების შესრულებისას მასწავლებელი მოსწავლეთა ცოდნის და უნარ-ჩვევების შესაფასებლად იყენებს სხვადასხვა მეთოდებს- მასწავლებლის დაკვირვება, მოსწავლეთა თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, რუბრიკები და სხვა. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მათი მუშაობის პროცესი მიმდინარეობს შემუშავებული დებულების შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების განვითარებისა და მხარდაჭერისთვის. რის შედეგად სკოლაში მიმდინარეობს მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. პედაგოგები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს, რეკომენდაციებს. ამ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. ასევე ანალოგიურ პროცესს ახორციელებენ ადმინისტრაციის წევრები საფეხურებისა და კლასების მიხედვით. მონიტორინგის შედეგები გამოიყენება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და განვითარებისათვის. პედაგოგები თანამშრომლობენ როგორც კათედრის ფარგლებში, ასევე მომიჯნავე კათედრებთან - ესწრებიან გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ხოლო მოსწავლესთან მიმართებაში საჭიროების მიხედვით იყენებენ დიფერენცირებულ სწავლებას. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას, დახმარებას და განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში - სასკოლო სასწავლო გეგმასა და კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში, ასევე სტრატეგიულ და სამოქმედო მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ მონიტორინგი და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემის გადაჭრისთვის, სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის. იგივე დასტურდება კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც.

სკოლა, კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგის გზით, მიზნად ისახავს გამოვლენილი პრობლემების გადაჭრასა და რეკომენდაციების პაკეტის შემუშავებას, რომელიც გამოყენებული იქნება ახალ სასწავლო წელს უკეთესი სასწავლო შედეგების მისაღებად, მასწავლებლები გასაუბრებაზე აღნიშნავდნენ, რომ მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახულია კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრულია ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც მომავალში ასახული იქნება ცვლილებებისა და ინტერვენციების სახით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მონიტორინგისა და შეფასებისას გამოიკვეთება მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები, ამ მიმართულებით საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა გეგმავს სადიაგნოსტიკო წერების ჩატარებას. (საკლასო წერა) კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის შეფასების პროცესში შექმნილი კითხვები და ამ კითხვებზე გაცემული პასუხების ანალიზზე დაყრდნობით, სკოლა შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას, ყოველთვის ასახავს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმებში. სკოლის პრობლემების მონიტორინგის და შეფასების განსაზღვრის იდენტიფიცირების შემდეგ, სასკოლო საზოგადოება გეგმავს კონკრეტულ ნაბიჯებს კონკრეტული მიზნებისათვის განსაზღვროს

პასუხისმგებელი სტრუქტურები. სპორტის პედაგოგებთან გასაუბრებით გაირკვა რომ კათედრაზე პედაგოგები ბოლო რამდენიმე წელია არ ახორციელებენ დიაგნოსტიკურ შეფასებას. **ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრის წევრებთან გასაუბრება;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- დიფერენცირებული დავალებები
- დიფერენცირებული შეფასება
- ისგ ჯგუფის ოქმები
- შეფასების რუბრიკები
- ხარისხის განვითარების ჯგუფის ბრძანება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშველოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც თავის მხრივ უადვილებს მასწავლებელს დაინახოს მოსწავლის განვითარების დინამიკა, ასვე მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე.

აღნიშნული სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. მასწავლებლებთან გასაუბრებამ გამოკვეთა, რომ მათ აქვთ ხედვა, იაზრებენ და ითავისებენ მოსწავლის შეფასების მნიშვნელობას, ეცნობიან მრავალფეროვან ინსტრუმენტებს და ნერგავენ პრაქტიკაში. აქვთ მზაობა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე იმუშაონ და განვითარდნენ ამ მიმართულებით.

სასწავლო პროცესის შეფასებას ახორციელებს სკოლაში არსებული ყველა სტრუქტურული ერთეული თავიანთი უფლება-მოვალეობების ფარგლებში, სასწავლო პროცესის კოორდინატორი, ხარისხის მართვის ჯგუფი, კათედრის თავმჯდომარე, კონკრეტული მასწავლებელი და ა.შ აგრეთვე მოსწავლეებს და მშობლებს ეგზავნებათ კითხვარები, ხდება მათი გაანალიზება და უკუკავშირის გათვალისწინება, კათედრას წამოდგენილი აქვს სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოყენებული წყაროების გამოკითხვის ფორმები, მათი ანალიზი. **ინდიკატორი შეესაბამება**

2. შეფასება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების, მათი მკვიდრი წარმოდგენების, თემატური შედეგების, კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინებით, შეფასება მიზანმიმართულია 6 ფუნქციურ-კომპონენტური უნარის განვითარების ხელშეწყობაზე. დოკუმენტებში გაწერილია და კათედრის წევრებთან გასაუბრებაც ადასტურებს, რომ შეფასება ხორციელდება იმის შესაბამისად, რამდენად მოახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

სკოლა მოსწავლეებს სხვადასხვა სასწავლო კონტექსტში აფასებს, რისთვისაც იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, როგორიცაა კომპლექსური დავალების, გაკვეთილზე ჩართულობის, ჯგუფური მუშაობის, საკლასო დავალების, საშინაო დავალების, დისკუსიის, მოსმენის დავალების, ესეს, ზეპირი პრეზენტაციისა და სხვა შეფასების რუბრიკები. სკოლას აქვს გამოცდილება, კურიკულუმის შეფასებისას გამოიყენოს მასწავლებლის თვითშეფასება, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა გამოკითხვა, თუ რა შეძლეს და სად სჭირდებათ დახმარება. ასევე კათედრაზე, სამუშაო ჯგუფებში, მასწავლებლებთან, მშობლებთან, საგნობრივ ექსპერტებთან საერთო შეხვედრებზე გამოკვეთილი კურიკულუმის დანერგვის პროცესში შექმნილი სირთულეების გათვალისწინება ახალი კურიკულუმის შექმნისას, არის დასტური იმისა, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

ინტერვიუდან ირკვევა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, შემაჯამებელი სამუშაოები, კომპლექსური დავალებების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტები ან პრეზენტაციები; შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომავალი წლისთვის გაიწერება შეფასებასთან დაკავშირებული ყველა დეტალი. **ინდიკატორი შეესააბამება.**

3. მასწავლებლები გასაუბრებისას აღნიშნავდნენ, რომ შეფასება ეს არის მონაცემთა მიზნობრივი შეგროვებისა და ანალიზის პროცესი. მისი ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური

ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მარავლმხრივი მიდგომით, რაც შესწავლის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელები შეფასებისას იყენებენ სხვადასხვა ტიპის რუბრიკებს, ქოუჩინგის პროცესშიც შექმნეს და წარმოადგინეს რუბრიკის ნიმუშები. გეგმავენ შეფასების რუბრიკების გაუმჯობესებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების გათვალისწინებით ახალი სასწავლო წლიდან ნერგავენ დიაგნოსტიკურ შეფასებას სკოლაში.

მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს იყენებენ:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად.
- სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის).

ინდიკატორი შეესაბამება.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი რუბრიკებიდან, კურიკულუმების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიიდან დასტურდება, რომ შეფასება მიმდინარეობს მოსწავლეთა თვითშეფასების, მოტივაციის, ჩართულობის, ურთიერთანამშრომლობის ფაქტორების გათვალისწინებით. სკოლა შეფასებისას ეყრდნობა, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებს, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. ინტერვიუზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკები საგანში ის ეფექტური ინსტრუმენტებია, რომელიც გამოიყენება როგორც მოსწავლეების ნამუშევრის, ასევე მუშაობის პროცესის შეფასების მიზნით. სწორედ ასეთი რუბრიკის გამოყენება იძლევა ისეთი სამუშაოს შეფასების საშუალებას, როგორიცაა მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები, წერითი ნამუშევრები, კომპლექსური დავალებების დაძლევის ხარისხი.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები) იკითხება, რომ მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს, სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაადგინოს, თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა და/ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში. ამრიგად მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს ასევე გარე მამოტივირებელ ფაქტორებს.

ინდიკატორი შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- კათედრის წევრებთან გასაუბრება;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- დიფერენცირებული დავალებები
- კათედრის სხდომის ოქმები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ ყოველთვის თანმიმდევრულად მიმდინარეობს კურიკულუმის დანერგვის შესახებ მონაცემების შეგროვება და დამუშავება. კურიკულუმი და სამოქმედო წლიური გეგმა მკაფიოდ ასახავს სკოლის პრიორიტეტებს და მოქმედების არეალს, რომელშიც გათვალისწინებულია სკოლის გამოცდილება, მისი ძლიერი მხარეები და გამოწვევები. სკოლა ითვალისწინებს იმას, თუ რა გამოცდილება დაგროვდა სასწავლო წლის მანძლზე, როგორ შეიძლება ეს გამოცდილება გამოვიყენოთ სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის, რა უნდა გაითვალისწინონ ახალი სასწავლო წლის დაგეგმვისას და სხვა. ახალი სასკოლო კურიკულუმის დამტკიცებას ყოველთვის წინ უძღვის განვლილი პროცესების გაანალიზება შემდეგი მიმართულებებით- მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესებში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრის მუშაობა, სკოლის დირექცია. სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა სახის დოკუმენტაციასა და სტატისტიკურ მონაცემებს. თითოეულ საკითხთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე მომზადდება რეკომენდაციები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად. კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის მიმართულებით სკოლას, როგორც ჩანს აქვს შესაბამისი გამოცდილება. ქოუჩინგის შედეგად მიღებული და არსებული გამოცდილების საფუძველზე, სკოლამ სამომავლოდ 2023-2024 სასწავლო წლიდან სასურველია იმუშაოს საბაზო საფეხურის გადამუშავებული კურიკულუმებით, რომლის ეტაპობრივად გადახედვა და ანალიზი განხორციელდება. მათ გამოთქვეს მზაობა ამ პროცესისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება.**

2. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები ყოველთვის აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. მასწავლებლები საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნობრივი კათედრების, საგნობრივი ჯგუფისა და სხვადასხვა საგნის სწავლების კოორდინირება, გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ახალი კურიკულუმის რევიზირებული ვერსიის შესაქმნელად მნიშვნელოვანია. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი და თავისი წვლილი შეაქვს კურიკულუმის განვითარებაში. კათედრის წევრ მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში, კურიკულუმის გადასინჯვა -რევიზიისათვის გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები- სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მრავლმხრივი მიდგომით. მათ აქვთ ამის პრაქტიკა და როგორც ადრე, ახლაც გააანალიზეს წინარე გამოცდილება რომელზე დაყრდნობითაც შექმნეს საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ახალი სასწავლო წლისთვის. სკოლაში მომდევნო სასწავლო წლის საბაზო საფეხურის კურიკულუმების შედგენისას კოორდინირებულად მუშაობდნენ საგნობრივი კათედრები. რომლებიც ითვალისწინებდნენ წინარე გამოცდილებას,ამის შედეგად სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის 2023-24 სასწავლო წლის საბაზო საფეხურის კურუკულუმები გადამუშავებულია და სრულ შესაბამისობაშია ახალი თაობის ე.ს.გ. მოთხოვნებთან.

ინდიკატორი შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კომპონენ*კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმები;
- კათედრის წევრებთან გასაუბრება;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- სასკოლო-სასწავლო გეგმა
- სკოლის თვითშეფასების ფორმა
- ეროვნული კონფერენცაი
- კათედრის სხდომის ოქმები
- მშობელთა კრების ოქმები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ვიზიტის დღის წესრიგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნანა ღაჭავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზვიად ბერიძე

ნინო ჭიჭინაძე

შორენა გაგნიძე

ნინო ბურჯანაძე

მაკა გიორგბერიძე

გიორგი ჩაჩუა-

თეა გაბისონია

მანანა შეროზია

ქეთევან ბორაშვილი

ნათია ბრეგაძე

21.11.23

თარიღი